



№ 1 / აპრილი /
2019

ლიცენზირებული –
საზღვარგაღმართივე აქტინალი

მთავარი რედაქტორი
ამირან გომართელი

პასუხისმგებელი რედაქტორი
თამარ გელიტაშვილი

რედაქტორ-სტილისტი
ქეთევან მერკვილაძე

კომპიუტერული გრაფიკა
და დიზაინი
ქეთი გომართელი

სარედაქციო კოლეგია

ანდრო ბელუპაძე
თავმჯდომარე

როინ აბუსელიძე
ივანე ამირხანაშვილი
ლაშა ბაჭრაძე
ნაირა ბაჰიევი
ლევან ბრეგვაძე
გენრი ღოლიძე
გურამ ღოჩანაშვილი
ზვიად კვარაცხელია
ლანა მანველი
ბაბა ნახუცრიშვილი
გიორგი სოსიაშვილი
მანა ტურაბელიძე

აქტინალი გამდის
საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტროს
ფინანსური მხარდაჭერით

მისამართი: თბილისი, ხიდის ქ.№1
ciskari1852@gmail.com
<https://www.facebook.com/ciskari1852>



სარჩევი

პოეზია <i>დებიუტი</i> ანი ქავთარაძე <i>ლექსები</i>	3	ხრიბია. ასეისბია თამარ გელიტაშვილი ეგზისტენციალური აბსურდის მოჯადოებულ წრეში (<i>ნინო ხარატიშვილის რომანი</i> <i>„ჟუჟა“</i>)	38
პროზა ნათია როსტიაშვილი გადატიხრული დღე <i>მოთხრობა</i>	9	ახალი თარგმანები დაჩა მარაინი დედა და შვილი <i>იტალიურიდან თარგმნა</i>	51
პროზა გიორგი კეკელიძე სხვა გურული დღიურები <i>მინიატურები</i>	15	მაია ტურაბელიძემ კაზუო იშიგურუ ნოქტიურნები: ხუთი მოთხრობა მუსიკასა და ღამის ბინდზე <i>ინგლისურიდან თარგმნა</i>	56
პოეზია გურანდა ბერია <i>ლექსები</i>	24	მაია ბოლაშვილმა	
პროზა ლანა მანველი ვიდრე მზე ჩავიდოდეს... <i>მოთხრობა</i>	33	memorialis ლელა ანჯაფარიძე როგორ არ იდარდო?! <i>[გია დანელიას ხსოვნას]</i>	75

გარეკანზე – გია დანელია – იური როსტის ფოტო

38-ე გვერდზე – ვაჟა მელიქიშვილის ქანდაკების
ფოტორეპროდუქცია – „დედა. მოლოდინი“
(*„მნუხარე საქართველო“*)

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ;
გთხოვთ, მასალების ელვერსია გადმოგზავნოთ ვორდის ფაილით;
ჟურნალის ყოველი ნომრის ელვერსია მომდევნო ნომრის გამოსვლისთანავე
განთავსდება ჩვენს ფეისბუქგვერდზე: <https://www.facebook.com/ciskari1852>

დებიუტი

ანი ქავთარაძე



●
წვიმამ ფოთლები ხეებიდან ხარბად აკენკა
და მავთულებზე ბელურები აღარ სხდებიან.
მინდა ვიარო და გზადაგზა ყველას ვუმტკიცო,
რომ გადარჩენა, ეს უთუოდ შენი მხრებია.
სუნთქვაგანაბრულ სიმშვიდეში შენ მეგულები,
მე თუ მიმიღე, შეისახლებ, ალბათ, ჩიტებსაც,
ქარსაყოლილი ფოთლებივით აღარ იფრენენ,
სულს მოითქვამენ შენს უმნიკვლო ჩანაფიქრებთან.
შენი ზღაპრული არსებობა სიზმრებში წამყვან,
ცივა, რატომღაც გამიყურდა ოდნავ სიცივე,
ამ უსარგებლო შეგრძნებებსაც დღითიდღე ვკარგავ,
შემომეჩვია ოდნავ უფრო წრფელი სიცილი,
და ოდნავ უფრო მშვიდი გაფრენა,
დღეს მავთულებზე ბელურები აღარ სხდებიან...
წვიმამ ფოთლები ხეებიდან ხარბად აკენკა
და გადარჩენა, ეს უთუოდ შენი მხრებია.
ხელისგულებში მომწყვდეული ქარისმაგვარი,
გაუსაძლისი ხასიათი – ჩემი ჩვევები,
ქარებს აყოლილ ფოთლებივით აღარ ფრიალებს,
ჩემს კარგად ყოფნას შენს ხელებში თითქმის ვეჩვევი
და ვითვლი წამებს, გაქცევამდე დარჩა რამდენი.
მე არ მჩვევია სხვის იმედად დიდხანს დარჩენა,
წავალ, გავქრები, ხასიათსაც თან გავიყოლებ,
მხოლოდ შენს თბილ მხრებს მოვიტოვებ გადასარჩენად.
წვიმამ ფოთლები ხეებს ისე ჩამოაცალა,
თითქოს თვითმკვლელი ეს ესაა ხიდან ჩამოხსნეს.
თუ გადარჩენა მართლაც შენი თბილი მხრებია,
მაშინ მოდი და ბელურებიც მხრებზე ჩამოსხი.

ჩემს თავს არ ვჩივი, სანუგეშოდ შენ მეგულები,
ოღონდ ფოთლებიც საიმედოდ მიისახლკარე.
მე კი ვერ შევძლებ დარჩენას და თანაც იქამდე,
ჩემი სატეხი ღამეები თვითონ ათიო,
ჩემში სათრევი სუსტი სისხლი შენში ათრიო...
გადასავარდნად ძლივს მიფოფხდე ფანჯრის მინამდე,
ყველა დარაბა ჩემ მაგივრად გადაამტვრიო.
წვიმამ ფოთლები ხეებს ისე ჩამოაცალა,
თითქოს თვითმკვლეელი ეს ესაა ხიდან ჩამოხსნეს...
თუ გადარჩენა მართლაც შენი თბილი მხრებია...
მაშინ მოდი და ბელურებიც მხრებზე ჩამოსხი.



●
აბა, რა გითხრა, ბევრი რამე ხდება ახალი,
ეს თვებიია, მოვუკელი ღამით ხეტიალს.
ღამპიონები თუ ოდესმე კიდევ მნახავენ,
თავს დახრიან და არც ერთ სიტყვას აღარ მეტყვიან.
ამარიდებენ ფართო თვალებს, ვითომც არა ვარ,
გააყოლებენ უცხოს მზერას, ვითომ ვერ მიცნეს.
აბა, რა გითხრა, კარგად ყოფნამ ცოტა დამლალა
და ძველ იარებს ღიმილიან სახით ვივიწყებ...
და საიდანღაც წამოსული აღარ ვბრუნდები.

მეკითხებიან: სადა ხარო, შემდეგ თვეების,
ისე უბრალოდ წამოვკრიფე გუდა-ნაბადი,
ისე უბრალოდ დავუქნიე ყველას ხელები,
რაიმეს საგზლად გაყოლება არც კი დამჭირდა,
მე გავუყევი ჩემს ბილიკებს ოდნავ დამრეცად,
უკან მიხედვა ძველი გზისკენ ისე გაჭირდა,
წამით მომინდა, ჩემი თავი მისგან დამეცვა.
აბა, რა გითხრა, წესრიგმაც კი იცის მოწყენა,
დაკეცილ ლექსებს აღარავის აღარ ვუკითხავ
და რას შევცვლიდი, ვის შევცვლიდი, აზრი არა აქვს,
არც პასუხი აქვს ამას, ვინმე კიდევ თუ მკითხავს.
აბა, რა გითხრა, მზეებია, ზამთრის ნაპირი,
ისე ველარ ვნერ, მთელი გულით, როგორც მჩვეოდა,
რადგან დამაკლდა ემოცია და არ ავტირდი,
დიდი სცენიდან მოვავორებ ჩემივ ჩემოდანს.
...ისევ ვინახავ გადაკეცილ, ფერად ნახატებს,
დღეს ყველა განცდას გადახადეს ფარდა ნოტებმა.
აბა, რა გითხრა... ხან ბევრი რამ ხდება ახალი,
ზოგჯერ კი თურმე, წესრიგმაც კი იცის მოწყენა.



...და მოვიწყენდი ჩემ გემოზე ახლა ისედაც,
წვიმას აპირებს, მეც ვინვიმებ სიტყვის მძივებად,
ჩამოვახიე ჩემს კალენდარს ოცდამეათე
გვერდი და თითქოს მენანება დასავიწყებლად
ყოველი დღე და მოგონება. წარსულს ისედაც
საკმარისი და უფრო მეტი დრო ვუსაჩუქრე.
მოგონებები მომავალზე მეტი დაგროვდა
და ველარ ვიტან გაჩუქებულ წამებით სავსე
და ამავე დროს ცარიელ და პირღია ქუჩებს.
ვერც ქვაფენილებს და ხეებქვეშ შიშველ ასფალტებს,
ვერც ღრუბლებს უკან მლიქვნელი მზის ხშირ გამოჩენას,
ასე მგონია, ამინდებიც მე დამცინიან,
ზამთრის სიცივე რომ ვერასდროს გამიყურდება.
მარტოსულობა ჩამომიჯდა თავთან და მივლის,
სიცხე მაქვს, შუბლზე დასველებულ, ცივ საფენს მადებს,
ავადმყოფურად შემომიჩნდა ასეთი ფიქრი:
როცა წვიმს, მინდა, ვინმეს თავზე მეტად ვუყვარდე.



იმდროინდელი გაღიმება სევდას მგვრის ახლა,
რადგან ყველაფერს მოგონების სურნელი ასდის,
ისევ ვსაუბრობთ, ვიცინით და მივდივართ, მაგრამ
ცოტალა დარჩა, ამ ყველაფერს, ვგრძნობ, ვადა გასდის.
მე ვერ გავბედე შეკავება შენი სითბოსი,
მე ვერ გავბედე, შენთვის ერთხელ დარჩიო მეტქვა...

რომც მეთქვა, ვიცი, ძალით მაინც ვერ დაგტოვებდი,
სისულელეა, დღეს წარსულში ფიქრი და ქექვა.
და ვტირით მერე, სინანული მატულობს ჩვენში,
ბედნიერება რომ რატომღაც დარჩა წარსულში.
ვერ მოვუარეთ ჩვენ ერთმანეთს ან, უფრო სწორად,
შენ გადამჩხეხე სევდისფერად მომზირალ ხევში.
ასეა ხოლმე, რაღაც იყო, რაღაც დამთავრდა
და ბოლოს მხოლოდ სევდა გრჩება ცარიელ ხელში.
ახლაც ღიმილს მგვრის გახსენება: გვეცინებოდა,
როგორ გვიყვარდა ტოტებდახრილ ხეებს ქვეშ გავლა,
მერე საკუთარ სიმაღლეზე ვხუმრობდით და თავს
სიცილისაგან ვრგავდით ხოლმე ჩვენ-ჩვენს ხელებში...
ახლა ხეებიც გაშიშვლდნენ და დგანან მდუმარედ,
მათ ის ტოტები, რომ გვიყვარდა, უკვე შეაჭრეს,
ისევე დავდივართ, ვიხსენებთ და ვიციინით, მაგრამ,
ველარ ვეყრდნობით ერთმანეთის სულის მოაჯირს
და რაც დრო გადის, ემსგავსება წარსულს ყოველი,
ჩამოეშვება მოგონების მერე ფარდებად,
ასეა ხოლმე, რაღაც არის, რაღაც მთავრდება,
რაღაც ყოველთვის ტკივილამდე მოგვენატრება.



დაგვიანდება, ხვალ უთუოდ დაგვიანდება,
თუ გადარეცხავს ნიაღვარი იმედთა გროვას,
მერე მივხვდებით, მერე ვიგრძნობთ, მერე ვინანებთ,
რომ არ ოცნების, არ სიზმრების, ქმედების დროა!
დაგვიანდება, დახურულ წიგნს ველარ გადაშლი,
ჩარაზულ კარებს ვერ გააღებ, თუ არ გაგიღეს,
მაგრამ ვინ არის, წყეულ დროში კარის გამღები,
გულის გამღები ან ვინ არის – მახე დაგიგეს!
ვერ დაიბრუნებ გადარეცხილ იმედთა გროვას,
ხვალ, ალბათ, ამბავს მოგიტანენ ცივი ქარები,
რომ ვერ შექმელი გეცხოვრა და სიკვდილის დროა,
მიწიდან მალე ფეხაკრეფით გაიპარები.
ხშირად შეგვაცდენს მგელი კრავად კაზმულ-მორთული,
თუ ვერ მიუხვდი, ხვალ უთუოდ დაგვიანდება!
ცხოვრება, ალბათ, მიტომ არის ასეთი რთული,
რომ ყველაფერი ჩვენ როგორც გვსურს, ისე არ ხდება.



სული მევსება გაზაფხულით... ფილტვებს მიცოცხლებს,
გულს პერანგს ხდის და მოიისფრო მანტიით მოსავს.
და რა აზრი აქვს ახლა მარტის ჩვეულ სიმორცხვეს
ანდა გაზაფხულს რა აზრი აქვს უმარტოდ, როცა
დრო არის ზეცას გაზაფხულის ფრთებს რომ შევახებ
და მერცხლად ქცეულს თვალებიდან სხივები მცვივა.

მე აღარაფერს აღარ ვამბობ იმის შესახებ,
რომ მავიწყდება ხანდახან თუ მერცხლებსაც სცივავთ.
დრო არის, უნდა ჩავისუნთქო მარტი თავხედი
და ტკივილები ჩაანაცვლოს ბედნიერებამ.
იცი? მე უკვე დავივიწყე, როგორ ნახვედი
და შემოძლია ვთქვა, რომ თითქმის ბედნიერი ვარ!
რომ ის სეზონი, მე რომ მიყვარს, გაზაფხულია
და რომ ნაღველი ზამთრის სუსხთან ერთად გამიქრა,
მკვდრეთით აღმდგარად ჩამთვალეთ დღეს, თქვენ ეს თუ გინდათ,
რომ, როგორც იქნა, სიყვარული გადამაფიქრდა.
რაც მესურვება, იმას ვიზამ, ჩემი გზით ვივლი,
„მკვდრეთით აღმდგარმა“ რომ ცოცხლებში ადგილი ვპოვო,
ამ წლების შემდეგ, როგორც იქნა, ერთ რამეს მივხვდი –
რომ გაუსაძლის ტკივილებსაც ჰქონიათ ბოლო!



გწამდეს, ვერ ვიქნები კარგად,
ფიქრებს სინანულით მივსებ...
ისევ გპოულობ და გკარგავ,
გკარგავ და გპოულობ ისევ...
სევდა ჩაელვართ რითმებს,
წვიმაც სევდიანად შრება,
რჩებათ ტკივილები თითებს,
თითებს ტკივილები რჩებათ.
სულზე გადავიმტვრევ დარდებს,
ცრემლებს ჩამოვიკრეფ ციდან...
მცივა, მარტო ვარ და ისევ,
ისევ მარტო ვარ და მცივა.
პირველ განვიმების ფერად,
პირველ განვიმების მსგავსად,
გკარგავ, გპოულობ და გხედავ,
გხედავ, გპოულობ და გკარგავ.
სევდა ჩაელვართ რითმებს,
ცრემლიც სევდიანად შრება...
რჩებათ ტკივილები თითებს,
თითებს ტკივილები რჩებათ.



უფალო, ყველამ მიმატოვა, შენლა შემომრჩი.
შემინდე, მხოლოდ გასაჭირში თუკი გაკითხავ,
რა ვქნა, თხოვნებს და აღსარებებს შენთან ვერ მოვრჩი
და იქნებ ესეც მაპატიო, მეტი რა გითხრა...
უფალო, მიჭირს, ხორცი მენვის, სული მადნება,
თვალეებში ცრემლის ტბებიც დაშრა, ნვეთიც აღარ ჩქეფს,
გთხოვ, მომიტევე ყველა ცოდვა და შეცოდება,
ყველა ნაბიჯი მომიტევე – იქნებ გადავრჩე!

უფალო, ისიც მაპატიე, თუკი ოდესღაც
დაგივინწყე და შენთვის უკვე აღარ ვლოცულობ.
შემინდე, რა ვქნა, ასეთია კაცის ბუნება,
დამნაშავე ვარ, გაჭირვების ჟამსაც მოსულო.
უფალო, ვიცი, გული გტკივა შენს ცოდვილ შვილზე,
ყოველთვის ვხედავ შენს მაშველ ხელს, ჩემკენ გამონვდილს,
მე – ზოგჯერ ურცხვად თავმალალი – სხვისკენ თითს ვიშვერ,
შენ კიდევ მთელი თავმდაბლობით თვითონ ჩამომწვდი.
თვალეზს გიმიზნებ (ცოდვით სავსეს) ცისკენ, უფალო,
სირცხვილით ვკვდები, რა ნამუსით გთხოვო შენდობა.
როცა შემოქმედს აღარაფერს აღარ
ვუმადლობ,
მაგრამ უფალი, ღმერთი ჩემი, თვითონ მენდობა.



ნათია როსტიაშვილი



ბადატიხრული დღე

აჭარული „განდაგანა“

შევნიშნე თუ არა, გამაცია. თბილისის სხვადასხვა უბანში კი რამდენჯერმე მინახავს ამ ქალის ცეკვა, მაგრამ აქ, ბათუმშიც თუ შემხვდებოდა, ვერაფრით ვიფიქრებდი. ახლოს მისვლა ვერც ერთხელ ვერ გავბედე, მაგრამ შეჭალარავებული თმით და მკვეთრი გრიმით არც შორიდან აგერევა ვინმეში.

აღფრთოვანებული მაყურებლის მოგროვილ მონეტებს და ქალაღდის კუპიურებს ხელს არასდროს აკარებს. არასდროს იღიმება და არასდროს არავის პასუხობს შეკითხვებზე. უპასუხოდ დარჩენილი ხალხისთვის კიდე ყველაზე იოლი ამ ყველაფრის ფსიქიკური პრობლემით ახსნაა.

ამჯერად აჭარულს ცეკვავს. ცეკვავს და ვუყურებ დაძაბული. მეც ჩემი აკვირებები მაქვს, ჩემი ფსიქიკის უხილავი ჯამბაზები მბურთავენ ნაირნაირ ფობიებთან ერთად, სინქრონში.

გარშემო იმდენი ხალხი ახვევია... ხან მხოლოდ ამის ხელის მტევნები ამოფრინდებიან მაყურებლის თავზემოთ, თერთრი, დამფრთხალი ჩიტებივით, ხანაც, როცა ვინმე წრიდან გამოდის, გამოთავისუფლებულ ადგილას იმის მუქმინდისფერი კაბის კალთა ფრიალებს აწრი-

ალებული. სანამ ვილაც სხვა ჩადგება და ცოცხალი წრისგან შეკრულ გალიას ისევ ჩაკეტავს, შეიძლება, წამიერად მოცეკვავის მთლიანი სილუეტიც გამოჩნდეს – გამხდარი, გამხდარი, გალუული...

შორიდან ვაკვირდები და აქა-იქ გაელვებული ფრაგმენტებისგან წარმოსახვაში მთლიან ქალს ვკინძავ. ვიცი, როგორც არ უნდა მოინდომო, ამ ავადმყოფურად გამხდარი, ჩემზე ამკარად უფროსი ქალის ფრაგმენტებისგან ჩემი კლასელი ნუცი ვერანაირად გამოდნება. ვიცი და მაინც ვერც ერთხელ ვერ გავბედე ახლოს მისვლა. აკვირებული შიში მაქვს, რომ აი, მივალ და ამ უცნაური მოცეკვავის ნაცვლად ხელში ჩემი ნუცი შემრჩება.

ნუცი, რაც თავი მახსოვს, სულ ცეკვაზე დადიოდა და სხვანაირად ცხოვრება ვერც წარმოედგინა. „ცეკვის რვეულიც“ კი ჰქონდა, თემატური ჩანანერებისთვის. სტუმრად რომ მივდიოდი, გამოაძვრენდა ხოლმე ლეიბის ქვეშიდან და მიკითხავდა.

ერთ კორპუსში ვცხოვრობდით. მესამე-მეოთხე კლასში ვიქნებოდით, სახლი რომ გაყიდეს და მას შემდეგ მასზე აღარაფერი გამიგია. როცა მომენატრებოდა,

ნასვლის წინ რომ „ცეკვის რვეული“ მაჩუქა, იმას გადავშლიდი ხოლმე და ნუცის ხმით ვკითხულობდი.

ჩანაწერი ნუცის რვეულიდან: „აჭარული ცეკვა „განდაგანა“ სატრფიალო ხასიათის ცეკვაა. ის სცენაზე პირველად 1946 წელს დაიდგა. მასში ნაჩვენებია ქალ-ვაჟის ერთმანეთისადმი ტრფობა და ლტოლვა“.

„სამაია“

ეს ჭალარა ქალი პირველად ჩემი სამსახურის ფანჯრიდან დავინახე. სამაიას ცეკვა ვადა მაშინ... მარტო... სამი ქალის საცეკვს რომ მარტო ცეკვადა, ეგეც საკმარისი იყო ჩემს დასათრგუნავად და პლუს, ის დღეც გამახსენა, წლების უნახავ ნუცის რომ შევხვდი ქობულეთში. ნუცის და მისი მეგობრების სამაია გამახსენა და გული დამიმძიმა.

ოფისის ფანჯარა მივხურე, ჟალუზი ჩამოვუშვი, კომპიუტერის მონიტორზეც დავხურე სამუშაო ფანჯრები და დავჯექი, დაწვრილებით გავიხსენე აგვისტოს ის უცნაური, უხილავი ტიხრით გადატიხრული, ქათქათა თეთრ და მუქმავ ნახევრებად გადაყოფილი დღე.

აგვისტოს დასაწყისია... ჩემი პატარა ბიჭი ქობულეთში დასასვენებლად მყავს წაყვანილი. „ხაზეიკის“ ვინრო სამზარეულოში ერთდროულად ხუთი ქალი მაინც ვამზადებთ სადილს.

ჭიშკართან მანქანა გაჩერდა. ახალი დამსვენებლები ჩამოვიდნენ. ვიღაც გადმოვიდა და ისე სწრაფად შემოირბინა ეზოში, თვალი ვერ მივასწარი.

სამაგიეროდ, მძლოლი შევათვალე ერთ საფუძვლიანად. მაღალმა, სიმპათიურმა ბიჭმა მანქანის საბარგული გახსნა და იქიდან თეთრზონარგამობმული ჰელიუმის ნითელი ბუშტები ამოფრინდნენ. ბიჭმა კუდში ხელის ნავლება მოასწრო. გამოგვხედა და გვიცინის ბედნიერად. თან მეორე ხელით გვანიშნებს, მოდითო. უფრო სწორად, სამზარეულოს ფანჯარა-

რასთან უნებურად შეგროვილებს ასე მოგვეჩვენა და, როგორც კი დერეფნიდან ვარდისფერსარაფნიანი გოგო გამოვიდა და ბიჭისკენ გაიქცა, ხუთივე უხერხულად შევიშმუნეთ.

სამზარეულოდან გამოსვლისას, პირისპირ შევეჩეხე ვარდისფერსარაფნიანს და ერთმანეთს რომ უნებურად გავუღიმეთ, უცებ არ ვიცანი?!

– ნუციი!..

დიდად არ იყო შეცვლილი. მე ხომ ანმყოში ვარ უკვე და იმას თითქოს წლები არ მომატებია, ჯერ კიდევ წარსულშია, იქიდან მიყურებს. ჩემი ბავშვობა გამახსენდა და ლამის გული ამიჩუყდა. თვითონ ვერ მიცნო, დაიბნა. არ გამკვირვებია, რაც ბავშვი გავაჩინე და გავსუქდი, ლამის თვითონაც ვეღარ ვიცნო საკუთარი თავი. უფრო სწორად, ჯერ გავსუქდი და მერე გავაჩინე, მაგრამ ასე პირიქით ვამბობ ხოლმე, თავის მართლებასავით.

ამასობაში ის ბიჭიც მოგვიახლოვდა და ხან ნუცის უყურებს გაღიმებული, ხან მე.

– მე ნუცის ბავშვობის მეგობარ-მეზობელი ვარ, მარიაში, – ვეუბნები, თან ნუცის ვაკვირდები, აბა, თუ გავახსენდი.

– მე – ნუცის მეგობარ-მეუღლე, სანდრო! – ხელი ჩამომართვა. – ჩანთებს ავიტან, ნუც.

– ვაიმე, მარიაში!

ნუციმ მიცნო და ისე ჩამეხუტა, ის ჩვენ შორის გაჩხერილი წლები სულ ლანალუნით ჩაიფშხვნენ და შევრჩით ერთმანეთს ძველებურად ახლოები. ქმარს აღარ აჰყვა ოთახში, ჩემთან შემოვიდა. იმდენი ვილაპარაკეთ და ვიცინეთ, დროის შეგრძნება დაგვეკარგა.

მომიყვა, რომ სანდრო რამდენიმე წლის წინ ბათუმში გაიცნო. ისიც მოცეკვავეა. ნუცი იმავე წელს სანდროს ანსამბლში გადასულა და, საბოლოოდ, მათგან წარმატებული წყვილი შემდგარა.

„როგორც სცენაზე, ასევე პირად ცხოვრებაში!“ – თეატრალურად დააყოლა და ამ სრულიად არასასაცილო ფრაზაზე სიცილით მოკვკვდით. ბავშვობაში

ვიცოდით ხოლმე ასე – გულიანი სიცილი არაფერზე.

მომიყვან, რომ წარმატებული კარიერის გამო ბავშვის გაჩენისგან თავს იკავებდნენ და ახლა უკვე გადაწყვიტეს, რომ თუკი ფეხმძიმედ დარჩება, აუცილებლად გააჩენს.

– სანდროს მამა ხეზე კვეთის ცნობილი ოსტატია... – მიყვება... – სანდროს დედა რომ გარდაიცვალა, ამ საქმეს შეეშვა თურმე და ახლა, ერთადერთი შვილი რომ დაუოჯახდა, ისევე მიუბრუნდა. ჩემს მოსახელე შვილიშვილს მეფუერი საჩუქარი უნდა დავახვედრო და ერთი განახა, ნამდვილ ხელოვნების ნიმუშს ქნის! თავის ჩუქურთმებით, ორნამენტებით და ამბებით. იცი, რა ლამაზია? ლამის საკუთარი მომავალი შვილის შემშურდეს.

ვიცინით.

– და რაზე კვეთს მაგ ჩუქურთმებს? რა საჩუქარია? – ვეკითხები და მახსენდება, ბავშვობაშიც ასეთი მოყოლა იცოდა, რაღაც მნიშვნელოვანი აუცილებლად გამოჩნებოდა ხოლმე და დამატებითი კითხვები რომ არ დამესვა, ვერაფერს გავიგებდი.

– საჩუქარი გახლავთ... სკამი!

სკამით და... ხომ არაფერია სასაცილო, ხმით ვიცინით მაინც, ჩვენებურად, ალოგიკურად.

– კიდევ კარგი, სკამია და არა აკვანი, თორემ ჩემი ამბავი რომ ვიცი, უარის თქმა მომერიდებოდა და ოცდამეერთე საუკუნეში ჩავაკრავდი იმ ჩვენს საწყალ ბავშვს აკვანში.

ვხარხარებთ, ვერ ვჩერდებით...

– ანუ თავისი სახელის დარქმევა უნდა, ხომ? და რა ჰქვია სანდროს მამას?

– იმასაც სანდრო. ალექსანდრე...

ისე ვიცინით, ვბჭირდებით. ბავშვობაში რამდენიმენამიანი დაბრუნების შანსს ვაძლევთ საკუთარ თავსაც, ერთმანეთსაც.

მერე იყო, მოცეკვავე დაქალები რომ მოუვიდნენ და ეზოში სამაია გვიცეკვეს. ისე მინდოდა, იქ შეკრებილი დამსვენე-

ბლები ჩამომეველო და ყველასთვის სათითაოდ მეთქვა: „იცი, აი, ეს გოგო, შუაში რომ დგას, ჩემი მეგობარია, ერთად ვართ გაზრდილები“.

ცეკვავს სამი ჩამოქნილი სხეული „სამაიას“ ჩვენი „ხაზეიკის“ მყუდრო ეზოში და მე მარტო ერთის, ნუცის უგრძელეს თითებს, ულამაზეს ნაკვთებს, მბზინავ ნაბლისფერ თმას და თვალ-წარბს მივჩერებივარ ისეთი სიამაყით, თითქოს რაიმე ნვლილი მიმიძღვოდა ან ერთში, ან მეორეში, ან მესამეში, ან მეოთხე-მეხუთეში.

უცებ კიბეზე სანდრომ ჩამოიბრინა, მუსიკა გამორთო და მაშინ იყო, უხილავი ტიხრით რომ გაყო ის დღე. გამორთო მუსიკა და სრულიად დაუჯერებელი რაღაც თქვა:

– ომი დაიწყო!.. ნავედით!..

ამ მუსიკაგამოცლილ, უბგეროდ დარჩენილ, გამოცარიელებულ სივრცეში ორმაგად უფრო დამზაფრავად გაისმა ეს ორი სიტყვა: „ომი დაიწყო!“

ახალამოლაგებული ბარგი ისევე მანქანაში ჩაალაგეს და ისევე თბილისში წავიდნენ.

ბუშტები უკან აღარ წაუღიათ.

ჩანაწერი ნუცის რვეულიდან: „ცეკვა „სამაია“ ეძღვნება ნაყოფიერების ღმერთს – მთვარეს. ძველად ამ ცეკვას ძეობის დღესასწაულზე ასრულებდნენ. ამჟამად გავრცელებული „სამაია“ სამეულის პრინციპზეა აგებული და სრულდება ქალთა სამეულის მიერ.“

„ქალთა“

მეორედ მშობლების მოსანახულებლად რომ ვიყავი და უკან ვბრუნდებოდი, მაშინ მოვკარი თვალი. ჩვენი უბნის სტადიონი თითქოს სასრიალო მოედნად იყო გადაქცეული – კი არ ცეკვავდა, დასრიალებდა ნისლივით ჩამოწოლილ მუსიკაში „ქალთას“ თხელი, მოთეთრო-მოცისფრო, ღრუბლისფერი კაბით. საღამო იყო და ორიოდე ლამპიონის მქრქალი

განათების ფონზე, ამ უცნაური ქალის გრძელ, გაღებულ მკლავებზე ფრთებივით მოფრიალულ თხელი ქსოვილის ფარფაცს რაღაც ისეთი მისტიკური მუხტი მოჰქონდა, გნუსხავდა. თან ისე, რომ ვერც მიუახლოვდებოდი, ვერც შენს გზას განაგრძობდი მშვიდად. ეგრე შორიდან უნდა გაბმულიყავი იქიდან გამოსხივებულ უხილავ აბლაბუდაში და მერეც, როცა თავს დააღწევი, მაინც დიდხანს გეგრძნო იმ გამჭვირვალე, უხილავი ძაფების შეხება, მკლავებსა და წვივებზე შემოტმასნვა.

ჩანანერი ნუცის რვეულიდან: „ცეკვა „ქალთა“ ანუ „ნარნარი“ ძალიან ლამაზი საყურებელია, მას ნარნარი მოძრაობით ცეკვავენ ქალები. თითქოს ღრუბლებში დაცურავენ. ამ ცეკვას ასრულებდნენ საზეიმო თავყრილობების დროს.“

მივჩერებივარ და ვერაფრით ვიჯერებ, რომ ბათუმშიც შემხვდა. ცეკვავს და ცეკვავს გამხდარი ქალი „აჭარულს“. ცეკვავს, არ ჩერდება. ასე მგონია, ოცდაათი საათი მაინც გავიდა, ან თოთხმეტი ან ჩვიდმეტ-ნახევარი. ჩემი ბიჭი, როგორც კი „განდაგანა“ შემოესმა, გაიქცა, მუსიკის ხმას გაჰყვა. ვეძახი და მივდეგ გულაჩქარებული. ვერც ვენევი, არც ჩერდება. უკვე ვნანობ, ქობულეთიდან ერთი დღით ბათუმში რომ გამოვასეირნე. მივდეგ და, რაც უფრო ვუახლოვდები ცოცხალ წრეს, ჩემი გულისცემაც უფრო მატულობს. წრესთან რომ მიივლინა, გაჩერდა, დამელოდა... კიდევ კარგი!..

– დე, მეც ხომ ვიცი აჭარული?! – გაბრწყინებული თვალებით მეუბნება. – ცეკვის ჩუსტები კი წამოვიღე თბილისიდან, მაგრამ ქობულეთში დავტოვე, ბეტმენიანი პარკი რო მაქვს, იმაში ჩავდე და უჯრაში შევიწინახე. ნეტა წამომელო!

უცებ მივხვდი, რომ სულ ტყუილად დავმშვიდდი, ერთი სული აქვს, წრეში შევარდეს და იმ ქალს გამოეცეკვოს. სანამ ამის მიხვედრა და შეშინება მოვასწარი,

გაიქცა, რამდენიმე სარტყელიანი წრის ბოლო მწკრივი გაარღვია და მიიწეწა წინ. გაოგნებამ უცებ გამიარა და დაზაფრული ვეცი წრეს, გავეკიდე.

● დედაჩემს ჩემთან ნუციზე საუბარი მას შემდეგ ავუკრძალე, ნუცის მამიდა შემხვდაო, რომ მითხრა და იმის მოყოლილი ამბებით გული გამიხეთქა.

– ქმარი აგვისტოს ომში მოკვდომია, სანყალს... – თქვა თუ არა, დედაჩემი გაქრა. მის ნაცვლად ვხედავ, როგორ ამოფრიალდნენ საბარგულიდან წითელი ბუშტები. თეთრზონარგამობმულები, მსუბუქები. ვხედავ, როგორი ლამაზია ნუცი, როგორ ძალიან ლამაზია ნუცი, სანამ სანდრო მუსიკას გამორთავს და იმ ორ მძიმე სიტყვას წვალებით ამოაგდებს მჭიდროდ მოკუმული პირიდან. საზღვარს ვხედავ, რომელიც ამ ორმა სიტყვამ უხილავად გაჭრა. გაჭრა და დროსა და სივრცეში ყველაფერი ორად გაიყო: „ომი დაიწყო“ და „ომი დაიწყო“ შემდეგ.

– იმ უბედური ბიჭის მამა თურმე სკამს თლის კაკლის ხის ქვეშ და მისულა მეზობელი, – ყვება და ყვება დედაჩემი, არ ამთავრებს. – ცუდი ამბავი მიუტანია და ეს კიდევ ამ სკამს არ ეშვება, თურმე, ნუცის მამამთილი, თითქოს არაფერი, თლის ისევ. წასულა, როცა იყო, მეზობელი, კი გაჰკვირვებია, აბა, რა იქნებოდა, ასეთი რეაქცია, უფრო სწორად, ურეაქციობა... ბოლოს უფიქრია, ომში შვილგაშვებული მამაა, ეტყობა, ყველაფრისთვის წინდანნი ჰყავდა თავი შემზადებულიო. დაუსრულებია ამას, მამამთილს, იმ სკამის გაკეთება და არ ასულა ზედ?! ასულა და...

დედაჩემის სახესთან ერთად, უკვე ხმაც ქრება და აქა-იქლა მესმის ფრაზები: „ის უბედური“... „მანამდე სახლში ხანძარი გასჩენიათ თურმე“, „ეს ქალიც, მამიდა, ისე ჩამომდნარა, ძლივს ვიცანი...“ მაგის ბიჭები გახსოვს შენ? გახსოვს ტყუპები, მარიამ?“

მახსოვს, როგორ არ მახსოვს ნუცის ტყუპი მამიდაშვილები. ერთხელ ნუცისთან ავედი და ეგენიც იქ დამხვდნენ, ომობანას თამაშობდნენ. ნუცის პაპა უყურებდა იმათ მხიარულ ომობანას და უცებ, რალაცნაირი, ძნელად გასაშიფრი ტონით ეკითხება:

– იცით თქვენ ომი რაა?!. არ იცით, პაპა. ნურც გაცოდინათ...

– ვიცით! – ტყუპები პასუხობენ და პლასტმასის თოფებს ახმოვანებენ: – ბა-ბაახ!

– ჩვენც ვიცით! – ეუბნება ნუცი. – ბა-ბაააააახ! – ხმოვანი, სადამდეც სუნთქვა გასწვდა, განელა, ტყუპების პასუხს რომ „მოუგოს“.

– სსუ! – პაპამისი ეუბნება. – ომი გოგოებს არ ეხებათ! – და ისევ ტყუპებთან აგრძელებს ლაპარაკს.



წრე ბოლომდე რომ გაარღვია ჩემმა შვილმა და უკვე საცეკვაოდ უნდა შესულიყო, მაშინ ჩავავლე მკლავში ხელი და უკან გამოვქაჩე. ამ დროს იყო, მოტრი-ალდა ჩვენკენ ის ქალი ცეკვა-ცეკვით და შავი ფანქრით სქლად შემოხაზული ქრი-ლიდან სრულიად გულგრილი, ცარიელი, უშუქო და მაინც ნაცნობი... ნაცნობი, ნაცნობი თვალელები დავინახე. დავინახე და შემეშინდა. ოღონდ, აჯერად, შიშმა ადგილზე კი არ გამაქვავა, პირიქით, უცებ ჩემს შვილს მკლავზე მოვქაჩე და სასწრაფოდ გამოვიყვანე წრიდან. კი არ მიმყავს, მივარბენინებ.

ეგრე მშიშრულად, ეგოისტურად, დამპლურად გამოვიქეცი და, კოჭებიდან რომ დამეწყო, ყოველ ნაბიჯზე მალლა და მალლა ამოვიდა, ხვიარასავით მთელ სხეულზე მომედო უცებ და ლამის გამგუდა საკუთარი თავის სიძულვილმა. თან ვერ ვიჯერებ. როგორ შეიძლება ეგრე მომხდარიყო? თითქოს მე ანმყოში ჩავრჩი და იმას კიდევ წლები მოემატა, უკვე მომავალშია, იქიდან იყურება.

„ხორუმი“

ბავშვმა დაიძინა და მე რა დამაძინებს. თვალახელილი ვწევარ გულალმა და ვაკვირდები, ჭერზე გადაბნილი ლაქები როგორ მუქდებიან, როგორ იწყებენ მოძრაობას.

შავ-თეთრ კადრებად ვხედავ, დანახ-შირებულ სახლში ჩადგმულ ორ კუბოს შორის, როგორ უძრავად ზის ჩემი ლამაზი მეგობარი. ზის თავის ვერდაბადებული შვილისთვის მოჩუქურთმებულ სკამზე და მზითგამოტენილი თვალელებიდან შუქი ნელ-ნელა ენრიტება. ხალხი გარშემო წრეს არტყამს და ამის მკვდრებს ახარისხებს: „აქეთა ეკლესიაში უნდა დაასვენონ, იქითას ეკლესიაში არ შეესვლება“. წრეს უვლიან და ჩურჩულებენ: „იმ სკამზე ზის, ის რომ თოკის მისანვდომად ავიდა. მაგაზე როგორ დაჯდა? შეიშალა? შეიშალა. თან არც ტირის“...

სიცხიანივით მაციებს, ვკანკალებ. თვალელები დავხუჭე, აღარ მინდა ამაზე ფიქრი, უნდა დავიძინო.

დავხუჭე და ვხედავ, როგორ დაფრი-ალდა მუქშინდისფერი კაბა, დააბზრიალა მთელი სხეული და აჰა, კეფა აღარაა, სახეა ჩემკენ. მიცნო? ვერ მიცნო? ჩემს მოლალატურ გამოქცევას მიხვდა? ვერ მიხვდა? იმის მეხსიერებას და ფსიქიკას შეუძლიათ ამ ყველაფრის ანალიზი?

ვხედავ, როგორ დადის საცეკვაოდ უბნიდან უბანში, ქალაქიდან ქალაქში და უცებ მივხვდი: ეს ცეკვები და ადგილები არაა შემთხვევითი! მართლა კი არ შეიშალა, ომმა და სიკვდილმა კი არ დაამარცხა – ცეკვაა ამის პასუხი ომზე. ცეკვაა ამის იარაღი. ცხოვრებაზე ხელი კი არ ჩაიქნია, კი არაფერი დაავიწყდა, პირიქით, ცეკვით ჰყვება თავის ამბავს. ყველაფერს ჰყვება: ბავშვობის უბანში გატარებულ ზეიმებზე, სანდროს გაცნობაზე, თავის მარტო დარჩენასა და ვერგაჩენილ შვილზე, ვერშემდგარ ძეობაზე... ყველაფერს ჰყვება, ყველა ამბავს

ცეკვავს და ომის ფეხებთან სანწყლად კი არ იკუნტება, ცეკვით ამარცხებს. სუსტი კი არა, წარმოუდგენლად ძლიერია!

●
ძლივსმოსულ ძილს წარსულში მივყავარ. ნუცის ოთახი მესიზმრება, იმისი სახლის სუნი. ტყუპებისკენ მიტრიალებული პაპამისის ზურგს ქვევიდან ავყურებ და ვეუბნები, რომ ომი ყველას ეხება. გოგოებსაც. გოგოებს უფრო! ნუცის პაპის ზურგს არ ესმის და ნუცის პაპა ისევ ტყუპებს ეკითხება: „იცით თქვენ, ომი რა არის?!“ „ვიცი! – პასუხობენ ტყუპები: – ბა-ბაახ!“

„ომი სკამია,“ – ვამბობ ჩურჩულით და ნუცი კვდება სიცილით. – „სხვისი სიცოცხლისთვის გამოთლილი სკამი, რომელსაც შენი სიკვდილისთვის იყენებ“ – ვამატებ.

ნუცი ისე ხარხარებს, ცრემლი მოსდის და ტყუპები კიდევ ამ დროს, ხის ჯოხებად გადაქცეულ პლასტმასის თოფებს რიგრიგობით ურტყამენ უზარმაზარ დოლს.



ამ დარტყმის რიტმს გამოვყავარ ცხადში. გამოვყავარ და კი არ იფანტება, პირიქით, უფრო მკვეთრად ისმის, რომელიღაც ნაცნობ, მკაცრ, რიტმულ მელოდიად კონინდება. ჯერ მიჭირს ამოცნობა და თვალს რომ ვახელ და საბოლოოდ ვფხიზლდები, მაშინვე ვცნობ – „ხორუმი“.

ხმა ეზოს ქიშკრის მხრიდან შემოდის. შემოდის და მოაქვს ჭალარა მოცეკვავის ამოუცნობი მისტიკა. უცებ მახსენდება, რომ, რისიც ყველაზე მეტად მეშინოდა, უკვე მოხდა, რომ ის „ამოუცნობი“ სულაც აღარაა ამოუცნობი და გულზე მეშვება. მეშვება და მერე უცებ ორმაგი ძალით მიჭერს ყელში. დღეს ნუცის და სანდროსთან ამ სახლში შეხვედრის დღეა. ის დღეა და გარეთ ნუცი „სამაიას“ ნაცვლად „ხორუმს ცეკვავს. წარმოდგენა არ მაქვს, ამას როგორ ახერხებს, მაგრამ ნუცი აქაა და ამდენი კაცის საცეკვ „ხორუმს“ მარტო ცეკვავს!

ჩემს ბიჭს გავხედე – სძინავს. ამან ჯერ რა იცის, ომი რაა. ჯერ ისიც არ იცის, რომ ყველას ჩვენ-ჩვენი წილი გვაქვს საომი და ამისათვის „ბა-ბაახი“ აუცილებელი სულაც არაა.

– დეე, – ვალვიძებ. – შემომხედე... გაიღვიძე... მისმენ?

თვალს სანახევროდ ახელს და მე თვალბანთებული ვეუბნები:

– ბეტმენიანი პარკი რომელ უჯრაში შეინახე, დე? ადექი, მოვძებნოთ.

ჩანანერი ნუცის რვეულიდან: „ხორუმი“ უძველესი საომარი ცეკვაა, ათასობით წლით თარიღდება. მას მხოლოდ მამაკაცები ასრულებენ. „ხორუმი“ ქართველი ხალხის სიძლიერეს გამოხატავს და სიმბოლოა ქართული მეომრული სულისა და ვაჟკაცობისა.“

გიორგი კეკელიძე



სხვა გურული ღლიურები

სიცოცხლე და მესაფლავეები

ოდესმე გინახავთ წვიმაში, მიცვალე-ბულის მომლოდინე სასაფლაო? შორიდან ამოთხრილი მინა მოჩანს. თქვენ გგონიათ ცარიელია და ამ დროს გამზადებულ სამარეში ოთხი მესაფლავე ზის: გოგილო, ომარიე, ზურიე და ბუგატა – მაღალი რეზინის ფეხსაცმელებით, გაქექილი ბუმლატებით, დახეთქილი ხელებით... აქვთ პომიდვრის მჭავე, ყველი, პური, არაყი... ამოთხრილ საფლავს თავზე დიდი ცისფერი, დაბრეცილ ჯოხებზე გაფენილი ცელოფანი ახურავს.

– ე, გამოჩნდნ აღმართზე, ამეიყვანენ სანყალს უკვე, – ამბობს, ომარა – წვერიანი, გაბურძგნული კაცი, მუდამ გაფუჭებული თევზის სუნი რომ ამოსდის პირიდან.

– მუვასნრებთ ვორ-ვორს, – კასუხობს გოგილო. ცოტა ენა ებმება და მეზღვაურის მაისური აცვია. ჭუჭყიანი და სველი.

– აბა, გუუმარჯოს საცხა წავა და იქნება!

– გუუმარჯოს, გუუმარჯოს! – იმეორებს ყველა.

– უფ, რაფერი ენამოსნრებული კაცი იყო სანყალი! – ამომარცვლავს დაღვევის შემდეგ არყის სიმჟავისგან დაჭყანული ომარა და აგრძელებს: – აბა, უცბათ ვახსენოთ ყოვლადწმინდა და მივასუფთაოთ აქოურობა, თვარა ამეიყვანეს მკტარი. აქანე თუ დავხდით, ნათელიე აღარც საროჩკას მოგვცემს და აღარც ნასკებს და ჩაატანს ჟორაიას.

ნათელიე გარდაცვლილის ცოლია. საროჩკა და ნასკები – სავარაუდო საჩუქარი მესაფლავეებისთვის. და აღაგებენ... და, სანამ მიცვალებულს მოასვენებენ, სადღაც ქრებიან. ასე იოლადა და მსუბუქად უთმობს ადგილს სიცოცხლე სიკვდილს და მერე – პირიქით. ოდესმე ბუგატასაც დამარხავენ და ომარისაც. მათ საფლავშიც იჯდება ვინმე. და, რატომღაც, ასე მგონია, რომ, სანამ ვინმე იჯდება საფლავში, სადღაც, რომელიმე სოფელში მაინც, მანამდე დაამარცხებს სიცოცხლე სიკვდილს. რატომ მგონია, არ ვიცი, მაგრამ მგონია.

თხილი მათი არსობისა

ხანდახან შენი თავიც გავიწყდება. აი, ის – ოციოდ წლის წინ მამას რომ მისდევდი. მამა თხილის ჩამბარებლებთან მიდიოდა კაჭკით. კაჭკაზე ფქვილის ტომრებში ჩაყრილი თხილით. და დედა გაბარებდა: არ ამოილო, არ გატეხო, კბილს აფუჭებსო. შეიძლება იმიტომ, რომ მართლა კბილს აფუჭებდა, შეიძლება სხვა რამის გამოც, რადგან ჭირდა და ჯობდა, პური გვეჭამა, ვიდრე თხილი. და თხილი პურს ყიდულობდა – ფქვილის ტომრებში გამოკრული თხილი.

ბოლო სამი დღეა, ჩვენი სამუშაო დილა მეთხილეების უცნაურ ოთახებში იწყება. მე და ლევან კოლუაშვილი ფილმისთვის მასალას ვეძებთ – ამბებს, ადამიანებს. ჯერ მარტო ოთახებია დიდი კინო – ათასწერილმანიანი, ფერადი უიმედობით. ეს ხალხიც მსგავსია მათი, ვინც აბარებს, იმნაირივე – მეზობელი, ნათესავი... ერთნაირი დარდი აქვს და დარცხვენა. შემონმების სცენაც ტკივილიანია – ფაროსანით დასეტყვილი თხილიდან გაფუჭებულის ამორჩევა ოცი ნიმუშის დატეხვა და ფასის პროცენტის გამოყვანა. ამ დროს მართლა გრძნობ, რომ დამტეხავის მიწაც იწვის, თხილის პატრონისაც და შენიც. „ა, დავთვალე ნაირა და ოცში თორმეტია გაფუჭებული. მოი, ვითომ ათია გლახა, ისე დაგითლი და გეკუთნის ათი ლარი ორმოცდათხუთმეტი თეთრი“. „რას იზამ!“ – ამბობს ნაირა – ძალიან ლამაზი ქალი – სავარაუდოდ, სკოლის მასწავლებელი ან ექთანის და ფულს ფრთხილად იღებს. და რა იმალება ამ ერთი ცელოფნის პარკში ჩაყრილი თხილის უკან, ათ ლარსა და ორმოცდათხუთმეტი თეთრს უკან? – კარაქი და მაკარონი? ნამლები? ბავშვის რვეული? გვინდა, გავყვეთ მათ დილებს და საღამოებს, მათ ოცნებებს, სადღაც წლების წინ რომ ფეხი წამოჭ-

კრეს, ნაიბორძიკეს და, ალბათ, ძილის წინ წამით იღვიძებენ.

წლებია, მათი ყოფა ამ თხილის ირგვლივ იძვრება. სამყაროს ცენტრია სათხილე, რადგან მომავალი წელი მოსავლის მიხედვითაა უკეთესი და უარესი.


ეს ხალხი სულ გვაგინებდა, არ ვიმჩნევთ. რაღაც თითქოს დიდსა და მნიშვნელოვანზე ვმსჯელობთ, ერთმანეთს ვემოყვრებით და ვემტერებით ამ მნიშვნელოვანის გამო და მხოლოდ ეს მნიშვნელოვანი გვგონია მნიშვნელოვანი. არადა, უმნიშვნელოა. არადა, დამვიწყებლები დავიწყებულებზე ცოტა ვართ და სიცოტავე რა მოსატანია, უფრო არამთავრი ხალხი ვართ. მერე რა, რომ საინფორმაციო საიტების ტოპ-ამბებში მხოლოდ ჩვენ ვჩანვართ, ისინი კი ფარდულებში სხედან, თხილის ტომრებთან. თქვენ კი არ გაქილიკებთ, ხომ გითხარით, სხვა კი არა, ხანდახან ჩემი თავიც მავიწყდება-მეთქი. მაცდურია ეს ყოფა – ხიდს გადმოღმა. აქაც თხილია, „სხვა თხილი“ და შექცევა იცის. არდა, „კბილს“ აფუჭებს. ძალიან, ძალიან აფუჭებს. ხომ ამბობდა დედაჩემი.

მამაჩემი, მამაშენი და მამამისი

ეს ადრეც მოვყვევი: საავადმყოფოში, გარდაცვალებამდე ასე ერთი კვირით ადრე, მამაჩემმა მითხრა, ევროპის ჩემპიონატს ახალ, დიდ ტელევიზორში ვუყურებო. თქვენ იცით რა არის ახალი, დიდი ტელევიზორი? გაგიმხლეთ: მე და მამაჩემმა ერთ მსოფლიოს და ერთ ევროპის თამაშებს ვუყურებთ ერთად. პირველად ისეთ ტელევიზორში, თავში რომ უნდა ჩაგერტყა და ციმციმი ათი წუთით ჩერდებოდა. სახელად „ჰორიზონტი“ ერქვა. სიმბოლური კი იყო ეს სახელი. კარგად აჩვენებდა იმდროინდელი ჰორიზონტის ახლო საზღვარს, თუმცა მაშინ ასეთი დასაზღვრუ-

ლობაც მიხაროდა. ბავშვობა უმიზეზო სიხარულების დროა და იქ მთავრდება, სადაც სიხარულის მიზეზებს ეძებ, სადაც ხვდები, რომ საზღვარი არ არსებობს, ყველა სიხარული გეცოტავენა და ახალს ითხოვ. ამიტომაც ყველა სხვა ასაკში უბედურების განცდა ჭარბობს. ეს იქით იყოს და მეორე ტელევიზორი უკვე ფერადი გახლდათ, ოღონდ ხშირად „დასაბომბი“ ეკრანით. ფერები ადვილად ბაცდებოდა და ამ საკითხის ოზურგეთელი ოსტატი, რაღაც ხელსაწყოს ადებდა და, გეფიცებით, ამუქებდა. „დაბომბვა“ ერქვა ამ ალქიმის. მგონი „გაჟორასი“ ირჩავ. მგონი

აკადემიის საერთო საცხოვრებელშიც კი. ამ საცხოვრებელში ჩემი მამიდაშვილი გელა ცხოვრობს. გელა იმიტომ ცხოვრობს, რომ აკადემიის სტუდენტია. მე იმიტომ, რომ გელას ბიძაშვილი ვარ. უკვე ზაფხულია და სწავლა დასრულდა. სტუდენტები და ლოგინები ერთდორულად გათავისუფლდნენ და მეც წამოვწეი ერთ-ერთ მათგანზე. ხის ლოგინი ჭრელი და ცხელი „აღიალით“. თავთან ხატები და პატარა, ხელის რადიო მეკიდა (ასე ეძახდნენ). უკვე ზაფხულია და, წესით, გურიში უნდა წავიდე. მეც ხომ არდადეგები მაქვს და თან მსოფლიო ჩემპიონატი



არა, ნაღდად. შუა ჩემპიონატისას ერთ-ერთ ასეთ „დაბომბვას“ ემსხვერპლა. მერე ჩემი ზაფხულები ოზურგეთს ასცდა. იმ წელს კიდევ ახალ, დიდი ტელევიზორში უნდა გვეყურებინა, მაგრამ ხომ გითხარით – ბავშვობა დამთავრდა. ბავშვობის მერე ძნელია ასეთი ამბების მოხერხება.

ახლა რომ ამბავს გიყვებით, ეს არ მომიყოლია. მაშინ სტუდენტი ვარ და სხვადასხვაგან ვათევ – მეგობართან, ნათესავთან და ზოგჯერ სასულიერო

ინყება. მამაჩემს დავპირდი, ერთად ვუყუროთ-მეთქი. ზამთარში რომ ვიყავი, მაშინ. გაუხარდა... ძალიან, ძალიან გაუხარდა... ისე, რომ შეტრიალდა და, რადგან შეტრიალდა, ესე იგი თვალეზში ცრემლი იგრძნო. მორცხვი კაცების ამბავია, ნაცნობი... კი, კი უეჭველი ჩამოვალ-მეთქი. უკვე ზაფხულია და შარდენზე გოგოები დასეირნობენ. თან ცალი თვალით გოგოებს დავდევ, ცალით განცხადებებს ვკითხულობ სამსახურზე, ცალი ყურით

გელასგან დოგმატიკის ამბებს ვისმენ, ცალით – ცნობებს ფეხბურთელების ჯანმრთელობის შესახებ. ვფიქრობ, იმ საშინელ ტელევიზორში ყურებას, იმ კიდეც უფრო საშინელ მონყენილობაში, ალბათ, სჯობს, რომ აქ დავრჩე. თან რამე სამსახურსაც მოვძებნი, თან ვინმე გოგოსაც გავიცნობ, თან ფეხბურთსაც ვუყურებ – უფრო კარგ ტელევიზორში. ამ ტელევიზორის საქმეც უცნაურად იყო, ისე როგორც ყველაფერი ჩემს ცხოვრებაში. აჩვენებდა და ხმა არ ჰქონდა. ამ ხელის რადიოს ვრთავდით. რადიოში ვუსმენდით და ტელევიზორში ვუყურებდით, მაგრამ ხარისხი იყო უკეთესი და თან სასულიეროს ბიჭებიც (ვინც იმ ოთახში ცხოვრობდა) გადასარევი ხალხი, ყველა სხავადასხვანაირი და ახლაც განსხვავებული გზის გამყოლი, მაგრამ ყველა მართლა გადასარევი. ჰოდა, ალბათ, ასე ღიად ვერ ვფიქრობდი, მრცხვენოდა საკუთარი თავის, მაგრამ მაინც მათთან ერთად ყურება მერჩინა და მხიარულება. ჰოდა, დავრჩი.

ჩავედი აგვისტოში... ვერც სამსახური ვიშოვე და ვერაფერი. გოგოების ამბავი კარგად არ მახსოვს და, რადგან არ მახსოვს, ალბათ, მანდაც ვერაფერი. მამაჩემი ბოსტანში მუშაობდა. რაფერ ხარ და ამბავი... ჩვეულებრივი კითხვები. ველოდები, როდის მკითხავს, რატომ არ ჩავედი. ველოდები... მინდა, რომ მკითხოს... არაფერს ამბობს... ვერც მე... დახრილი აგრძელებს პამიდვრების აკონვას. ძალიან, ძალიან მინდა, რომ მკითხოს, ისე, რომ გული გამისკდება სადაცაა. არ არსებობს ასეთ დუმილზე უფრო საშინელი. გირჩევნია, გლანძლოს და გაძაგოს დაუსრულებლად. მამაჩემი კი დახრილია და მუშაობს... მუშაობს... მუშაობს... მამაჩემი, მამაშენი და მამამისი... ისინი ოდესღაც ოცნებობდნენ რაღაც სხვაზე და უფრო მეტზე, ვიდრე პამიდვრის აკონვას,

ვიდრე გაფუჭებული ტელევიზორია, ვიდრე ფეხბურთის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ჩამოსული შვილია, მაგრამ უცებ რაღაც მოვარდა – დრო, უიღბლობა და კიდეც რაღაც და წალეკა ეს ხალხი. მას მერე თავდახრილები მუშაობდნენ და არაფერს გვეკითხებოდნენ და ამით ყველაფერს გვეუბნებოდნენ და ვერაფერს ვპასუხობდით.

სხვა მწუხარებათა და სიხარულთა გამო

რა მწუხარებამ უნდა გაგვტყუოს ჩვენ, მანიფაფასთან ბრძოლაში გამონრთობილი ბავშვები? ეს საშინელი და აუცილებელი წმინდა ინკვიზიცია სრულიად გულგრილი სახით შემოგყურებდა თეფშიდან აისბერგით ამონვერილი კარაქით და სამყაროს დაუნდობლობას გვაჩვენებდა.

კლასიკა გარდაუვალ სცენარს გულისხმობდა – უნდა დაგენყო კიდიდან, შესაბამისად შუაში ცივდებოდა და რაღაც პატარა ბურთულები კეთდებოდა – კურკუტები ან რამე, სხვა სახელი, აი, ბავშვობისას ყველა ხომ რაღაც საკუთარს ვარქმევთ ასეთ წარმონაქმნებს, რისთვისაც დიდებსაც კი ჯერ ვერაფერი დაურქმევიათ. იმ ბურთულების ჭამა waterboarding-ის შემდეგი საფეხურია მსოფლიო წამებათა არსენალში.

ყველაზე მცირე თეფშსაც კი უძიროს ხდიდა მანიფაფა. ამიტომაც ვერასდროს ვჭამდით ბოლომდე. ამიტომაც ყველას უშნო ცოლები და ქმრები გვეყოლებოდა.

და ჩვენ სულ არ გვანადგვებდა არც მომავალი ცოლები და ქმრები, რადგან გოგონებიც და ბიჭებიც მხოლოდ ერთი შიშით განმსჭვალულები ვისხედით და ველოდით სრულიად უწყინარ მზარეულ ზეზის. ზეზი უზარმაზარ ქვაბში ხარშავდა თხევად ურჩხულს.

ეს იყო ბავშვობა – უცნაური და გაუგებარი მწუხარებებისა და სიხარულის დრო.

სიხარული ხომ ორგვარია: ან თავისით მოდის, ანაც სწავლობ. ჩვენ უფროსებისგან დავიზებირეთ, რომ ორი ტომარა პურის ფქვილი უდრიდა სიხარულს, იქვე შემოსასვლელში მიყუდებული და ორი კვირა პურის საცხობად სამყოფი.

და ამ ცხოვრებისა და გათბობისთვის მთიდან ჩამოტანილი ხეების ჩამოცლა ძველი მანქანიდან მეზობლების დახმარებით უდრიდა სიხარულს შემოდგომის გაცრეცილი ღამით.

და საერთოდ ამ მანქანის თუხთუხით მოსვლა და ფარების ჭიშკართან მონათება უდრიდა სიხარულს. და მანამდე მთაში თხილისა და შემის ჩამოსატანად წასული ბაბუისა და მამის ლოდინი, რომლებიც მოვიდოდნენ ან 18, ან 19, ან 20 ოქტომბერს.

რამ უნდა გაგვაბრუნოს ჩვენ, ასეთი სიხარულებით გაზრდილი ხალხი? რა არის ამაზე დიდი და მნიშვნელოვანი? არაფერი. ვერაფერი.

წვიმა და სიჩქამბარი

ოცი სექტემბერის მერე მოდიოდა წვიმა. წვიმა ნიშნავდა ტილოზე ზაფხულის მობერებული საღებავით შემორჩენილი ფერების ჩამორეცხვას და სხვა დროს – თხილისა და სიმინდის რჩევის დროს, „ფეჩის“ შენთების მოსინჯვის დროს, ადესის დაწურვის დროს და საღამოობით მივიწყებული ლაპარაკების გახსენების დროს. თითქოს ყველა სიტყვა, რაც ზაფხულის სიჩქარეებმა ჩაყლაპეს, ერთად უნდა გვეთქვა სევდიან სახლში, ლამპის დაღლილი ნათლის თანხლებით, როგორც გარდაუვალი ლოცვა დიდი ღამეების შეგებებისას.

წვიმა ყველგან და ყველგან წვიმა ერქვა. ანუ ნაცნობი ადგილები სხვაფერდებოდნენ. ჩემამდე მისასვლელი გზაც, მავთულის თანმდევი ლობით, სადაც კვახის ჯერ კიდევ მწვანე ფოთლები დუმფარებივით იგუბებდნენ წყლის წვეთებს და წამით ყოველთვის შევჩერდებოდი ხოლმე. ხელს ვკრავდი, ჩამოვფერთხავდი და გზას გავაგრძელებდი თავზე მოხურული „ბუმლატი“. ეგ იყო შემოდგომის შესავლისას ტუალეტში წასვლის აუცილებელი რიტუალი.

ანწვიმა ღამეებსაც და ხანდახან წვიმა სიზმრებში გამოურევდა, როგორც სახლის მოძველებულ სახურავში. სიზმრის წვიმა დიდად გასაკვირი ვერ იქნება – არ მასველებდა, სახლში შემოპარულისთვის კი აუცილებლად უნდა შეგეგა რამე და მერე გეცვალა – ტაშტი, ვედრო ან ლახანკა. როგორც წესი, ეს საქმე სხვენში ხდებოდა და მანდ ასვლა და ტაშტის გამოცვლა კილიმანჯაროზე ასვლისოდენა რიტუალი იყო, ეგ იყო, ლეოპარდი არ გვხვდებოდა.

ანწვიმა დენის კაცსაც, რომელიც სიმბოლურად მიდიოდა ნემსით გაჩერებულ მრიცხველთან, მერე მიდიოდა მაგიდასთან, აიღებდა კარალიოკს, ერთ რონკა ოტკას გადაკრავდა და მერე საერთოდ მიდიოდა.

ანწვიმა გელა კიკვაძესაც და სველი გელა კიკვაძე ბრძნული სახით ამბობდა, რომ კაცმა ქოლგა არ უნდა დაიფაროს. გელა ადრე გარდაიცვალა – ცეროზით. მერე გელა გაასვენეს და იმ დღეს განწვიმა. მივდიოთ აღმართზე და მიგვყავდა გელა მოყავისფრო კუბოთი. ვილაცხას ხელში ქოლგა ეჭირა და აფარებდა. გელა ქოლგის ქვეშ პირველად და უკანასკნელად იყო. შეიძლება ამიტომაც ხუჭავდა თვალებს. არ უნდოდა ქოლგის დანახვა.

ოქტომბერზე სხვა დროს მოგიყვებით.

ელეფთერა – მარტოობის უცნაური ამბის სინოფსისი

ელეფთერა ლომინეიშვილი – სამოცდახუთი წლის ქვრივი კაცი სურებიდან. დილაობით ახსენდება, რომ მოკვდება და ხუთი წუთი ყველაფერს აზრი ეკარგება – მარტოობასაც. მარტოობა იწყება ამ ხუთი წუთის შემდეგ. სიყვარულის ძებნა. ქვრივი, უკვე მოხუცი კაცი, რომელიც თითქმის უკაცრიელი სოფლიდან, სურებიდან, ტელეფონზე რეკავს, მობილურით ცდილობს ქალებს დაუკავშირდეს და ცოლად შეირთოს. ამ ქალების განცხადებები, ისევ როგორც ელეფთერასი, რომელიმე ყვითელ ჟურნალშია დაბეჭდილი. ელეფთერი ჟურნალს ავტობუსს აბარებს და სახლში უზამაზარი გროვა აქვს. ეძებს სიყვარულს, ოღონდ არა მომვლელის თვალსაზრისით, სიყვარულს ეძებს, რომელიც არ იცის, რა არის. მხოლოდ სხვებისგან გაუგია ამ გრძნობის შესახებ. მანამდე – საბჭოთა ჯარი. უკრაინაში იყო და ხანდახან ფიქრობს, რომ შეიძლება ერთი ქალი უყვარდა, ტატიანა ანტონენკო, რომელთანაც ერთდღიანი რომანი ჰქონდა. ელეფთერს ჯარის ტანსაცმელი საპატიო ადგილას აქვს მიფენილი. ამ ტანსაცმლით თითქოს სიყვარულსაც იგონებს და სიყმანვილესაც. ვინ იცის...

ცოლი – მხოლოდ პატივისცემა და არა სიყვარული. გარდაიცვალა სამი წლის წინ. სურათი ახლაც კიდია და სურათთან შარშანწინდელი ბზა და შარშანდელი წითელი კვერცხია.

კაცი ზარმაცია და რომანტიკული. არ არის სოფლისთვის დაბადებული, მაგრამ ქალაქსაც სულ უფროთხოდა. საბჭოთა დროს კულტურის სახლის ხელმძღვანელი იყო. აქ იხატება ადამიანი ცალი ფეხით სსრკ-ში, ცალით – დამოუკიდებელ საქართველოში. მოსავალს უფრო ცოლი და ცოლის მეგობრები იღებენ (ქალების ნადი).

კინოს სცენა შვილიშვილის ჩაყვანისას ქალაქში და ასე შემდეგ. სცენა ასეთია – დიდ და უკვე გაუქმებულ კინოეკრანთან დგას პატარა ტელევიზორი. ამ ტელევიზორში აჩვენებენ „ტიტანიკს“. სიმულაციაა კინოში ყოფნის, ტრაგიკომიკური.

რამდენიმე მარცხი სიყვარულის ძებნისას – ჩამლილი ქორწილი ქუთაისიდან, გზიდან მიბრუნებული მაყარი. სოფლის სიმორე დაინუნეს. გზაზე ავარია და ავარიის სცენაც.

ხუთი ქალის ამოსვლა და გაუგებრობა. ზოგს შვილიც ჰყავს და ხშირად უკან ბრუნდება. ზოგს მხოლოდ თავშესაფარი აინტერესებს. კაცი სიყვარულს ეძებს და ითხოვს.

ქალების ამბები ცალკე – სხედან და საკუთარ ისტორიებს ჰყვებიან. ერთი თონეში პურს აკრავდა – დამწვარი ხელები. ქმარი სცემდა. ძალიან მძიმე დღეს გამოექცა. სიყვარულს ეძებდა თუ თავშესაფარს, რთულად გამოიცნობ. ბევრია ასეთი. ძალიან ბევრი.

ავტობუსი რომ ამოდის სოფელში, თუ ვინმე უცხო ქალი ზის, ესე იგი ელეფთერის საცოლეთა.

შემლილი ქალის ისტორია – ერთხელ ასეთიც ეწვია და მადევრებიც მიენივნენ. ელეფთერმა იცრუა, ბიჭს ვერ გამოვაჩინო. თითქოს ეს ქალი მის შვილთან მოვიდა პაემანზე, რადგან იმაზე ახალგაზრდა იყო, ვიდრე ელეფთერს ეკუთვნოდა.

მთავარი სიყვარულის განვითარება – ერთ-ერთი ზარისას ქალს უკავშირდება, რომელსაც ტატიანა ჰქვია, რომელიც გატეხილ, სლავურაქცენტიანი ქართულით ეუბნება, რომ გარდაცვლილი ქმრის გვარზეა, ბალანჩივაძეა და საკუთარ გვარს არაფრით არ ამბობს. ელეფთერს რალაც უცნაუ-

რი და ყველაზე ძლიერი მიზიდულობა დაძლევეს. ხვდებიან სამტრედიაში, სადაც ეს ქვრივი ქალი ცხოვრობს. იქაურ კაფეში წასვლის სცენა... სხვა სცენები... რამდენჯერმე ჩასვლა... სოფლის ავტობუსი... ელეფთერი წარმოიდგენს, რომ ეს ტატიანა ის ტატიანაა, თუმცა ტატიანა არ ამბობს არც გვარს და არც წინა ისტორიას. უბრალოდ ამბობს, რომ უკრაინიდან არის გამოთხოვილი. ელეფთერი და ტატიანა ქორწინდებიან. ამფერია აი, ცხოვრება, ამფერია, ანუ აფერია. სულ მთლად აფერი – მაინც ამბობს ხოლმე ელეფთერი დილაობით, იმ ხუთ წუთში, როცა ხვდება, რომ ადრე თუ გვიან აუცილებლად მოკვდება.

სოფლის შიშნითა მხარე

თებერვლის ამინდია. გამოხრულ კბილში წყალნარევი ჭაჭა თუ ჩაგსვლიათ, ეგეთი გემოსი და განწყობისა. ქუჩაში შეგხვდება ზაზუნა. ზაზუნა ადამიანია. მეტიც – ზაზუნა დენის კაცია. ჩვენ ძროხა დავკარგეთ, ზაზუნამ – თავი. მოდის ქორეოგრაფიული ბარბაცით. აცვია ფრთხილადყავისფერი ბუმლატა და ახურავს თამამადტალახისფერი ქუდი. ასდის პამიდვრის მჟავის სუნი. ყიჟინით ასდის – სამასი მეტრიდან გაგაგონებს. ეს სუნი დარვინული ბუნებრივი გადარჩევის ამბავში მარადიული გამარჯვებულია, რადგან ზაზუნა ასე ორმოც ოჯახში მაინც იყო, ორმოცივეში რალაც აჭამეს და მაინც პამიდვრის სიმჟავე გცემს. ზაზუნა დენის კაცია. დენი კიდევ ის კაცია, თვეში ორჯერ რომ მოდის. ზაზუნა მოდის თვეში სამჯერ. ჩვენი ძროხა საერთოდ არ მოვიდა. არ მახსოვს რომელი – ნაბლია, ფაცუნა თუ კასანდრა. სტადიონზე დარჩებოდა! – ამბობს მამა და მე და მამა სტადიონისკენ მივდივართ. საღამოს ექვსი საათია. ცოტაც და

შელამდება. შურასთან ლამფა ცოტა ადრე აინთო. მაგას ჩვილი ბალანა ჰყავს და, ალბათ, ტანს ბანს. ამას მამაჩემი ან ამბობს, ან არ ამბობს, მაგრამ ისე ხშირად უთქვამს აქამდე, რომ იქ ჩავლისას მაინც ყურში ჩამესმის. ზაზუნამაც ჩაგვიარა. ბარბაცის ილეთმა ვერ გადაგვკვეთა და დიდად არც ჩვენ გამოგვიდია ჩახუტებით თავი. ზაზუნა რაფერ ხარ? – მიაძახა მამაჩემმა. ზაზუნამ თქვა: რავლერვარბდბჰნცნჰასჰბდცურ თუ რალაც მსგავსი და გზა გააგრძელა. ძროხა ინვა კუთხურის ალმის ადგილას. ჩვენ გაგვიხარდა და გამოვდენეთ. ჭიშკარი ბებიამ გაგვილო. დაღამდა.

სცენის დასასრული.

თქვენ შეიძლება რამე სასაცილო ამბავს ელოდით ან ბუხარში ცეცხლის ტკაცუნს და ჭიქა წითელ ღვინოს და კრიმანჭულს და ჭყინტ ყველს და თვალის ჩაპაჭუნებას.

მაგრამ აი, ეს არის სოფელი. ეს არის მისი ჩვეულებრივი დღე. ამბავი არაფერზე. სოფელი გაძლების ხელოვნებაა. გამეორებული სცენების გაძლების ხელოვნება. ამ ხელოვნებით ბედნიერება ცოტას შეუძლია. ძალიან ცოტას. ამ გაძლებაში სხვა ადამიანად იძენები. რომ გაიგო, ასე ასჯერ მაინც უნდა ჩაუარო ზაზუნას გვერდით.

ზაფხული ჩვენი მარტოობისა

ზაფხულის არდადეგებისას, თუ შენ პატარა ქალაქში ცხოვრობ და იმ პატარა ქალაქიდან, იქვე, მახლობელ სოფელში მიდიხარ დასასვენებლად, სადაც ბებია ცხოვრობს და თბილისიდან ნათესავები ჩამოდიან, აუცილებლად დგება დრო, როცა ეს ნათესავები აბარგდებიან და მარტო გტოვებენ შენ და ბებიას.

ნათესავები მიდიან არდადეგების დასრულებამდე ერთი კვირით ადრე, მათი გზა უფრო გრძელია და მათი ქა-

ლაქი დიდი. ამიტომაც აქ ისევ ზაფხული რჩება, ზუსტად ისეთივე მზით და ნიავიტ, ოღონდ უხმაურო, უადამიანო.

საშინელებაა ზაფხულის ეს ნაწყვეტი სოფლად – უპასუხო, უეჭო. იმ ნათესავეების ნაფეხურები: კოკა-კოლას ბოთლები, ჩაფუშული წყლის რგოლი, ერთი-ორი შარვალი, ჩემოდანში რომ არ ჩაეტიათ და ყვითელი ჟურნალები, კიდევ უფრო ამძაფრებენ იმ დროს გაუგებარ სევდას. და მეზობლები და ბებია – ნელ-ნელა და დაზარებით რომ უახლოვდებიან შემოდგომას, ყანების ტეხა-კრეფას, ბრაზილიურ სერიალებს, კოფეების სმას.

მე ვდგები და წიგნების ოთახში შევდივარ. იქ გერმანული კატალოგია – მოდების, ტექნოლოგიების, მგონი, 1993 წლისა. ლამაზი ქალები... სათამაშო კომპიუტერები... ტანსაცმელი... კიდევ ბევრი რამ, უჩვეულოდ ფერადი. 1997 წელია, ამიტომაც უკვე მეთასედ ვათვალიერებ. ყველა გვერდის სურათი ვიცი და მხოლოდ ზოგიერთი სიტყვა.

სალამოვდება... ფარდებიდან სისხლიანი ღამის პროლოგივით ისმის კოლოს სუსტი წილი. მომაკვდავის პულსივით ფრთხილია ნიავი. ცხელა... ავეჯის მწერი მღერის. და მე ვგრძნობ, რომ ძალიან, ძალიან მარტო ვარ. და რომ ჩემი მეზობელი ლენაც მარტოა, სარეცხს რომ ფენს და ვაჟაც მარტოა, საქათმის კარს რომ აჭედებს და გივიც მარტოა, ჭიშკართან რომ ზის ომისმედლებიანი კიტელით და ნანაც მარტოა, წყლის მოსატანად რომ წავიდა ერთადერთ ქაზე ნახევარ კილომეტრში. და რომ გვეშინია ამ მარტოობის, მაგრამ ვგრძნობთ, რომ არის რაღაც აუცილებელი ამ მარტოობაში და გარდაუვალი და საჭიროც. მე მენტრება ეს მარტოობა, გერმანული კატალოგით, წიგნების მოწყენილ ოთახში, ზაფხულის მომაკვდავი დღით.

მე იმ მარტოობაში დავიბადე.

მამა და მსოფლიო

ჩვეულ გზას ვადექი. იტალიაში წიგნები ჩავიტანე იქ მცხოვრები ქართველები-სთვის. მილანიდან ფლორენციისკენ მატარებლით მომიხდა წასვლა. მანამდე შუალამის ფრენა და ამბავი. მოკლედ, დაღლილი. დაღლა ისეთია, რომ თავს გაძალებს და გაძილებს. იტალიელები სხედან ჩემ უკან – ორი ქალი და ერთი კაცი. ეს ნიშნავს ლაპარაკს. გაძლებამდე სწრაფს. დაუსრულებელს. ხან ხმამალაღს. ხან წესებიდან გაქცეული ჯადოსნური მუსიკისმაგვარს. ეს მესმის და თან მეძინება, თან ვერ. ისინი ლაპარაკობენ, შეიძლება მოდაზე ან პიცაზე, ან უფრო უცებ გაფუჭებულ ამინდსა და სახლში დარჩენილ სანვიმარზე. შეიძლება შვილებზე, რომლებიც არ ჰგვანან მამებს და წუხან, რომ არ ჰგვანან. შეიძლება მეზობელზე, რომელიც ფანჯრიდან ყრის ნაგავს. შეიძლება „ფიორენტინასა“ და „ინტერზე“. შეიძლება მთავრობაზე. შეიძლება ძაღლზე. სულერთია რაზე, მაგრამ შემართებით და შეუსვენებლად. და უცებ, ძილსა და ცხადს შორს გაჩხერილს, მეჩვენება, რომ ნატანებში, „კაჩალკაზე“ ვწევარ და ოდნავ ვირწევი და ეს ხალხი კი არა, ბებიჩემი და კოფეს დასალევად გადმოსული ორი მეზობელი ლაპარაკობს. ლაპარაკობენ ბათუმის ბაზარში ნაყიდ ტანსაცმელზე ან მანდარინზე, ან უფრო გაფუჭებულ ამინდსა და სახლში დარჩენილ „ბუშლატაზე“. შეიძლება შვილებზე, რომლებიც არ ჰგვანან მამებს და წუხან, რომ არ ჰგვანან. შეიძლება მეზობელზე, რომელიც ჭიშკართან ყრის ნაგავს. შეიძლება „ფიორენტინასა“ და „ინტერზე“. რატომაც არა „ფიორენტინასა და „ინტერზე“. შეიძლება მთავრობაზე. შეიძლება ძაღლზე. და მესმის ეს ლაპარაკი და ის ლაპარაკიც და ორივე ლაპარაკი ერთია ჩემთვის, თან მატარებელში ვზივარ და თან „კაჩალკაზე“ ვირწევი და ეს რწევა და ლაპარაკი იტალიას და საქართველოს, ტოსკანას და გურიას ველარ არჩევს და

აღარც არჩევს. და ვხვდები იმას, რაც სიტყვებად პათეტიკურს მიაგავს, მაგრამ არაფერია ამაზე ნამდვილი, რომ ადამიანები საშინლად ვგავართ ერთმანეთს. და სულ, სულ ვემსგავებით. რაც უნდა შორს ნავიდეს მატარებლით ერთი და მეორე სულ „კაჩალკაზე“ დარჩეს, იქნება რაღაც გარდაუვალი და აუცილებელი წერტილი, სადაც ისინი ერთმანეთს შეხვდებიან.

რამდენჯერ მომეჩვენა მამაჩემი ვიღაც უცხო კაცში. ჩინელსა თუ ინდოელში.

და რადგან მამის დღე იყო, ბარემ მასზეც.

ზაფხულის ღამეები სხვა ფიქრებს გულისხმობდნენ. მათსავით მოკლეს და არეულს. სიზმრებიც ეგეთი შეკვეცილია და უცაბედი. ამიტომაც, აგვისტოს ღამეს ჯობდა, აივანზე ვმსხდარიყავით, თხილი გვერჩია და ხმა არ ამოგველო. თხილის რჩევა დაკვირვებას არ მოითხოვს. ჩვენი მზერა ჰორიზონტზე დაღვრილ სილურჯეს მიშტერებია. მზერა ჯიუტია. ბაცი ლურჯი და ცხელი, ტლანქი და ნოტიო. უსიტყვოდ და უფიქროდ ვარჩევთ. მე, ბებია და მამა. ეს წუთები სხვა ამოვარდნაა ცხოვრე-

ბიდან, მესხიერების და ყოველდღიურობის ჯადოსნური განდევნა – უნებლიე მაგიური აქტი. თითქოს ერთად ვართ და ვეღარ ვამჩნევთ ერთმანეთს. და ვერც საკუთარ თავს ვამჩნევთ. ამ დროს მხოლოდ აგვისტო დგას და ყველა სხვა თვე იმაზე შორსაა, ვიდრე ჩვეულებრივ.

– უფ, მევითავეთ, კაი ვქენით! – ამბობს უცებ მამაჩემი და ჩვენ ვბრუნდებით. ეს მამაჩემის უმთავრესი სიტყვები იყო. ყველაფერზე ასე ამბობდა. „მოსათავებელი იყო და მევითავე!“ – ბარვაზე, თოხნაზე, ჭამასა და ძილზეც კი. იფიქრებდი, რაღაცის მოსწრებას ღამობსო. რომ შეეძლოს, ზუსტად ვიცი, მოვიდოდა და მეტყოდა: „უფ, მერე რაია, რომ მოვკტი კაცო, მოსათავებელი იყო მაი და მევითავე“. და მეც და შენც ხომ ვიცით, რომ ეს მართლა ასეა? რომ ადრე თუ გვიან სიკვდილი მოსათავებელი ამბავია. „ხოდა, რას ტირით, კაცო, აფერი არ მომხდარა იმფერი, მაინც ხომ მოხდებოდა და ცოტა ადრე მევითავე“.



გურანდა ბერია

ციკლიდან “Besame mucho”

●
მე შენ გხედავ
შენსავე მუსიკაზე აცეკვებულს
და ლოკოკინასავით ვიმალები საკუთარ ნიჟარაში.
გაგირბი...
შენ კი უფრო და უფრო ძლიერად უკრავ,
ნელ-ნელა მენამულისფრად გენთება სახე.
აგერ მეც, უკვე გამოვდივარ ნიჟარიდან
და გულიდან გისმენ.
შენ უკრავ...
ისევ ისე უკრავ...
მერე მოდიხარ და თვალებით მღერი.
სისხლი კი ალისფერ ნაკადად ეშვება
საფეთქლიდან გულისკენ.
მე თვალმოუშორებლად გიყურებ.
დელოსელი ქაღალეები ნელ-ნელა ტოვებენ კუნძულს
და შენში სახლდებიან.
უკვე თვალისფერივით გეცვლება ფიქრები,
მიყურებ და გული გაგირბის.
რომელიღაც დელოსელს ქარმა თმები აუნენა.
შენ უკვე მისთვის უკრავ...
ელვისებური სისწრაფით იზრდება მანძილი
ჩემიდან როიალამდე.

მშორდები...
თითები გიცვილისფერდება...
სადღაც ახმაურდა მეორე დელოსელი.
მე მოვკვდი...

ფარვანა

მიაბზე –
ჭეშმარიტება როგორ იბადება?!
მიაბზე ახლა, ამ შუა ღამით,
როდესაც ქარი გულივით ბორგავს,
ახლა, როცა ღამის პეპელას ძალა აღარ მყოფნის,
შენ გარშემო ვიფარფატო.
მე ფარვანა ვარ,
შენ – ჩემი სინათლე,
სძლიე შენს მრისხანებას.
არ შეიძლება,
არ შეიძლება დედამინის ბურთივით ორი პოლუსი გქონდეს.
ნუ აცხოვრებ იქ სხვა ადამიანებს.
მერე რა, თუკი შენ გამოც ვერ შევიცვალე,
რა ვქნა, არ შემიძლია იმ თოვლის შეყვარება,
რომლის სისპეტაკეს არაფერი აქვს საერთო ჩემს სულთან.
სძლიე შენს მრისხანებას!
ეგ სიტყვები ბასრი დანისპირივით
არღვევს ჩემი ბედნიერების ბაღეს
და პირველად გაქცეული თვალის მსგავსად
ზედიზედ, მიყოლებით ირღვევიან ჩემი იმედებიც.
.....
შენ, სიყვარულო,
რომელსაც შავი ჭირივით გაგირბი
და აღსასრულის დღესავით მოისწრაფვი ჩემკენ,
შენ მაინც მიაბზე, როგორ,
როგორ იბადება ჭეშმარიტება?!

●
შენ გგონია, რომ
მხოლოდ ორი თვალი და ერთადერთი გული მაქვს,
ალბათ, ამიტომაც ვერ გრძნობ ყურებთან
იმ ორი ტყუპი გულის ბაგაბუგს,
შენი ჩურჩულისას უფრო და უფრო რომ ხმაურდება.
ვერც იმ ძარღვებში გამავალ გულს გრძნობ,
გამალებით რომ პულსირებს,
სანამ შენი საჩვენებელი თითით გამოივლი გზას
ჩემი იდაყვიდან ჩემსავე ნეკა თითამდე.

შენ არ იცი, რომ ყოველთვის,
როდესაც გვერდით მდგომს თვალს გარიდებ,
ჩემი საფეთქლიდან გულისთვალები იზრდებიან
და შენს გუგებში ეშვებიან.
ხოლო მაშინ, როდესაც შენ წინ მდგომი
თავს დარცხვენით ან სულაც უმიზეზოდ ვხრი,
თვალები თითოეული თმის ღერიდან გიმზერენ
და დარჩენას გთხოვენ.
მათ იციან, რომ წახვალ,
ისინი შიგნიდან გხედავენ,
მხოლოდ გულისთვალებიდან ჩანს
შენს სარდაფში გადანახული „ბაბუანვერას ღვინო“.
სახლიდან გასვლის წინ, ყოველ დილით რომ ამონებ –
თვალსა და ხელს შუა გაქცეული ბავშვობასავით
ხომ არ გამიქრაო.
შენ გაიზარდე.
იმაზე სწრაფად გაიზარდე, ვიდრე ელოდი
და ხვდები, რომ,
ახლად მოთიბული ბალახის სურნელის გარდა,
წარსულში კიდევ რალაც დატოვე
ან დაგრჩა...



როცა შენ იძინებ,
მარჯვენა ხელს ბალიშით თავქვეშ იდებ
და კედლისკენ სახით ტრიალდები.
თითქოს ვინმეს ერთ რომელიღაც წერტილში მთელი „იავნანა“
მოეთავსებინოს,
რომ ყოველ ღამე,
ძილის წინ, საკუთარ თავს შენვე უკითხო,
შენვე უმღერო...

გამთენიამდე გვერდს არასდროს ინაცვლებ,
შემდეგ გულალმა წვები
და დინჯად მაცდი
შენი წამწამის ყოველი ღერის თვლას,
შენი წვერის თითოეული ხვეულის ხელისშეველებას.

მე ვიცი, როდის გლვიძავს თვალებდახუჭულს
და, პირიქით –
გძინავს თვალებგახელილს.

ერთხელაც, როცა გაიღვიძებ
და პირველად, ჩვეულებრივ, ჭერს ახედავ,
შეამჩნევ, რომ იგი უფრო მეტად გაიზარა.

შემდეგ აუჩქარებლად მოავლებ თვალს
შენი ოთახის თითოეულ ნივთს
და მხოლოდ მაშინ,
მხოლოდ მაშინ იგრძნობ,
რომ, ჩემ გარდა, ყველაფერი ადგილზე დარჩა.
რომ ჩემი წასვლა პატრონივით ვერ იგრძნეს
ჩამქრალი ჭალის ნათურებმა,
გაბზარულმა ჭერმა,
და ნახევრად შეღებულმა ფანჯარამაც კი.

შენ არაფერს იტყვი,
მხოლოდ გულაღმა გადაბრუნდები
და, როცა ხელებს თავქვეშ ამოსაღებად გაიმზადებ,
შენდაუნებურად მარცხენა თვალითან მიიტან თითებს,
რომ ჩამოვარდნილი ერთი ღერი წამწამი ჩამოიშორო.
„წერილი თუ სიხარული?“ –
მოგძახებს ბავშვობის სახლი,
შენ მწარე ჩაცინებით მიუგებ: „არაფერი!“



ხოლო გულიდან ერთად გატარებული დღეები ამოგძახებენ:
„ვერც ერთი,
ველარც ერთი...“

●
შენ თვალებში მიყურებ
და მეუბნები, რომ არ ვარ ჩვეულებრივი.
მეც გეთანხმები –
არ ვარ
არა, ჩვეულებრივი,
არც არაჩვეულებრივი,
მე უჩვეულო ვარ.
დღესაც დამაგვიანდა,
ჩვეულებრივზე მეტად დავიგვიანე.
შენ ქუჩაში მელოდი,
მე კი უკან იმ ტუჩსაცხის ასაღებად დავბრუნდი,
შენ ასე ძალიან რომ არ გიყვარს.
ჰო, მე უჩვეულო ვარ,
ყელში ფხასავით გაჩხერილ სიტყვებს
ყოველ ჩასუნთქვაზე ვაბრუნებ უკან,
რომ შენი სიყვარული არ წამოსცდეთ.
არის ხოლმე:
ფრჩილებს კი არა, თითებს ვიკვნეტ,
რომ უპასუხოდ დავტოვო შენი წერილები.
ზოგჯერ შენც არ შეგიძლია ჩემი გაგება.
მინდა, რომ შენი თვალების დასანახად
მალლა ვინევედე კისერს,
რომ მხოლოდ ცერებზე ანეული ვწვდებოდე
შენს მხრებს.
ჰო, უჩვეულო ვარ.
მე ხომ ისიც კი ვერ დავიმახსოვრე,
თუ რომელ სიგარეტს ეწევი.

„ფიჭრის ბოგოს“

შენ ახლა გძინავს
და მინდორში მოთამაშე ბავშვობა გესიზმრება.
მათ არ ესმით,
რომ მზე შენი სარკმლიდან ამოდის,
როცა იღვიძებ.
გამუდმებით გიმეორებენ,
რომ ეს მზე ცხრათვალაა
და ყოველ დილით,

როცა მას თვალმოუშორებლად უყურებ,
გული გწყდება,
რომ ცხრა კი არა,
ვერც ერთი თვალი ვერ უპოვნე.
რომ ეს ნახევარმზე ადამიანებით ბრმააა.
მხოლოდ შენს თაროზე სიმეტრიულად შემოლაგებულმა
თოჯინებმა თუ იციან,
რომ შენც, მათილდას მსგავსად,
ბავშვობიდან გიყვარს ახალგზარდა ვერტერი.
ის დღემდე გსტუმრობს ხოლმე
და ღუმელზე შემომჯდარი ისევ დაჟინებით გიყურებს,
სანამ შენ დედოფლებს თმებს ვარცხნი.
მათ ისევ სძინავთ.
მითხარი, რა დაემართათ ასანთის ყუთში გადამალულ ჭიამაიებს?
მითხარი, რატომ არის,
რომ უღირსი ადამიანები ასე დიდხანს ცხოვრობენ,
ხოლო ყველაზე სუფთა და უცოდველი პეპლები
კი მხოლოდ რამდენიმე საათს?!

.....
შენ ზღვის ვარსკვლავი ხარ
და ნიჟარები გეჩურჩულებიან.
ოღონდ ყურთან ნუ მიიტან,
თვალეებთან მიიტანე,
რომ უკეთ გაიგო მათი...

●
უშენოდ გატარებულ დღეებს
მიმავალი ავტობუსით ავედევნე
და სადღაც ათასი გაჩერების,
ათასი დროებითი ადამიანის შემდეგ დავენიე.
აქოშინებული და გულამოვარდნილი შევედი,
შემოვედი
(ოღონდ არ ვიცი სირბილის,
თუ ამდენხნიანი უძრაობის გამო).
კუთხეში დავჯექი
და თავი დავხარე.
შენ იტყვი,
რომ, პირველი დღის მსგავსად,
ამ წუთებშიც ვტიროდი.
მე კი უარყოფ,
ისევ უარყოფ
და გულზე ეკლებს გამოვიზრდი.
შემდეგ ვიქცევი მანსენილიის ხედ
და თვითონ მოვინამლავ თავს

საკუთარი შხამიანი ნაყოფით,
რათა არ შემომეჩვიო,
რათა არ შეგიყვარდე.
წვიმს...
მე ისევ არ ვიცი,
რომელი წვიმიანი დღე მოასწავებს ჩემს სიკვდილს.
არ დამინახო.

შენ ხარ ბესამე

არსებობს ნივთები,
რომლებიც ადამიანებზე მეტ დატვირთვას იძენენ
და...
ადამიანები – უბრალო ნივთის ფასიც რომ არა აქვთ.
თითქოს წყალში ვიხრჩობოდე
და უკანასკნელი იმედი იყოს,
ხავსივით ვეჭიდები შენზე მოგონებებს.
ჩემს საათზე წუთები შენსავით უკანმოუხედავად მიდიან.
ეს საათი შენი უკანასკნელი საჩუქარია,
რომლის გარეშე არცერთი დღე არ გამიტარებია.
თითქოს შენ იყო ჩემს მაჯაზე გადაჭდობილი
და ყოველთვის თან დამყავდე.
„შენ ხარ ბესამე!“
მე კი ნამდვილად არა ვარ ის,
ვინც ლამაზი ხელით დანერილ ლამაზ წერილს მოგწერს.
ჩემი სული ისეთივე არეულია,
როგორც ეს ხელწერა.
„შენ ღარიბი ხარ, როგორც იესო,
შენ ხარ ბესამე!“
ახლაც გხედავ როიალთან მჯდომს,
ანდაც ყელზე სამართებელივით მიბჯენილი ვიოლინოთი.
შენ უკრავ,
შენ ისევ ისე უკრავ...
ყოველთვის მშურდა იმ შავ-თეთრი კლავიშების,
რომელსაც თითებით ეხები
და იმ ვიოლინოსიც,
რომელსაც აქვს უფლება თავი ჩამოდოს შენს მხარზე,
„შენ ხარ ბესამე!“
ასჯერ,
ათასჯერ,
ათი ათასჯერ
უკან გაბრუნებული სიტყვები
საათის ყოველ ნიკნიკზე იმატებს,

გორგალივით იზრდება,
მასხრობს.
„შენ ლარიბი ხარ, როგორც იესო.
შენ ხარ ბესამე!“
ბესამე!
besame mucho.



ის-ის იყო, ვიფიქრე,
დალილობისგან ნავიქცეოდი,
რომ ავტობუსიც გამოჩნდა.
ეს ერთადერთი ავტობუსი იყო,
რომელიც ჩემს სახლთან გადიოდა
და,
რომელსაც მუდამ სულმოუთქმელად ველოდებოდი.
იშვიათად,
თუმცა ხანდახან ისე მიმართლებდა,
რომ მჯდომარეს მიმავალი ავტობუსის ფანჯრიდან
შემეძლო დამენახა ლამის ქალაქი.
თუნდაც აქა-იქ განათებული,
თუნდაც მბჟუტავსინათლებიანი სახლებით.
მგზავრები ვერასდროს გაიგებდნენ,
რომ
ეს ქალაქი ყველაზე მეტად ღამე მიყვარდა!
რადგან სწორედ ერთ არაჩვეულებრივად ქცეულ
ჩვეულებრივ ღამეს დავინახე „მარკი“.
სინამდვილეში რა ჰქვია,
არ ვიცი
და არცა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა,
რადგან იმ წუთიდან,
რაც გვერდით მომიჯდა,
მნიშვნელობებმა აზრი დაკარგეს!
იქამდე არასდროს დამიჩივლია ჩემი ფერმკრთალი სახის გამო,
მაგრამ მას შემდეგ,
რაც მან პირველად შემომხედა,
თუნდაც იმ ღამით
და იმ ცალნათურა ჩამქრალი ავტობუსის მოძრაობაში,
ვიგრძენი,
პირველი, რაც დაინახა,
ჩემი ჩაშავებული თვალები იყო.
მას, ალბათ, არასდროს შეუმჩვენია,
რომ,
როცა მჯდომარე ადამიანი ხელებს დაბლა,
ხოლო მხრებს მაღლა იწევს,
ლაღინები მეტად ეკვეთება
და რადგან თავად მაშინებდა საკუთარი სიგამხდრე,

უღონოდ ჩამოყრილი ხელები ჩანთაში ჩავყავი
და ვითომც მცოდნოდა, რას ვეძებდი,
მონდომებით დავინწყე ნივთებში ქექვა.
თითქოს რამდენიმე გულისცემა ერთად შეკრიბესო,
ისე ნათლად მესმოდა ჩემი გულის ხმა
და ცალი თვალთ ისე ძლიერად გავხედე,
თავი ამტკივდა.
ის კი იჯდა და მიყურებდა.
ის ისევ ისე მიყურებდა.

.....
მას შემდეგ „მარკი“ დღეს ვნახე. სინამდვილეში რა ჰქვია,
არ ვიცი
და არცა აქვს რაიმე მნიშვნელობა,
რადგან ერთი ადამიანი,
რომელსაც შეუძლია მეორე ადამიანის ცხოვრება
რამდენიმე წუთში მთლიანად შეცვალოს,
იმაზე მეტს იმსახურებს,
ვიდრე იმ სახელით მიმართვაა,
რომელსაც ყველა ეძახის.



ლანა მანველი

ვიღრე მზე ჩაპიღოდეს... (პატარა ლიზის დღიური)



12 ივლისი, ერზრუმი. სოფელი

„ჩემო კარგო მამა, სულ რამდენიმე დღეა, რაც ბაბამ ერზრუმში ჩამოგვიყვანა. არ გენყინოს, რა, ბაბა რომ დავწერე. მასე თბილისშივე დავუძახე. საძინებელში გავედი და ისე. პირდაპირ თქმა მომერიდა. არ ვიცი, გაუხარდა თუ არა, მაგრამ დედას კი ესია მოვინა. გამიღიმა და თავზე ხელი გადამისვა. მუდამ სევდიან თვალებშიც სიტბო ჩაუდგა. „ბარბებით“ თამაშის უფლებაც მომცა და მეორე დღეს სკოლაშიც წამიყვანა, ჩუმად. ბაბა არ აძლევს გარეთ გასვლის უფლებას. რაც დაქორწინდნენ, მას შემდეგ ასეა.

– მუსულმანებს სხვანაირი წესები აქვთო – დედამ.

სოფელში ლამით ამოვედით. ბაბას მამა, დედა, დები და მამიდა დაგვხვდნენ. გაცნობის შემდეგ ბალიშებზე დაგვსხეს, ძირს. დედა ბაბას გვერდით

დაჯდა და მეც გვერდით მომიხვა. ის კი მაშინვე წამოხტა და სხვაგან გადაჯდა – არ შეიძლებაო მამაჩემის თანდასწრებით! – ყველამ გაიციინა, მე და დედა გავწითლდით.

გუშინ ვსადილობდით აქ, სოფელში. ისევ დაბლა ვისხედით, ხალიჩაზე, პატარა მრგვალი მაგიდის გარშემო. გარედან დაიძახეს. ბაბას ბიძაშვილები იყვნენ. მამიდებმა (ბაბას დებმა) დედა სასწრაფოდ ააყენეს და თავის თევზიანად სამზარეულოში გაიყვანეს. იქ არც მაგიდაა და არც რამე, ჩამოსაჯდომი. მეც მინდოდა გავყოლოდი, მაგრამ უფლება არ მომცეს. თავზე მოსახვევი ეხვია, მაგრამ მაინც დამალეს.

სადილის შემდეგ ყველანი ჩანჩქერთან წავედით მანქანით, დედას გარდა. მოვიკითხე და სძინავსო, – მიპასუხეს. იქ ხილი ვჭამეთ. ვაშლის გაჭრა მინდოდა და თითი გავიჭერი. შემრცხვა,

ვერავის ვერ ვუთხარი. გასისხლიანებული ხელი ჯიბეში ჩავიდე...

დედამ იტირა, რომ მნახა. თითზე მაკოცა და შემიხვია. ბაბას უსაყვედურა. მან კი – მერე რა მოხდა, ბავშვიაო!

წყაროზე სულ ტირილით გამირეცხა ჯინსის შორტი. წითელ ნაკადს ოხვრით აყოლებდა გულს...“

13 ივლისი. ერზრუმი. სოფელი

დღეს დედას თურქი ქალივით ჩააცვეს, მამა! სახლის საქმეებსაც მას აკეთებინებენ, იმდენს, რომ მე ველარ მაქცევს ყურადღებას. ჩემმა ახალმა ძმამ ჯინსის გარეცხვა სთხოვა. დედამ წყალი რომ გაამზადა, მამიდებმა მთელი ოჯახის სარეცხი დაუხვავეს. წელან ეზოში ჩამოჯდა დასასვენებლად, ქვის დასაჯდომზე. თავზე კი ჰქონდა მოხვეული, მაგრამ პირზეც ააფარეს – მეჩეთიდან კაცები ჩამოივლიან და სირცხვილიაო.

დედა ხმას არ იღებს, მაგრამ ვხვდები, უჭირს. რა უნდა ქნას?! საქართველოში მე და დედას არაფერი არ გვაქვს. ბებოც თავისებურია. მე კი ძალიან ვუყვარვარ, მაგრამ დედასთან სულ ჩხუბობს. მარტოს უყვარს ცხოვრება“.

18 ივლისი. სტამბული

„მამა, სტამბულში ჩამოვედით უკვე. ბაბას ძმა იზმირში დაბრუნდა ოჯახით და ჩვენ მათ ნაქირავებ ბინაში შევედით. ერთი ძველი კარადა დაგვიტოვეს, დანარჩენი ყველაფერი წაიღეს. ბაბამ ჯერჯერობით მხოლოდ საჭირო ავეჯი იყიდა. ვიდრე წავიდოდნენ, ორი დღე ერთად ვიყავით. დედამ ბიძაჩემის ჩემხელა გოგო აბანავა. თმაში საჭმელები ჰქონდა მიმხმარი და მაგიტომ. მერე ჩემი კაბა ჩააცვა და თავისები

დაურეცხა. სარეცხს რომ რეცხავდა, ბიცოლაჩემმა თავისი ქმრის შარვალი მიუტანა. დედამ – მე სხვა კაცის შარვალს არ გავრეცხავო! მას კი ეწყინა და მარტომ დალია ჩაი აივანზე. დედა არ მიინვია.

ხვალ სკოლაში უნდა მივიდეთ“.

19 ივლისი. სტამბული

„დღეს, ვიდრე ჩვენი უბნის სკოლაში საბუთების შესატანად წავიდოდით, დედამ ჩემი დაბადების მონუმბა ველარ იპოვა. არადა, არასოდეს არაფერს არ კარგავს. ბაბამ – ლიზის ახალ დაბადების მონუმბას ავუღებთ, ჩემი გვართო! დედა არ დაეთანხმა. მე შენს გვარზე მინდა დავრჩე, მამა!

სკოლის დირექტორი სულ ბაბას ელაპარაკებოდა. რამდენჯერაც დედამ ხმა ამოიღო, იმდენჯერ შეანყვეტინა. პოლიკლინიკაშიც ასე მოხდა, ექიმს ყურადღებაც არ მიუქცევია დედასთვის. გამსინჯა, ოღონდ პერანგი არ აუნევია, ისე, გარედან. სხეულზე თითქმის არ შემხებია. ბაბა კმაყოფილი დარჩა. ექიმი კაცი იყო. დედა რაღაც დაპატარავებული მეჩვენა, ეს მოსახვევიც როგორ აუშნოვებს. გრძელი თმა უხდებოდა, მან კი შეიჭრა – რა აზრი აქვსო. სალონში კი არა, ბაბამ შეაჭრა, სახლში“.

21 ივლისი. სტამბული

„იცი, მამა, მეზობელი ბავშვები გავიცანი. ერთად ვთამაშობთ. თურქული კარგად უნდა ვისწავლო, თორემ ისევ პირველ კლასში დამსვამენ. ეზოდან დედას რომ ვეძახი, ბავშვებიც იმეორებენ – „დედას“. ისე, თურქულად დედა „ანნეა“, ქართულ სახელს ჰგავს – ანას. დედა ვერ მპასუხობს, ბაბამ აუკრძალა. თურმე, სხვა კაცებმა არ უნდა გაიგონ, როგორი ხმა აქვს. გამომხედავს ხოლმე

მხოლოდ. მართლა, კინალამ დამავინყდა, დღეს მე და დედა ბაზარში ვიყავით. დედამ ძალიან ლამაზი წითელი, გვირილებიანი სარაფანი მიყიდა. ჩემს ძმებს სპორტული ზედეები უყიდა. უფროსს არ მოეწონა – მე ბაზარში ნაყიდ რაღაცებს არ ჩავიცვამო! ვიდრე მამაჩემი შენ შეგიერთავდა, ყველაფერი უკეთესი მქონდაო! დედამ იტირა. პატარა ძმამ ჩაიცვა, ოღონდ იმანაც გააპროტესტა. ჩემი კარადა გამოხსნა და – ლიზის რამდენი ტანსაცმელი აქვს, მე კი არაო! დედამ აუხსნა, რომ იქიდან მამამისის ნაყიდი არაფერი არ იყო. მან კი ყურებზე ხელი მიიფარა და ოთახიდან გავარდა“.

22 ივლისი. სტამბული

„ბაბამ ჩემი ახალი სარაფანი ნახა. არ მოეწონა. ზემოდან აუცილებლად რამე მოიცვი, ასე მოშიშვლებული მკლავებით ვერ ივლიო – გამაფრთხილა. დედა შეედავა, მაგრამ ბაბამ უყვირა.

დედამ – ჩვენ მუსულმანები არ ვართო!

ბაბამ – ამქვეყნად ყველა მუსულმანიაო!“

23 ივლისი. სტამბული

„მამიკო, უკვე დაღამდა. ლოგინში ვწევარ, მაგრამ ვერ ვიძინებ. ნეტა სულ არ გაჰყოლოდა დედა ამ კაცს. ტირილისგან თვალები მაქვს დასიებული და ძლივს ვახელ. დედა აივანზე ზის სიბნელებში. იმათ ილოცეს და ახლა სძინავთ.

დღეს ეზოში იმ სარაფანით ვიყავი ჩასული. ის ადრე მოვიდა და მოსაცმელის ჩაცმა ვერ მოვასწარი. ყვირილით ამომიყვანა სახლში. გამხადა, დახია და ნაგლეჯები ტუალეტში შეყარა. დედა ცდილობდა ხელი შეეშალა, მაგრამ

მაგას როგორ მოერეოდა?! აქაურობა შემზიზილდა! მაგისი ბიჭებიც სულ ბუზლუნებენ, დედას ცუდად ელაპარაკებიან. ისიც არ მოსწონთ, მე რომ ჩემი ოთახი მაქვს და იმათ სასტუმრო ოთახში სძინავთ. მაგათმა მამამ ჩხუბის შემდეგ გამოაცხადა – ხვლიდან ყველა ერთად სასტუმრო ოთახში დაიძინებსო!

ნეტავ, საქართველოში დავბრუნდებოდეთ! ნეტა!“

24 ივლისი. სტამბული

„გუშინ დედამ ჩემთან დაიძინა. ეგონა, მეძინა და არ მესმოდა, როგორ მეფერებოდა. დღესაც ჩემთან უნდოდა დანოლა, მაგრამ იმან არ მისცა უფლება. ბავშვებს ყველას ერთად გვძინავს სასტუმრო ოთახში. მამამ და შვილებმა ჩაი დალიეს, იცინეს, მერე იჭიდავეს, ილოცეს და დანვნენ. მამიკო, ამათი დედა კიბოთი მომკვდარა შვიდი წლის წინ. ვერ ვიძინებ. საბნის ქვეშ ფანარი მინთია და შენ გწერ“.

26 ივლისი. სტამბული

„გუშინ დედამისი და მაგისი პატარა და ჩამოვიდნენ ერზრუმიდან. დედამ თავის კარადაში გამოუთავისუფლა ადგილი და იქ შეალაგებინა ტანსაცმელი. სადილი გაამზადა. ვიდრე სამზარეულოს მოანერგიებდა, ქვაბები თვე გაიტანეს საჭმელი ოთახში. მე სალათის თეფში წავიღე. ვიდრე დედა გამოვიდოდა, ქვაბებში აღარაფერი არ დატოვეს.

„ცოტა დედასაც დაუტოვეთ-მეთქი“.

„შენ ენა მოიმოკლეო! – დედამისმა“.

ავდექი და დედასთან წავედი სამზარეულოში. ამ კაცმა ჩემი თეფში აიღო და მესროლა. მამიკო, დედამ ისევ ვერ დამიცვა, აქეთ გვეჩხუბნენ“.

31 ივლისი. სტამბული

„დედას არ ელაპარაკებინ, მის გაკეთებულ საჭმელს კი კარგად ჭამენ. რაც ესენი ჩამოვიდნენ, სტუმრებიც ბევრნი მოდიან. დედა ძლივს დგას ფეხზე. ცალ-ცალკე სუფრებს შლის – კაცებისთვის და ქალებისთვის. სარეცხსაც ხელით რეცხავს. ჩემი ამხანაგების დედებს სარეცხი მანქანები აქვთ. იმათი მამებიც ისე არ იქცევიან, როგორც ეს გვექცევა ჩვენ. დედამისი მთელი დღე ზის და ხმამალა კითხულობს ყურანს, თან სულ ერთ ადგილს. ერთი არ წააშველებს დედას ხელს. იმ დღეს დავინახე, როგორ დამალა ხილი უჯრაში, ტილოების ქვეშ“.

5 აგვისტო. სტამბული

„გუშინ ყველანი ორი დღით წავიდნენ იზმირში, ვილაცის ქორნილში. იზმირი სხვა ქალაქია. მე და დედა მარტო დავრჩით. ისევ პატარა ოთახში გამიყვანა. იქ მომიწყო სანოლი. კედლებზე ჟურნალებიდან ამოჭრილი ყვავილების სურათები და ჩემი ფოტო გამიკრა. მამიკო, იცი, დედამ ნამცხვარი გამომიცხო. კრემს რომ ურევდა „ყვავილების ქვეყანას“ მღეროდა. ეტყობა, ხმამალა მოუვიდა, ცოტა ხანში ზედა სართულიდან სახლის პატრონის ბიჭი ჩამოვიდა და სიმღერა შეაწყვეტინა – ბებიჩემს სძინავსო.“

ჩვენ მაინც კარგად გავერთეთ. ხან ვიცეკვეთ, ხან ვიმღერეთ. ტანსაცმელებს ვიცვლიდი და ვმსახიობობდი. დედა აცხადებდა, თან მაყურებელიც იყო. კარგი დღე გვექონდა. ოთახი კი მომიწყო, მაგრამ თავისთან დამანვინა. ზღაპრები მოვაყოლინე, აღარც მახსოვს როდის ჩამეძინა. ნეტა მე და დედა ისევ მარტოები ვცხოვრობდეთ სტუდენტულ ქვეშ“.

9 აგვისტო. სტამბული

„მამიკო! ჩემო მამიკო! ძალიან ცუდი რამ მოხდა. მე დედა აღარ მყავს!!! ახლა იმათ ნათესავთან ვარ სახლში. გუშინვე მომიყვანეს, რაც ის უბედურება მოხდა. არ ვიცი, რა მელოდება, დედას თუ მაჩვენებენ?! საქართველოში წამიყვანენ?! იქნებ, უპატრონო ბავშვთა სახლში ჩააბარონ ჩემი თავი?! ბებოს დაურეკავთ-მეთქი?! – ვიკითხე, მაგრამ არავინ არ მიპასუხა. ამას წინათ ვილაც ამათი ნათესავი მოკვდა და მეორე დღესვე დამარხეს, მზის ჩასვლამდე. გარეთ გავიხედე. მზე ჯერ არ ჩასულა. იქნებ, მაჩვენონ დედაჩემი?! ემინე აბლასთან გავედი, ქალები ლოცულობდნენ და ვერაფერი ვერ ვუთხარი.“

მამიკო! გეფიცები, ყველაფერი იმ კაცის ბრალია, ბაბას რომ ვეძახდი! იზმირიდან რომ დაბრუნდნენ, ტელევიზორში საბავშვო ფილმს ვუყურებდი – პულტი მომეციო!

„ფილმი დამთავრდეს და მოგცემ-მეთქი.“

„მომეციო! – დამიყვირა.“

„ნეტა, სულ არ ჩამოსულიყავით-მეთქი და წამომადო სკამიდან. ცემა დამიწყო, მამიკო! დედა გულგახეთქილი შემოვარდა ოთახში. ჩემ დახსნას ცდილობდა, მაგრამ ვერ ახერხებდა. წიოდა, დახმარებას ითხოვდა. იმისმა დედამ და დამ აქეთ დაუნყეს ჩხუბი – უზრდელი შვილი გაგიზრდიაო! მე ვტიროდი, დედას ვეძახდი. მერე გაჩერდა, აღარ მირტყამდა, მაგრამ ისე ვყავდი მომწყვდეული, დედა ვერ მწვდებოდა. მე შიშისგან ხმას ველარ ვიღებდი. არაფერი არ მტკიოდა, მხოლოდ თავი დამიმძიმდა. სადღაც შორიდან მომესმა დედას ყვირილი – დაანებე ჩემს შვილს თავიო! მერე ვერ გავიგე, რა მოხდა, უკბინა თუ დაარტყა დედამ. იმ კაცმა ჯერ დაიყვირა, მერე ცუდი სიტყვა თქვა. ერთი ხელით მე გამაკავა“

მძლავრად, მეორეთი დედა გადააგდო. მარმარილოს მაგიდის კუთხეს ჯერ დედას თავი დაასკდა, მერე სისხლი გადაესხა. მაშინ კი ერთიანად ამტკივდა მუშტმობხვედრილი ადგილები.

დედამისმა დაუყვირა – „რას შვრები, გაგიჟდიო?!“

მისი დაც რალაცას ყვიროდა. მე აღარავინ მაკავებდა, მაგრამ ხელ-ფეხი არ მემორჩილეოდა, მერე თვალებიც დამეხუჭა.

პოლიცია რომ მოვიდა, მე უკვე ემინე აბლას ქმრის, იბრაჰიმის მანქანაში მსვამდნენ. მინდოდა, ყველაფერი

მომეყოლა, მაგრამ ლაპარაკის თავი არ მქონდა. თავი მიხურდა, პირი მიშრებოდა. გულს ბაგაბუგი გაუდიოდა. დედასთან მინდოდა მისვლა და ეგეც ვერ ვთქვი.

მამიკო!.. ნეტა არ მომკვდარიყავი, მაშინ ხომ არ ნავიდოდით მე და დედა თბილისში?! ხომ არ მივიდოდა დედა თურქებთან სამუშაოდ?! ხომ არ გაჰყვებოდა ცოლად ამ ცუდ კაცს?! მამიკო!..

მამიკო, იცი, მზე ისევ ანათებს, ჯერ კიდევ დროა. იქნებ, ნამიყვანონ ჩემს მკვდარ დედასთან?!“





თამარ გელიტაშვილი

ეგზისტენციალური აბსურდის მოწადობულ წრეში (ნინო ხარატიშვილის რომანი „უუუა“)

„უზარმაზარი სევდა მძიმე ტვირთია.
ეს ჩვენი გეთსიმანიის ღამეებია“
ალბერ კამიუ

„მე ემბრიონი ვიყავი და ყველაფერი ვიცოდი. სიცოცხლეში ჭინთვით შემომადედეს და ჩემი ცოდნა წამართვეს. სექსის შედეგად მოვევლინე ამ ქვეყანას. ცოდნა გამომგლიჯეს. შურისძიება მწყურია.

მე ბევრი ვიყავი. მთვარის რვავე ციკლს ვიცნობდი. ჰადესში ყველა მიცვალებული ჩამიკრავს გულში. თითოეული მათგანის სახე მქონია. მოვდივარ და მოვდივარ და ვიზრდები. და ესაა ჩემი თვითმკვლელობა. თითოეული ნაბიჯი ტანჯვაა, რადგან არსად არს სიმშვიდე, სინყნარე, არსად ვარ მე. ემბრიონი ვიყავი და ყველაფერი ვიცოდი, შემდეგ კი მშთანთქმეს, სისხლმდინარე საშოდან ყვირილის თანხლებით გამოძევებული სიცოცხლემ გადამყლაპა. და რაც ვიცოდი, ისიც დავკარგე.

გზას დავადექი და ყველა ხე ააღდა გზად, ყველა სახლი ჩამოიქცა და ყველას თვალთ დაუბნელდა. მე არაფერი მალეღვებდა. მომთაბარეთა ქვეყანა აკვნად დაირწა ჩემს ფეხქვეშ. მერე მტვრად ვიქეც და ნამუსი ამხადეს, მდელოზე გამაუპატიურეს, და ყველაფერი სანუკვარი ჩემშივე ჩავმარხე. სამყაროს ყველა წყალში შევცურე, ყველა ეკლესიის წვეტიან სახურავსა და საკურთხეველს ღრიალით გადავუფრინე. არავის ესმოდა ჩემი. და მუნჯად ვიქეც, ერთ დამუნჯებულ მტვრის ნაწილაკად.

სამყარო ჩამოიქცა და მეც ქვეშ მომიყოლა. მინდა კვლავ ჩემს სანყისს დავუბრუნდე, სისხლში მზარდ და ყველაფრის მცოდნე ემბრიონად ვიქეცე“.

ეს შთამბეჭდავი სიტყვები ერთგვარ ეპიგრაფადაც შეიძლება ჩაითვალოს გერმანულენოვანი ფსიქოლოგიური ჟანრის რომანისა „ჟუჟა“, რომელიც გერმანიაში მოღვაწე ქართველ დრამატურგს, რეჟისორსა და მწერალს, ნინო ხარატიშვილს ეკუთვნის. ამ ეპიგრაფ-ექსპოზიციისაში, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ადამიანური ვნებების აფეთქება, გადმოცემულია ამქვეყნიური ყოფის ფუნდამენტური აბსურდულობა, რასაც ეგზისტენციალურ შიშს ეძახიან და რასაც დედის საშოდან მოცილები-სთანავე განიცდის ადამიანი. ამიტომაც დამჭირდა მისი სრულად მოხმობა.

„ეგზისტენციალური შიშის“ ფილოსოფიური საწყისი ადამიანის ათეისტური მდგომარეობიდან მომდინარეობს. ეს არის მლელვარე, შფოთიანი, ტანჯვა-ვაებიანი მდგომარეობა ინდივიდისა. მიტოვებულობის, მარტოსულობის განცდა წარმოშობს დაუძლეველ სულიერ კრიზისს და იწყება სასტიკი ძრწოლა ყოფიერების წინაშე. ამგვარ ყოფას, შესაძლოა, ასეთი ტერმინიც კი გამოვუძებნოთ – „ეგზისტენციალური ქაოსი“.

რა იწვევს ადამიანში ეგზისტენციალურ შიშს? პირველ ყოვლისა, ღმერთსმოშორებულობა, უფლისგან გათიშულობა, მისგან განდგომა, საიდანაც იწყება ადამიანური ყოფის საზრისის მოშლა.

„მცდელობა, ყველა ვითარება ათეისტური ხედვიდან შეაფასო“, – ასე განმარტავს ეგზისტენციალიზმს ფრანგი ეგზისტენციალისტი ფილოსოფოსი ჟან პოლ სარტრი (<https://ka.wikipedia.org/wiki/>), თუმცა, ალბერ კამიუს აზრით: „შესაძლებელია, ერთდროულად ქრისტიანიც იყო და აბსურდის ადამიანიც. ბევრია ისეთი ქრისტიანი, ვისაც მომავალი ცხოვრების არ სჯერა“ (კამიუ, „კორილოვი“, 2017, გვ. 131).

ადამიანი უფლის მიერ შექმნილი დამოუკიდებელი ქცევისა და აზროვნების მქონე არსებაა, რომელსაც საკუთარი გონების მართვა დააკისრა უზენაესმა.

ის თავად ირჩევს ცხოვრების გზას, რომელიც მსოფლმხედველობრივი მრწამსის ჩამოყალიბებაში ეხმარება – ან გათავისუფლდება მდაბალი, ქვენა გრძნობებისაგან, ან ვერა. ყველაფერი მისი რწმენის სიმტკიცეზეა დამოკიდებული. ამის შესახებ ჯერ კიდევ XII საუკუნეში დაგვმოდღვრა ჩვენმა შოთა რუსთაველმა: „რაც არა გნადღეს იგი ქმენ, ნუ სდევ ნადილთა ნებასა“. ამასვე ეხმიანება გერმანელი მწერლის, ჰელმუტ კრაუზერის სიტყვები, რომლებიც ნინო ხარატიშვილმა ერთ-ერთ ეპიგრაფად წარუძღვარა თავის რომანს: „მხოლოდ მიწაზე მყარად მდგომთ და მრავლის მნახველთ ძალუძთ თავის შეცნობა“.

ვისაც უმდაბლესი გრძნობებისგან გათავისუფლება არ ძალუძს, ცხოვრებასა და ზოგადად ყველაფერ ამქვეყნიურზე გულაყრილი და გულარძნილი, საწყის მდგომარეობად – ემბრიონად ყოფნას ნატრობს და მისი ქვეცნობიერი კვლავ იქ დაბრუნებისკენ მიილტვის, სადაც საგულდაგულოდ იყო დაცული, იქ, სადაც განშორებული იყო ყოველგვარ სატანჯველს ნუთისოფლისას. აი, სწორედ მაშინ ჩნდება ყველასათვის ასე კარგად ნაცნობი რიტორიკული შეძახილი – რისთვის გავჩნდი?

ადამიანი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე იმისაკენ არის მომართული, რომ ყოველწამიერი წინააღმდეგობები დაძლიოს, არსებითად შეიმეცნოს საკუთარი თავი და ფსიქოლოგიური პრობლემებისგან გათავისუფლდეს. ამ სიძნელის დაძლევისა და გადალახვაში მას ყველაზე დიდი მეგზური ჰყავს – რწმენა, მაგრამ თუ რწმენა გაქრა, მაშინ ის კარგავს ღმერთთან მისასვლელ გზას და სრულიად მარტო რჩება უდაბნოდ, ტრამალად, სიცარიელედ, აბსურდად ქცეულ ნუთისოფელში, სადაც საკუთარ „მე“-დაკარგულს ისეთი განცდა ეუფლება, თითქოს სამყარო თავზე ჩამოექცა, ქვეშ მოიყოლია და მიწას მატლივით მიასრისა. სწორედ მაშინ იწყება თვითმკვლელობაზე ფიქრი.

სუიციდი – ეს საკუთარი თავის,

ღმერთის, გარშემომყოფთა, მთელი საყაროს სიძულვილია. გგონია, რომ ამ აქტით ყველას სამაგიეროს უზღავ, რომ სიცოცხლის უარყოფით დასჯი სხვებს, ყველაზე უფრო მეტად კი ღმერთს და ამქვეყნიური ცხოვრებიდან წასვლით პროტესტს უცხადებ მათ, ვინც ვერ შეგამჩნია ან შეგამჩნია, მაგრამ არ მიგილო, არ შეგიფარა, არ დაგაფასა. შენ „აქ“ უცხო ხარ, უჩინარი, ამ ცხოვრებაში შენი ადგილი არ არის და შენც მიდიხარ!..

სწორედ ამგვარ ეგზისტენციალურ პრობლემებზე მოგვითხრობს რომანი „ჟუჟა“ და ამიტომაც უწოდანინო ხარატიშვილმა ეგზისტენციალური ქაოსით შეპყრობილი პერსონაჟის ცხოვრებას „გამყინვარების ხანა“, რაც ამქვეყნიურ სიცარიელეს, მარტოსულობას, სამყაროსთან გაუცხოებას გულისხმობს.

ვფიქრობ, ის სამი მთავარი ამოსავალი წერტილი იქცა მწერლის ინსპირაციის წყაროდ, რომლებიც ამავე დროს რომანის მთავარ კონცეფციასაც წარმოადგენს:

**პირველი – ეგზისტენციალური შიში;
მეორე – ვერტერის ეფექტი;
მესამე – ნიცშეანული პოსტულატი – „ღმერთი მოკვდა!“**

„ჟუჟა“ არის წიგნი წიგნის შესახებ. ის კომპოზიციურად დანაწევრებული ნაწარმოებია, სადაც ერთმანეთის პარალელურად რამდენიმე დამოუკიდებელი სიუჟეტი ვითარდება. კომპოზიციურ სირთულეს ისიც განაპირობებს, რომ ყველა სიუჟეტი დროის სხვადასხვა მონაკვეთს, სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალს მოიცავს და მკითხველს თავად უწევს ყველა ამ ამბის ერთიან ჩარჩოში მოქცევა, ერთიანი არქიტექტონიკური ხაზის ჩამოყალიბება, რადგანაც, მიუხედავად დროისა და ადგილმდებარეობის კარდინალური სხვაობისა, აქ მოთხრობილი ამბები ერთმანეთთან ორგანულად არის შერწყმული და თითოეული მათგანი საბოლოოდ მაინც ერთ არქეტიპამდე – რომანის მთავარ პერსონაჟ ჟანა სარემდე მიდის.

„ვერტერის ეფექტი“

ჟანა სარე ჩვიდმეტი წლის სასოწარკვეთილი გოგონაა. დედასთან პრობლემების გამო ოჯახს განრიდებული და სახლიდან გამოქცეული ერთ-ერთი სახლის მანსარდში ცხოვრობდა XX საუკუნის 50-იან წლებში. მშვიერ-მწყურვალი, შიშველ-ტიტველი, ეული და მიუსაფარი მატარებელს ჩაუვარდა და თავი მოიკლა. 70-იან წლებში მისი დღიურები წიგნად გამოიცა, რამაც საოცრად გამანადგურებელი შედეგი მოიტანა – მისი წაკითხვის შემდეგ თხუთმეტმა ადამიანმა მოიკლა თავი.

ლიტერატურაში ამ ფაქტს „ვერტერის ეფექტს“ უწოდებენ. ამიტომაც, როცა ნინო ხარატიშვილის „ჟუჟაზე“ ვსაუბრობთ, ვერანაირად ვერ ავუვლით გვერდს იოჰან ვოლფგანგ გოეთეს რომანს „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი“, რომელმაც საზოგადოებაში ლამის მასობრივი ფსიქოზი გამოიწვია. გოეთეს ამ წიგნის მიბაძვით, რომელიც ავტორის ავტობიოგრაფიულ ელემენტებს შეიცავდა, თვითმკვლელობა მასობრივ პრობლემად იქცა. ადამიანები მიიჩნევდნენ, რომ უარყოფილი სიყვარულის გამო ჩადენილ თვითმკვლელობას გარკვეული რომანტიკული ელფერიც კი ჰქონდა. სწორედ ამ მოვლენას შეიძლება მივუსადაგოთ ბალზაკის სიტყვები: „ყოველი თვითმკვლელობა მელანქოლიის ამალღებული პოემაა“. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში აკრძალეს გოეთეს რომანის გამოცემა. ნინო ხარატიშვილის მსგავსად, „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი“ არაერთი მწერლის მთავარ ნაწარმების წყაროდ იქცა.

„ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი“ დღიურების სახით დაწერილი ნაწარმოებია, დღიურების სახითაა წამოადგენილი ჟანა სარეს ჩანაწერებიც.


გოეთეს პერსონაჟი თვითმკვლელობას დიდ გამბედაობად მიიჩნევდა და თითქოს ერთგვარად ამხნევებდა კიდევ მათ, ვისაც არ აღმოაჩნდა ნებელობა,

გადაელახა შინაგანი წინააღმდეგობები და დაეძლია სულიერი სისუსტე.

„მე მგონია, როცა საკუთარი ნებით კაცი თავს იკლავს, მას რომ მშიშარა ვუნოდოთ, ისევე საოცარი იქნებოდა, როგორც ციებისგან აკანკალებულს რომ მშიშარა დავარქვათ“, – ამბობს

დამაინც. რაც უფრო მეტი ხანი გადის, მით უფრო მკვიდრდება ეს აზრი ჩემში“ (ვერტერი); „მოვედი, რათა წავიდე... ჰადესისკენ მიმავალ გზაზე დავიკარგე. იმას, რასაც ჩვენ ვთმობთ, ცხოვრება ჰქვია“ (სარე).

ორივე პერსონაჟმა სიცარიელე აღიარა რწმენად. მათი გრძნობადი სამყარო სასონარკვეთილებამ შეარყია, რამეთუ არღა იყო მათ შორის ღმერთი. „უღმერთობა ავადმყოფობაა, ხოლო სნეულთათვის კრიზისია აუცილებელი“, – ამბობს გრიგოლ რობაქიძე („ჩაკლული სული“). უღმერთობით დასნეულებული ეს ორი პერსონაჟი დიდხანს ეძიებდა ღმერთს, თუმცა ორივეს ცდა ურწმუნოებით გამონვეული სკეპსის დაძლევისა კრახით დასრულდა. მათ ვერ შეძლეს რწმენის კრიზისის გადალახვა, სუსტები აღმოჩნდნენ იმისათვის, რომ გაეთვალისწინებინათ სახარებისეული გაფრთხილება – „ყოველი სოფელი ბოროტსა ზედა დგას“ (იოანე 5,19) და ტრაგიკული კოლიზიით ხარკი



ვერტერი. სიკვდილისაკენ დაუოკებელი სწრაფვა იხატება სარეს პათეტიკაშიც: „მე ჯვარს დავინერ სიჩუმეზე და უბედურებაში ვპოვებ ბედნიერებას“. ჟანასა და ვერტერის მომავალი „ამოტრიალებული წარსულია“, მათთვის დრო ადგილზე გაიყინა. „არ ვიცი ან რისთვის ვდგები, ან რად ვწვები?.. ცხოვრებას დიდი ფასი არა აქვს მაინც-

გადაუხადეს ეშმას.

ვერტერი – „არ ძალმიძს ლოცვა: მომეცით იგი და მაინც ჩემად მეჩვენება იგი ხანდახან. არ ძალმიძს ლოცვა: მე დამანებეთ. და იგი სხვისა ყოფილა თურმე“; სარე – „სიმარტოვეში ჩამწყვდეული, ჩემი არსებობის ნაკვალევს დავეძებ ყველგან. ამოდ. ღმერთს მივმართე. მან კი, დაღლილი ვარო, მიპა-

სუხა, დაღლილი და იმედგაცრუებული. მე მომენდე-მეთქი, შევთავაზე. მხრები აიჩჩინა“.

არც ვერტიკალისთვის, არც სარესთვის კაცობრიობა ერთ მუჭა მინდაც არ ღირს. მათ სიცოცხლის საზრისს მინიერი საყრდენი გამოეცალა. რა იქცა მათთვის მარტოსულობის, საკუთარ თავსა და საზოგადოებასთან გაუცხოების ამოსავალ ნერტილად? რა გზა იყო ის, რამაც მათი ცხოვრების გეზი, „გზაი ქვემარტივებისაი“ („მე ვარ გზაი და მე ვარ ქვემარტივები და ცხოვრებაი“ (იოანე 14,6) „არსაითკენ“ მიმართა? – უამრავი კითხვა გვიტრიალებს, მაგრამ მანამდე, უპირველეს ყოვლისა, ერთ უმთავრეს კითხვაზე მოგვინევს პასუხის გაცემა – რატომ სძულთ მათ საკუთარი თავი?

ადამიანური ცნობიერება, ადამიანური ყოფის საზრისი პირდაპირ და უშუალოდ უკავშირდება ღმერთს, რამეთუ შემოქმედია ემპირიული და მეტაფიზიკური სამყაროს ერთადერთი ცხოველმყოფელი სანყისი – უსასრულო, მარადიული და უსაზღვრო. მის მიერ სიკეთითა და სიყვარულით შექმნილი არსებები ასევე სიკეთისა და სიყვარულის გზით ცდილობენ განმღრთობას, ღმერთთან მიმსგავსებულობას. ყოველგვარი ზნეობრივი აქტი (თუნდაც ეს ოდენ გულმხურვალედ აღვლენილი ლოცვა იყოს) იმ აღმავალ ხაზს მიემართება, მთავარ მაგისტრალად რომ აღმართულა ღმერთსა და კაცს შორის. შემდეგ ნებისმიერი, თუნდ უმცირესი სიკეთეც კი უდიდეს მადლად უბრუნდება ადამიანს და ასე უსასრულოდ... მხოლოდ ამ ზეცისაკენ აღმავალ ხაზს შეუძლია ქვემარტივებს გვაზიაროს, ენით უთქმელი ნეტარება განგვაცდევინოს. ამ ვერტიკალურ ხაზთან (ღვთაებრივ რწმენასთან) მოშორებულობა ღმერთთან სულიერი კავშირის განწყვეტას გულისხმობს. ვერტიკალური და სარემ ღვთაებრივი რწმენა დაკარგეს, გზა აებნათ და უსასრულობაში დაიკარგნენ.

ფიოდორ დოსტოევსკი ამბობს: „მიზანი კაცობრიობისა, მიზანი ყოველი ერისა მისი არსებობის განმავლობაში არის მარ-

ტოდენ ღმერთის ძიება, დიახ, უთუოდ საკუთარი ღმერთის ძიება და რწმენა მისი, ვითარცა ერთარსებისა, ქვემარტივისა“ (დოსტოევსკი, „ემმაკნი“). ვერც ვერტიკალური და ვერც სარემ ვერ შეძლეს დაკარგული ღმერთის პოვნა და ურწმუნო ყოფით დაეჭვებულებმა და სიცოცხლის შიშით შეძრწუნებულებმა ვეღარ გაიგნეს ქვემარტივებისკენ მიმავალი გზა.

„ღმერთის სიკვდილი“

ნინო ხარატიშვილის რომანში, გოეთეს რომანისაგან განსხვავებით, ტრაგიზმი მეტია. აქ ნამდვილად სამყაროს აღსასრული ეგონება კაცს. სარეს ჩანანერებს ისეთი მაგიური ძალა აღმოაჩნდა, რომ უამრავმა ქალმა მიჰბაძა მას, მისმა აჩრდილმა თვითმკვლელად თხუთმეტი ქალი აქცია. მათ ყველამ, სარეს გავლენით, სიცარიელე და არაფრობა ირწმუნეს. თითოეულმა მათგანმა წარსულში რაღაც დაკარგა – ის, რაც, ავტორის თქმით: „სიცოცხლის ტოლფასი იყო და რასაც ახლა მიუსაფართა ქვეყანაში ბრმად ეძებდნენ“. ჟანას დღიური თვითმკვლევებს სიკვდილის შიშის დაძლევაში, ღმერთის შიშის გადალახვაში დაეხმარა.

უღმერთო, ურწმუნო ყოფამ ჩაუსახა ჟანას სკეპსისი და მთელი მისი ცნობიერება ნიჰილიზმმა მოიცვა. როცა მის ცხოვრებისეულ პასაჟებსა თუ პირად ჩანანერებს ვეცნობით, ვხვდებით, რომ მასში ღმერთის ყველაზე ცნობილი „მკვლელის“, ნიცშეს დებულებამ ჰპოვა გამოძახილი. დიახ, ჟანასთვის „ღმერთი მოკვდა!“ ის აღარ არსებობს. სწორედ ღმერთთან დაშორებულობა ათქმევინებს მას: „ღმერთთან საუბარი მოვიდომე, სწორედ იმ ღმერთთან, ამ ქვეყნად ჩემს მოვლინებას რომ ესწრებოდა, ის კი არ მოვიდა. ჰოდა, მეც გადავწყვიტე – ამიერიდან სულერთია-მეთქი: შლეგად ვიქეცი და ვაებას დავთესავ, რათა ჩემს აქილევსს ვეახლო ჰადესში“.

ეს სტრიქონები გალაკტიონის სუ-

ლიერ მდგომარეობას მოგვაგონებს ლექსებიდან: „ლურჯა ცხენები“ და „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“, სადაც უღმერთო ყოფით განანამები პოეტი გულდანყვეტილია, რადგან იცის, რომ მისი ურწმუნო სული სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებს. ამიტომაც უიმედოდ მიმართავს ღვთისმშობელს: „განსასვენებელ ზიარებაზე ჩემთან არ მოვა შენი ხსენება“ („სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“) ან „არ ჩანდა არაფერი, ვერ ვნახე ვერაფერი,/ცივ და მიუსაფარი მდუმარების გარეშე./ მდუმარების გარეშე და სიცივის თარეშში/ სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმწუხარეა!“ („ლურჯა ცხენები“).

შემთხვევით არ მისხენებია გალაკტიონი. მის შემოქმედებასთან ნინო ხარატიშვილის პერსონაჟთა კომპარატივისტიკული ანალიზისას ბევრ საერთოს აღმოვაჩინეთ. გალაკტიონი ნუხს, რომ მის ღვთაებრივ რწმენას ბზარი შეეპარა და მისი უღმერთო ყოფა სკეპსისმა მოიცვა. უღმერთობას და მისგან გამოწვეულ მიუსაფრობას ჩივის ჟანა სარეც, რომლის მცდელობაც – ზიარებოდა ღვთაებრივს და მიახლოებოდა უფალს, ამო აღმოჩნდა – „ღმერთთან საუბარი მოვინდომე... ის კი არ მოვიდა“ – ამის შემდეგ სარეს სულში ბოროტმა გაიდგა ფესვები, სამუდამოდ გაუუცხოვდა სამყაროს, რომელსაც მოევლინა, ღმერთსაც, რომელმაც შვა, ადამიანსაც, რომელსაც არარაობად მიაჩნდა და საკუთარ თავსაც, რომლის არსიც ვერ შეიცნო. მას „დასაყრდენი

წერტილი სჭირდებოდა, სხვა არაფერი, ყავარჯნები სჭირდებოდა გზის გასაგრძელებლად“, – ვკითხულობთ ტექსტში. ეს დასაყრდენი მისი ღვთაებრივი რწმენა იყო, ღვთაებრივი იდეალი, რომელიც თვალსა და ხელს შუა გაუქრა. მისთვის ამქვეყნიური ცხოვრება მხოლოდ მოჩვენებითი, ილუზიური აღმოჩნდა. სწორედ ამის გამო ერთადერთი გზავნილი, რომელსაც სამყაროს უგზავნიდა, მასზე შურისძიება იყო, რასაც მისგან განდგომით, გაქცევით ცდილობდა. ამიტომაც მთელი არსებით მიიღტვოდა ქვესკნელისაკენ, ჰადესს რომ უწოდებს ბერძნული მითოლოგია.

„ჟუჟაში“, გალაკტიონის მსგავსად, ამქვეყნიურ სამყოფელს უდაბნოდ მიიჩნევს სარე, სიცარიელისა და მარტოსულობის სამყოფელს: „ასე გადავწყვიტე და უდაბნო გადავიარე, ცარიელ თავის ქალას რომ ჰგავდა“ („ჟუჟა“); სულითობლობა განუყოფელია გალაკტიონისთვისაც: „სიყმანვილეში მე ვჭკნებოდი, როგორც ფოთოლი,/ ობოლი ვიყავ მე მაშინაც, სულითობოლი“ („უდაბნო“).

გალაკტიონთანაც და „ჟუჟაშიც“ ათეისტური ეგზისტენციალიზმის აშკარა ნიშნებს ვხედავთ. ათეისტური ეგზისტენციალიზმის მამად მიჩნეულია ფრიდრიხ ნიცშე,¹ რომლის ფილოსოფიის უმთავრეს კონცეფციას ღმერთის სიკვდილის გააზრება და სამყაროს ერთადერთ შემოქმედად ადამიანის აღიარება წარმოადგენდა. ის ცდილობდა, ფუძე მოერღვია იმ ფუნ-

1 აქვე უნდა ითქვას, რომ, მართალია, ფრიდრიხ ნიცშეა მიჩნეული ათეისტური ეგზისტენციალიზმის პირველ წარმომადგენლად, მაგრამ გერმანელმა ფილოსოფოსმა თავისი მთავარი პოსტულატი ფიოდორ დოსტოევსკისგან იმეკვიდრა. დოსტოევსკიმ ჯერ კიდევ 1872 წელს გამოცემულ რომანში „ემშაკნი“ განაცხადა თოთხმეტი წლის პერსონაჟ გოგონას პირით – „დედა, მე ღმერთი მოვკალი!“ ეს დებულება მოგვიანებით ნიცშემ აიტაცა და განავრცო. დოსტოევსკის ერთი ფრაზა „ძმები კარამაზოვებიდან“ – „თუკი ღმერთი არ არსებობს, ყველაფერი ნებადართულია“ – იქცა ამოსავალ წერტილად ეგზისტენციალისტ ფილოსოფოსებისთვის. ეგზისტენციალიზმისა და თვითმკვლელობის თემატიკა წამყვან ბირთვს წარმოადგენს ფიოდორ დოსტოევსკისა და ლევ ტოლსტოის შემოქმედებაში. აღსანიშნავია, რომ მთელი მათი შემოქმედების მთავარი იდეა ღმერთის ძიებაა.

დამენტური ქრისტიანული ღირებულებებისთვის, რომლებიც კაცობრიობის არსებობას კვებავდა და მისი ქმედების მყარ საზომს წარმოადგენდა. ამიტომაც „ასე იტყოდა ზარატუსტრაში“ მან შექმნა „ზეკაცი“, როგორც ნიმუში იდეალური ადამიანისა, რომელიც თავისუფალია ყოველგვარი მორალური თუ რელიგიური დოგმებისგან. „ზეკაცი“ იყო ორიენტირი, რომელიც ასწავლიდა ხალხს, როგორ უნდა ეცხოვრათ ისეთ სამყაროში, სადაც ღმერთი არ არსებობს, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია, ნიცშე მკაცრად გამოხატავდა უარყოფდა სახარებასა და ზოგადად ქრისტიანულ მოძღვრებას, მაგრამ, როგორც გერმანელი ფილოსოფოსი მარტინ ჰაიდეგერი ამბობდა, სწორედ ნიცშე იყო ის ერთადერთი ფილოსოფოსი, რომელიც ღმერთს ეძიებდა. ჰაიდეგერს ამის თქმის უფლებას ის ფაქტი აძლევდა, რომ ნიცშეს ნაშრომებში აშკარად შეინიშნება დებულებათა ამბივალენტური წინააღმდეგობა. ერთი მხრივ, თავისუფალი ადამიანის, „ზეკაცის“, შექმნით გამონვეული კმაყოფილება და, მეორე მხრივ, ღმერთის სიკვდილით მოგვრილი ადამიანური საზრისის დაკარგვა, რომელსაც რეზულტატად უკიდურესი სევდა და სასწრაფო მოპყვება მოჰყვება.

ნიცშეანობამ შეარყია გალაკტიონის ღვთაებრივი იდეალი, რის შედეგადაც ეგზისტენციალური შიშით დასნებოვნდა პოეტი, მისი ადამიანური ყოფის საზრისი მოირყა და მოიშალა. მატერიალური სამყარო ოდენ მარტოსულობის შემოსაზღვრულ ალაგად იქცა, სადაც ამოეება გაბატონდა. ზარატუსტრას „სამშობლო“ მარტოობა („ასე იტყოდა ზარატუსტრა“) – „შენ, ჩემო სამშობლო მარტოობა“. „სამშობლოში ყოფნა“ ნიცშესთან ნიშნავს ყიფიერებას, ამქვეყნიურ სამყოფელს. ამან, როგორც ითქვა,

გამოძახილი გალაკტიონის შემოქმედებაში ჰპოვა – „ჩემს სამშობლოში მე მოვლევ მხოლოდ/ უდაბნო ლურჯად ნახავერდები“ („თოვლი“). ნიცშეს, გალაკტიონისა და ნინო ხარატიშვილის რომანის პერსონაჟის შედარება-შეპირისპირების ფონზე ცხადზე ცხადი ხდება, რომ მათი ცნობიერების საზრისს ერთი საერთო ფორმულირება აქვს – „ღმერთის სიკვდილი!“ ღმერთი აღარ არსებობს, ამიერიდან მიწიერ სამყოფელში, „სამშობლოში“ ურწმუნოება და მისით გამონვეული მარტოსულობა წარმართავს მათი ცხოვრების გზას. ეს ადამიანურ „მე“-სთან გაუცხოებაა, საკუთარი იდენტობის ჩამოშლა, რაც ხშირად ახსენებდა თავს გოგონას, ჟანა სარეს, როგორც „ნეკნებს შორის მოქცეული ყინული“. არ შეიძლება აქაც გალაკტიონი არ გაგვახსენდეს, რომელიც რწმენის კრიზისით მოგვრილ მარტოსულობის განცდას იანვრის სუსხთან აიგივებს: „იანვარს მოძმედ არ ვეძნელები“ („თოვლი“)¹.

მიუხედავად იმისა, რომ დროში საკმაოდ აცდენილები არიან გალაკტიონიც, ნიცშეც, სარეც და „ჟუჟას“ სხვა დანარჩენი პერსონაჟებიც, როგორც ითქვა, ყველას ერთი და იგივე პრობლემა აწუხებს – აბსურდული ეგზისტენციალიზმი. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ეს პრობლემა მარადიულია და მას დრო და საზღვრები არ გააჩნია. ამიტომაც არიან „ჟუჟას“ პერსონაჟები სხვადასხვა ეპოქის შვილები. ეგზისტენციალური შიშით შეპყრობილები არიან არა მარტო ისინი, ვინც სულიერი კრიზისი ვერ გადალახა და სიცოცხლე თვითმკვლევლობით დაამთავრა, არამედ ცოცხლად დარჩენილებიც, ვინც სარეს მონათხრობში საკუთარი ცხოვრების გზა შეიცნო და მიხვდა, რომ ამ უკაცრიელ სამყაროში მისი ადგილი არ არის. სარეც, ლაურაც, ოლგაც, ფრან-

¹ აღსანიშნავია, რომ ნიცშემაც და გალაკტიონმაც სიცოცხლე თვითმკვლევლობით დაასრულეს.

ჩესკაც ერთსა და იმავეს გრძნობენ და განიცდიდნენ: „როგორ შურს იმ ადამიანების, გაბადრული სახეებით რომ დადიან, შეზარხოშებულები ველოსიპედს ლალად რომ დააქროლებენ, ნაცნობ-მეგობრებთან შეხვედრებს რომ გეგმავენ და შილიფად აცვიათ, რადგან არასდროს ანუხებთ სიცივე... შურს იმათი, ვისაც ძალი ჰყავს, ყვავილებს უვლის... სახე მუდამ უღიმის და ყველაზე მოდური ვარცხნილობა აქვს... მოკლედ მთელი ეს მარაზში“, – ასე ახასიათებს მათ განცდებს მწერალი.

სარე, ისევე როგორც აქ ჩამოთვლილი ქალები, მარტონი არიან გალაკტიონის ლექსების ლირიკული გმირივით. როგორც ითქვა, მათი ცხოვრების გზაც არსადაც მიემართება: „მორიელებთან ერთად დავხოხავდი, რომლებსაც ვეფერებოდი და მერე ღამლამობით, ღამეულ სიმარტოვეში ჩაკარგული, ვწვავდი და ვნთქავდი... გზას ვიკაფავდი ბნელეთისაკენ“, – ასე ეძიებს სარე სხვა სამყაროს (შდრ. „სადმე ყრუ ადგილს დავესახლები, სხვა საუკუნის მგზავრი გვიანი“ – გალაკტიონი). „არაფერი, შინ მალე დავბრუნდები“, – სარეს „შინ“ არის სხვა სამყარო, რადგან მინიერს საპრობილეს, მუდმივი ყინულის ქვეყანას უწოდებს, რომელიც თავისი აბსურდულობითა და უაზრობით ბორკავს და გასაქანს არ აძლევს: „ძვლების გროვა ვარ, ძვლებისაგან აწყობილი ორეული. ერთი პატარა, მოხეტიალე სიძულვილი ვარ. მივდივარ, მაგრამ არ ვიცი, რად მივდივარ. ჩემი გზა წარსულია, არასდროს მთავრდება, თითქოს წრეში ვარ ჩაკეტილი. სიარულისას სისხლისგან ვიცლები, მაგრამ ვერავინ ამჩნევს შავ მინაზე წითელ ლაქას“.

სარე ზოგადი სახეა ეგზისტენციალური შიშით შეპყრობილი ადამიანისა. ალბათ, ამას ემსახურება ის ფაქტი, რომ „ჟუჟაში“ განსახიერებელი ყველა პერსონაჟი ორგანულად უკავშირდება მას. სწორედ ამიტომაც მწერალი სარეს ხშირად სხვადასხვა ნაცვალსახელით მოიხსენიებს.

პროფანირებულ სამყაროში

უნას ცხოვრება ცალკეულ ეპიზოდებად არის წარმოდგენილი. ის თვითგვემას მიჰყოფს ხელს და გაბოროტებულს მალაზიის ვიტრინაში მდგარი მანეკენის ბედისაც კი შურს, უსულო საგანიც კი მასზე ბედნიერი ჰგონია. ალბათ, იმიტომ რომ მანეკენს სამყაროსა და საკუთარი თავის შეცნობა არ სჭირდება. სარესთვის დარღვეულია სამყაროული ერთმთლიანობა. ორივე ქვეყანა – ემპირიულიც და მიღმიურიც ერთმანეთისგან არის გათიშული. რომანში ამ პერსონაჟის ცნობიერების ირაციონალური ყოფაა ასახული: „მარჯვენა მხარეს იდგნენ კაცები, მარცხენა მხარეს – მხოლოდ ქალები. სადღაც შუაში ვიყავი მე“.

სარესთვის სააქაო ხილული ჯოჯოხეთია, რადგანაც ვერ შეიგრძნო, ვერ შეიმეცნა ძველი ბერძნული ფილოსოფიური სიბრძნე: „შეიცან თავი შენი!“ ამიტომაც მორიელების, ხვლიკების, გველებისა თუ ათასგვარი უბედურების სათავედ წარმოუდგება საკუთარი ცხოვრება.

„და შევიყარე, რათა შემეცნო, რაოდენ უაზრო იყო სიყვარული“, – გვამცნობს მისი დღიური, საიდანაც ნათლად ჩანს პროფანაცია სახარებისეული დოგმისა: „სიყვარული ღმრთისგან არს“ და რადგანაც არსებობა თავისთავად არის სიკეთე და „საქმენი უფლისანი ყოველნი კეთილ ფრიად“ (ესაია 39,21-44), ყოველ ადამიანს, დამბადებლისგან მოვლენილს, უნდა შეეძლოს ასვლა ისეთ სულიერ საფეხურზე, რომ შეეძლოს, დაძლიოს სულიერი კრიზისი, რადგან უზენაესი ყოველივე არსებულში გამოვლინდება მთელი თავისი სისრულით: „ღმერთი არის ზესთასიკეთე. მისი სიკეთე მოეფინება ყოველსავე არსებულს, როგორც უხრწნელ, უკვდავ, იმმატერიალურ, ისე მთელ მატერიალურ სამყაროს. მის მიერ სამყაროს

შექმნას შეიძლება ენოდოს სიკეთის, სისრულის, ნათლის, მშვენიერების, სიყვარულის განფენა, ოლონდ სიკეთის, სისრულის, ნათლის, მშვენიერების, სიყვარულის მიმღებლობის უნარი არსებულთაგან ყველას თანაბრად როდი მიემადლება. სამყაროს იერარქიული, საფეხურებრივი წყობა აქვს. რაც უფრო დაშორებულია არსი ცენტრალურ სულიერ მზეს, მით უფრო ნაკლებია მისი მიმღებლობის უნარი“ (რ. თვარაძე, „სამყაროს მთლიანობის პრეობლემა და არეოპაგეტიკა“).

ჟანა სარე მთლიანად დაშორებულია ცენტრალურ სულიერ მზეს, ამიტომაც ის მოკლებულია მზის (ღვთაებრივ) ნათელს და ობობებითა და ჯოჯოებით გარემოცული ჯოჯოხეთის ცეცხლს ეფიცება – „მთელი სასახლე ცეცხლის ალში გაეხვია, მე კი ბედნიერი ვიყავი“.

„ჟუჟა“, თავისი ეგზისტენციალური ხასიათიდან გამომდინარე, მდიდარია მითოლოგიური პერსონაჟებითა და ქრისტიანული სახე-სიმბოლოებით, რაც მეტ სიღრმესა და მრავალპლანიანობას სძენს ნაწარმოებს. ტექსტის ამგვარი მითოლოგიზება, ვფიქრობ, ალბერ კამიუს „სიზიფეს მითიდან“ მომდინარეობს, სადაც ცხოვრებისეული აბსურდის აღგორიანა წარმოდგენილი – მთელი არსებობა ფუჭ და დაუსრულებელ შრომას ხმარდება.

„დაკლული ბატკნების ქვეყანაში მზე ამოდის... მის (სარეს – თ. გ.) ქვეყანაში – მთვარე“, – ვკითხულობთ რომანში და ვხვდებით, რომ „დაკლულ ბატკანში“ იესო მაცხოვარი იგულისხმება, მზე კი მისი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ქრისტიანული პარადიგმაა – „მზე სათავეა სინათლისა, რომელიც სიბნელეს ებრძვის“ (გრ. რობაქიძე, „მზის ხანა ქართველთა“, 1996, გვ. 69). ამ პასაჟის ჰერმენევტიკულ ანალიზს ასეთ დასკვნამდე მივყავართ – ქრისტიანული მრწამსის მქონე ადა-

მიანს, ვისთანაც გაუზარავია უფლის რწმენა და სიყვარული, ღვთაებრივი მადლი უნათებს გზას. რაც შეეხება მთვარის სიმბოლიკას, მას მითოლოგიური ახსნა შეიძლება მოვუძებნოთ: „მინდა მთვარეს ვეახლო ცაში, რომ გულში ჩამიკრას. მთვარე ჩემია. მე მისი მეორე ნახევარი ვარ. ოდესღაც ერთმანეთს შეფიცულები ვიყავით“, – ამბობს სარე, რომელმაც მთვარე თავისი სულიერი სამყაროს კულტად მიიჩნია.

ზოგიერთმა მითოლოგიურმა აზროვნებამ მთვარის კულტი იმქვეყნიური გზის მიმანიშნებლად დასახა. სწორედ ეს მითი გახდა მიზეზი იმისა, რამაც მირჩა ელიადეს¹ ათქმევინა: „მთვარეა ადამიანის სიკვდილთან შემრიგებელი“. მთვარეს ასტრალური სიმბოლიკის მიღმიურმა პლასტმა იდუმალებისა და მისტიკურობის ელფერი შესძინა. სწორედ ამაზე უნდა მიანიშნებდეს საზრისდაკარგული ჟანა სარეს მისწრაფება მთვარის ფენომენისკენ, ანუ, ერთი სიტყვით, მან მზე მაცხოვრის სიმბოლოდ, ხოლო მთვარე თავისი იმქვეყნიური ცხოვრების მეგზურად დასახა, რადგანაც მისი მსოფლმხედველობრივი იდეალი ამქვეყნიური არსებობის უარყოფაა, მისი დაძლევისკენ სწრაფვაა.

ჟანას ყოფა ერთი სიტყვითაც კი შეგვიძლია შევაფასოთ – აპოკალიპსი. მისი რწმენის სიმტკიცე ძირფესვიანად არის მორყეული, რადგანაც მან დაკარგა ქრისტიანობის უმთავრესი ბირთვი – სიყვარული, როგორც სამყაროსთან დამაკავშირებელ მთავარი ღერძი, მთავარი საყრდენი. რწმენადაკარგულს აღარავისი და არაფრის აღარ სჯერა. ამიტომაც არის მის დღიურებში პროფანირებული მითოსიცა და ქრისტიანობის უპირველესი წიგნიც. აქ დამახინჯებულია ყველაფერი – ადამ და ევადან დაწყებული, სამყაროს უსასრულობით დამთავრებული. სარეს დღი-

1 მირჩა ელიადე (1907-1986წწ) – რუმინელი მწერალი, მითოლოგიის მკვლევარი.

ურებში თვით ადამი და ევა, რომლებიც ადამიანური არსებობის საწყისად იქცნენ, მარტოსულები და ეულები არიან, მათი არსებობაც ერთ დიდ აბსურდად ქცეულა, რის გამოც ზედმეტად გრძობენ თავს წუთისოფელში, სადაც ხსნის გზა არ არსებობს, ამიტომაც ისინიც კი (ერთმანეთდაკარგულები) თავს იკლავენ. მათ ყოფაშიც სიცარიელეს დაუსადგურებია. ადამისა და ევას გაუკუღმართებული, აბსურდული და ქაოსური ცხოვრებისეული არსი არაფრობაა. ეგზისტენციალურმა კრიზისმა ისინი მას შემდეგ შეიპყრო, როგორც კი ღმერთმა სამოთხიდან გამოაძევა. იქიდან მოყოლებული ანამებს ადამიანს ეგზისტენციალური შიში, ამიტომაც უღებენ ბოლოს ამ არფრობას ადამიანთა მოდგმის წინაპრებიცა და მათი მიმბაძველი ჟანა სარეც – სუიციდით ამთავრებენ სიცოცხლეს. ასე ირღვევა სამყაროს კოსმოგონიური წესრიგი და ანთროპომორფულ არსებებს ზომორფული არსებები ანაცვლებენ, რადგან უღმერთობით, ურწმუნობით დაღლილ, დაეჭვებულ სააქაოში ადამიანის ადგილი აღარ არის და მატერიალური, ხილული სამყარო მხოლოდ ბოროტის – გველებისა და ჯოჯოების საბუდარი გამხდარა.

ჟანა სარე ადამიანის სამყოფელს ძაღლების გარემოცვას უწოდებს, ბნელეთით მოსილს, სადაც ქარმა ჩამოსვა. ჟანას მიერ ქარის „მოქრთამვა“ უკანასკნელ გაბრძოლებად შეიძლება მივიჩნიოთ სამყაროს შემეცნებისა, თუმც ესეც კრახით დასრულდა.

ქარი სამყაროს ცხოველმყოფელი სუნთქვა, ღვთაებრივი ნების გაცხადებაა, სიმბოლოა დაუოკებლობის, მოძრაობის, ქმედითობის, მაგრამ, იმავდროულად, ეფემერულობისა და წარმავლობისა (სიმბოლოთა ლექსიკონი, აბზიანიძე, ელაშვილი). სარეს ეს უკანასკნელი გაბრძოლებაც ხანმოკლე და ეფემერული გამოდგა, ამიტომაც ამბობს გაქროლებამდე: „ოცნების ძიებაში გადავემევი“-ო. ის მცირე ხანში იმ სასტიკ რეალობას უბრუნდება,

რომელსაც ადამიანთა სამყარო ჰქვია.

ამ რომანში დიდი ადგილი ეთმობა ზომორფულ სიმბოლიკას, რომლებიც ქრისტოლოგიურ მინიშნებებს გვთავაზობს. „ევანგელისტთაგან წმინდა ლუკას ემბლემა ხარი გახლდათ, მარკოზისა – ლომი, იოანესი – არწივი, თავად მაცხოვრისა – კრავი ან თევზი, ხოლო სულიწმინდისა – მტრედი“ (სიმბოლოთა ლექსიკონი, აბზიანიძე, ელაშვილი), თუმც აქ ჩამოთვლილთაგან არც ერთი ცხოველის სიმბოლო არ არის ნახსენები სარეს მიერ შექმნილი სამყაროში, სამაგიეროდ, ხშირად ვხვდებით შხამიან, გესლიან არსებებს – მორიელებს, ობობებსა და გველებს (ქრისტიანულ სიმბოლიკაში მორიელები ღალატს, სიძულვილს, შურსა და სასიკვდილო საფრთხეს, ობობები – ასევე სისასტიკეს, სიხარბესა და საბედისწერო სატყუარას, ხოლო შხამიანი გველები – ცივისხლიან, ადამიანის მარადიული მტრის სიმბოლოს განასახიერებენ); აქ მხოლოდ ხვლიკი დანაიდაა გამოყვანილი დადებით ასპექტში, რადგანაც ის ხელახალი აღორძინების სიმბოლოს წარმოადგენდა ანტიკურ მითოლოგიაში. ის ერთადერთი არსებაა სარეს მიერ შექმნილ სამყაროში, რომელსაც გოგონა გულწრფელად უყვარს. ამიტომაც დაარქვა მას ულამაზესი პეპელას სახელი – დანაიდა. ხვლიკთან ურთიერთობა სარეს ერთ-ერთი ოცნებათაგანია, ანუ პოზიტივია მის ორად-ორ ოცნებათაგან, მეორე, როგორც ითქვა, ქართან ერთად გაქროლებაა.

რაც შეეხება ქვიშას, რალა თქმა უნდა, მასაც გარკვეული სიმბოლური დატვირთვა აქვს: „ქვიშა ყოველ ღამე ჩემთან იწვა, მე ხომ ამასობაში ასე დავმშვენდი“, – ამბობს პერსონაჟი. მინა, ქვიშა – ეს არის ქალური საწყისი, მარადიული საშო, ყოვლისმშობი და ყოვლისმშთანთქავი (სიმბოლოთა ლექსიკონი, აბზიანიძე, ელაშვილი). ზოგიერთ მითოლოგიურ წარმოდგენაში დედამინა დაწყვილებულია ცასთან, რომელიც მამაკაცურ საწყისს განასახიერებს სამყაროს ვერტიკალურ

განასერში. წესით, ქვიშასთან კი არა, ცასთან, მამაკაცურ სანყისთან უნდა დაწყვილებულიყო სარე, მაგრამ, როგორც ყველაფერი, ეს ფაქტიც გაუკუღმართებულია მის სამყაროში და ის, თავად დედაკაცი, დედაკაცურ სანყისთან წყვილდება, ისევე როგორც ხვლიკი – კუსთან, მეორე პოზიტივთან, რომელიც სიყვარულის, სინაზისა და ნაყოფიერების სიმბოლოს გამოხატავს და რომელიც სარესავით ადამიანთა ძალადობას გამოექცა ამ უცნაურ სამყაროში. რა სამყაროა ეს? ეს არის ჟანას ყოფიერება, მისი ცხოვრებისეული ხედვა, რომელიც აღსავსეა ნგრევისა და სიძულვილის პათოსით.

ასეთი მრავლისმთქმელი და მრავლისმეტყველია სარესეული ყოფა, რომელიც თავისი ქაოსურობითა და აბსურდულობით სამყაროს ესქატოლოგიურ დასასრულს მოგვაგონებს.

როგორც ითქვა, ტექსტში უამრავი სახე გვხვდება მითოლოგიიდან. ეს ყველაფერი განჩხრეკა-გაანალიზებას მოითხოვს. მითოსური ელემენტების შემოტანით მწერალმა ტექსტს ორპლანიანობა შესძინა და ღრმააზროვანი გახადა. მითები ხომ იმისათვის არსებობს, ჩვენი წარმოსახვა გააცოცხლონ. მითოსი გენიალურად განმარტა რომაელმა ავტორმა სალუსტიუსმა – „ეს არასოდეს ყოფილა, ოღონდ ყოველთვის არის“. ნინო ხარატიშვილს რომანში მითოლოგიური პარალელების შემოტანით, ვფიქრობ, სწორედ იმის თქმა სურდა, რომ ჟანა სარე არასდროს ყოფილა, მისი ისტორია შეთხზულია, ისევე, როგორც კამიუს „სიზიფს მითი“, მაგრამ ის მაინც ყოველთვის არსებობს იმ ადამიანების სახით, ვინც სამყაროსთან სალაპარაკო ენა დაკარგა, ვისაც სიცოცხლის შიში უკურნებელი სენივით შეეპარა, ვინც მინიერისა და ზეციურის დუალიზმით დაავადდა.

უძველესი ერების მითოლოგიურმა ცნობიერებამ მხატვრული უკუფენა ქრისტიანულ რელიგიაშიც ჰპოვა. მითოლოგიური წარმოდგენები სახარებისეულმა სახე-სიმბოლოებმა თუ

არქეტიპებმა ჩაანაცვლა. ჩვენი სიტყვაკაზმული მწერლობა ამის ნათელი დადასტურებაა. ანალოგიურ ფაქტს ვხვდებით, როგორც ქართველ, ისე რუს და ევროპელ სიმბოლისტებთან. მითოსური პარადიგმები სიმბოლისტურ ახსნას საჭიროებს, ამიტომაც ამბობდა გრიგოლ რობაქიძე: „ვისაც სიმბოლო და მითოსი არ ესმის, ის ჩემს შემოქმედებას ვერ გაიგებს“.

„ჟუჟაში“ განსაკუთრებული სიხშირით აქილევსის სახელს ვხვდებით. ჟანა ინტენსიურად მიმართავს მას და სთხოვს, დაელოდოს, ის მალე მასთან იქნება. **აქილევსი** ბერძნულ მითოლოგიაში ტროას ომის ყველაზე მნიშვნელოვანი გმირია. ის, ჰომეროსის მიხედვით, საიქიოში მკვდართა მეუფედ ითვლება. სარე, რომელმაც ამქვეყნად ყველაფერი უარყო და „ღმერთის სიკვდილი“ აღიარა, თავადაც სიკვდილის ლანდად იქცა. ამიტომ თავისი ამღვრეული სულის საგანედ ზეციურ ერთარსებას კი არ სახავს, არამედ, აქილევსს – ქვესკნელის, სიკვდილის საუფლოს გამგეს: „ვდგავარ და ველოდები. ველოდები ღმერთს. ის კი არ მოდის, არ მპასუხობს. კარი მომიხურა“.

„**შეიტან თავი შენი!**“

სარესთვის ყოველგვარი ადამიანური გაუფასურდა. სამყარომ, რომელიც მისთვის მყარი ორიენტირი უნდა ყოფილიყო, ფასი დაკარგა, ზეგრძნობადი, ღვთიური სამყოფელი მხოლოდ ილუზია და ცდომილება აღმოჩნდა. ის მხოლოდ საკუთარი თავის ამარა დარჩა, მაგრამ მალე ისიც დაკარგა, მეტიც, საკუთარმა აჩრდილმაც კი მიატოვა, რის შედეგადაც მისთვის ზეციური თალი საბოლოოდ დაიხშო და დაიხურა. ასე მოვიდა ნიჰილიზმი. მას ერთადერთი რამღა ასულდგმულებს – რაც შეიძლება მეტად აფურთხოს სახეში ცინიზმით სავსე სამყაროს და ნილაბი ჩამოგლიჯოს. მეტი თვითგვემა და თვითდაზიანება მიაყენოს საკუთარ

მედაკარგულ თავს. ასე, ალბათ, უფრო მალე აიძულებს სხეულს, დატოვოს ეს ქვეყანა, სადაც არ არის სიყვარული და ოდენ უაზრო და უთავბოლო სარბიელია. მას კი მხოლოდ ეს ერთადერთი რამ სჭირდებოდა ცხოვრებაში – სიყვარული! „შემიყვარეთ, ბატონო, გთხოვთ!“, – ევედრება ის ადამიანებს.

ჟანას იმედი აქვს, რომ იმქვეყნად მაინც იპოვის ღმერთს, თავის ერთადერთ დასაყრდენს. ამიტომაც მიმართავს ასე: „ჩვენ ერთმანეთს სადმე შევხვდებით. შევხვდებით და ამოვიცნობთ ერთმანეთს... იქნებ მაშინ მაინც დამიბრუნდე და თან წამიყვანო, უშენოდ სამყარო არ მყოფნის!“ ის ახალი სამყაროსკენ ილტვის, ოლონდ, ღვთის სიყვარულით სავსე სამყაროსკენ, რომელიც მარადიული სიყვარულით იქნება აღსავსე, სადაც არასდროს მიატოვებს ღვთაებრივი რწმენა და მადლი. სარეს სიტყვებიდან და მისწრაფებიდან აშკარად ჩანს ნიცშესეული მარადიული დაბრუნების იდეა. ამიტომაც მიმართავს ასე ხშირად მითოლოგიას. ზოგადად, ყოველგვარი მითი მარადიული დაბრუნების იდეითაა გამსჭვალული.


ჟანას, რომელმაც თავისი პირველი მოსვლით ვერ შეიცნო საკუთარი თავი და ღვთაებრივი სანყისით გამსჭვალული სამყარო, მტკიცედ სწამს, რომ მეორედ დაბადებისას უცილობლად იპოვის ღმერთს და შეიმეცნებს პირველსანყისს: „ჩვენ ახალ სამყაროს გამოვძერწავთ თიხისაგან და აღარასდროს დავსვამთ ნერტილს, არ გავჩერდებით...“

როგორც ითქვა, „გამყინვარების ხანის“ თხუთმეტივე მსხვერპლი ქალია. რატომ გამოიწვია ჟანა სარეს ჩანაწერებმა ასეთი მასობრივი აფეთქება მაინცდამაინც სუსტი სქესის წამომადგენლებში? იმიტომ ხომ არა, რომ ქალს მამაკაცისაგან განსხვავებით უფრო ფაქიზი, გრძნობადი დამოკიდებულება აქვს ყველაფრის მიმართ, რომ მამაკაცებს მოვლენათა უფრო გლობალური ხედვა გააჩნიათ, ქალები კი წვრილმან ფაქტებსაც ემოციურად

აღიქვამენ? ან საერთოდ რას ემსახურება „გამყინვარების ხანის“ ლიტერატურული მისტიფიკაცია, რადგან, როგორც მოგვიანებით ირკვევა, ჟანა სარე საერთოდ არ არსებობდა და მთელი მისი ისტორიაცა და პიროვნული განცდებიც, რომანის მიხედვით, მამაკაცმა მწერალმა, პატრიკ დუშამპმა გამოიგონა?! გამოდის, რომ ადამიანები ლეგენდის მსხვერპლნი გახდნენ, რადგანაც ხალხს იმისი სჯერა, რისი დაჯერებაც სურს. რამ უბიძგა დუშამპს ისეთი მითის გამოგონებისკენ, რამაც თხუთმეტი მანდილოსანთან ერთად მისი მეუღლეც შეინირა? თუ ტექსტს ღრმად ჩავუკვირდებით, დავინახავთ, რომ დუშამპსაც ეგზისტენციალური პრობლემები აწუხებს. ის თავისი თვისებებითა და შინაგანი სამყაროთი ძალიან ჰგავს ალბერ კამიუს „უცხოეს“ და დოსტოვესკის „დანაშაული და სასჯელის“ მთავარ პერსონაჟებს. პატრიკი ადრეულ ასაკში ისეთი უხამსი სცენის შემთხვევითი მოწმე გახდა, რამაც ძირფესვიანად შეარყია მისი შინაგანი სამყარო – მის დას ორალური სექსი ჰქონდა ვიღაც ბოქსიორთან, პატრიკმა კი ეს ყველაფერი დაინახა, დაინახა და მას მერე სამუდამოდ შეიძულა საკუთარი თავიც, დებიც, ქალთა მოდგმაც და ზოგადად ადამიანებიც. ამიტომაც ეკითხება მას ცოლი: „რატომ გძულს ასე საკუთარი თავი?“ მის შესახებ ტექსტში ვკითხულობთ: „ადამიანები არ უყვარდა. ოცნება თავისუფლებაზე, როგორც ჩანს, მალე საპნის ბუშტივით გასკდება და იმედგაცრუება, რომელიც უფრო და უფრო მატულობს, ყველაფერზე გაბატონდება“. რომანის კითხვისას გიჩნდება განცდა, რომ ყველასი და ყველაფრის სიძულვილმა (განსაკუთრებით კი ქალთა სქესისამ) შეაქმნევინა პატრიკს ეს ფატალურად საბედისწერო წიგნი. ადამიანები იხოცებოდნენ, ის კი მაინც ჯიუტად და ერთგვარი სიამოვნებითაც განაგრძობდა ჟანა სარეს ჩანაწერების კეთებას. სარე მის არსებაში ჩასახლდა და მთლიანად განაგებდა დუშამპის ცხოვრების წესს,

მეტიც, საკუთარ ცოლშიც მას ეძებდა. ალბათ, სურდა, ბოლომდე დაცემული და განადგურებული ენახა ქალები. სწორედ ამას ველარ გაუძლო პატრიკის ცოლმა მარიმ და თავი მოიკლა. პატრიკ დუშამპმა სარეს გამოგონებით, ვფიქრობ, შური იძია საკუთარ დაზეც და ზოგადად ყველა ქალზე. თუ იმასაც გავიხსენებთ, როგორ უხეშად ეპყრობა პროფესორ ქალს, ლაურას, ვისთანაც ინტიმურ ურთიერთობას დაამყარებს, უმაღლესი სიხარულით გახდება, როგორი ველური ყინი ამოძრავებს იმისა, რომ სასტიკად ავნოს და ატკინოს ქალს. ეგზისტენციალური კრიზისი თავად დაუდგა პატრიკს და ეს ყველაფერი ფურცლებზე გადაიტანა, თანაც ისე მოიცვა ამ პრობლემამ, რომ მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა.

რომანში ვხვდებით ფანტასმაგო-



რიულ ელემენტებს. ასევე მკაფიოა პოსტმოდერნისტული ნიშნებიც. გარდა იმისა, რომ ავტორი კონკრეტულ ლიტერატურულ გმირებს ასახელებს, საკუთარი თავიც ჰყავს გამოყვანილი ერთ-ერთ პერსონაჟად („მე“) და მეტატექსტის საშუალებით გვიხატავს საკუთარ ფსიქოლოგიურსა თუ ეგზისტენციალურ პორტრეტს. ამასთან ერთად, თხრობის დროს მას თავის შემოქმედებით ლაბორატორიაშიც შევეყვართ.

და ბოლოს, ორიოდ სიტყვა სათაურის შესახებ. რომანს „ჟუჟა“ ჰქვია – ქალის სახელი. ავტორი წიგნის დასასრულს თავად ცდილობს, აგვიხსნას, რატომ უნოდა ამ არაჩვეულებრივ ნაწარმოებს „ჟუჟა“, რომელიც ბაშკირი პოეტისა და მომღერლის, ზემფირას ლექსის სათაურია, ხოლო მთლიანად ლექსი რომანის ერთ-ერთ ეპიგრაფად არის წარმოდგენილი: „ეს სიმღერა იმ ადამიანებზეა, რომელთაც ჟუჟა სჭირდებათ ან იმათზე, ვისაც შეუძლია თავად იყოს ჟუჟა – ის ადამიანი, რომლისთვისაც ღირს ცხოვრება, რომელიც ღირსია, რომ გიყვარდეს და უყვარდე“, – ამბობს ავტორი. ლექსის შინაარსიც იმავეს გვამცნობს. ჩვენ ყველას ჩვენი „ჟუჟა“ გვჭირდება, ჩვენი მყარი საყრდენი, ჩვენი საკრალური ძალა, ან-მყო და მყოფადი... „ჟუჟა“ – ეს ჩვენი ცხოვრების აზრია, ეს სიმღერა ჩვენზეა.

დაჩა მარაინი



დედა და ვაჟიშვილი

დაჩა მარაინი – „სამოციანელების თაობის“ წარმომადგენელი იტალიელი მწერალი, პოეტი, ესეისტი, დრამატურგი და სცენოგრაფი. დაიბადა 1936 წლის 13 ნოემბერს ქალაქ ფიესოლეში. მამა – ფოსკო მარაინი ტოსკანელი მწერალი და ეთნოლოგი, დედა – ტოპაცია ალიატა – პალერმოელი მწერალი და არისტოკრატიული ოჯახის შვილი.

დაჩამ ბავშვობა, ოჯახთან ერთად, იაპონიაში გაატარა. ეს წლები მისთვის უმძიმეს პერიოდად ითვლება, რადგან ოჯახი ტყვეთა ბანაკში მოხვდა და ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი გახდა. მიუხედავად ყველაფრისა, მწერალი იაპონიას მაინც არ იხსენებს სიძულვილით. იქ გატარებულ პერიოდს მან არაერთი ჩანაწერი, ლექსი, მოთხრობა და რომანი მიუძღვნა. განსაკუთრებით აღასანიშნავია 2001 წელს დაწერილი რომანი – „გემი კობეს მიმართულებით“, სადაც დიდი ემოციით გვიხატავს ბავშვის თვალთ დანახულ და აღქმულ სისასტიკეს. იტალიაში დაბრუნებისას ჯერ დედის მშობლებთან, სიცილიაში, ცხოვრობენ, მერე რომში გადადიან. ეს ყველაფერი მწერალმა საუკეთესოდ ასახა რომანში „ბაგერია“.

1972 წელს დაჩა მარაინი აყალიბებს მაგდალენას თეატრს, სადაც მხოლოდ ქალები მუშაობდნენ. მწერალს სამოცზე მეტი თეატრალური ნაწარმოები აქვს შექმნილი, რომლებიც ცნობილია არა მარტო იტალიაში, არამედ უცხოეთშიც.

შთამბეჭდავი შემოქმედებისთვის დაჩა მარაინის არაერთი პრემია და სიგელი გადაეცა. მისი რომანებია: „მტრედი“, „სამყაროს თამაში“, „ბოლო ღამის მატარებელი“, „მოპარული სიყვარული“, „გოგონა და მეოცნებე“...

2016 წელს დაჩა მარაინის ქალაქ არონას საპატიო მოქალაქის წოდებას ანიჭებენ. სწორედ ამ ქალაქში ეწყობა ყოველწლიური თეატრალური და ლიტერატურული ფესტივალი, რომელსაც თავად მწერალი ხელმძღვანელობს. 2018 წლიდან ის სათავეში უდგა პალერმოს სამეცნიერო კომიტეტს და არის ლიტერატურულ ჟურნალ „ახალი არგუმენტების“ პასუხისმგებელი ხელმძღვანელი.

ეს ბინა ქირით იმიტომ ავიღე, დაბალი ფასი ჰქონდა და თან მისი ფანჯრიდან ლამაზი ხედი იშლებოდა. ავეჯის ნაწილი ჩემი მშობლების ძველი სახლიდან გადმოვიტანე და დიდი მონდობებით დავალაგე, ნაწილი კი შევიძინე. ლოგინი ერთ დიდ მაღაზიაში ვიყიდე – ძალიან სასიამოვნო და მოსახერხებელი, თანამედროვე, შვედური სტილისა. ჩემს ძველ, მუქი ფერის ხის ლოგინზე ველარ ვიძინებდი, მეტრ-ნახევარი სიმაღლის რომ იყო და ვერც იმ მოოქროვილ დიდ სანოლზე, ჩემს მშობლებს რომ ეძინათ და სადაც თითქმის ერთდროულად გარდაიცვალნენ კიდეც. ასევე შევიძინე ფერადი მინის ჭალები, ვიძინის დანული სკამები და დიდი, ასაწყობი ხის მაიმუნი, რომელიც კამპანიისთვის, ჩემს ოთახში, სანოლთან დავიკიდე.

დასაწყისში, ცოტა არ იყოს, მარტოობამ შემანუხა. ჩემებთან ოცდაათწლიანი თანაცხოვრების შემდეგ ამ უცხო სახლში თავს მარტოდ ვგრძნობდი, მეზობლების ცხოვრებაში თუ შემეძლო მხოლოდ მონაწილეობის მიღება. კედელი, რომელიც მათგან მყოფდა, ისეთი თხელი იყო, გეგონებოდათ, არც კი არსებობსო და ამან ნაკლებად მაგრძნობინა ჩემი მარტოობა.

ადოლფო და დედამისი დილით ადრე, შვიდის ნახევრისთვის იღვიძებდნენ და მაშინვე სამზარეულოში შედიოდნენ. მე ლოგინში მწოლიარესაც კი შემეძლო მათი საუბრის მოსმენა. ვიყავი ასე, სიბნელეში და ყურადღებით ვუსმენდი. სიმართლე რომ ვთქვა, ადოლფო ცოტას ლაპარაკობდა. ხრინწიანი ხმა, რომელიც ყველაზე მკაფიოდ ისმოდა, დედამისის იყო. ძილ-ღვიძილში მყოფს მისი სიტყვები კარგად არ მესმოდა, მაგრამ ჭიქების წკარუნს, ყავის კოლოფში კოვზის მოძრაობას, გაზის სანთებელას დანკაპუნებას, მოშვებული ონკანის ჩხრიალს, მაცივრის კარის ტკაცანით გაღებას, რომელიც რაღაც-

ნაირი, შებერილი სტვენით იკეტებოდა, ნათლად ვიგებდი. დედის სიტყვებს ეს ხმები ფარავდა ხოლმე, ამიტომ მე, ძილისგან ჯერ კიდევ სანახევროდ გამოფხიზლებულს, მიჭირდა ქალის სიტყვების მკაფიოდ გარჩევა, მაგრამ მერე, თანდათან, რომ ვიღვიძებდი და ნივთების ხმაურიც ქრებოდა, მისი ხმაც ინმინდებოდა, უფრო მკვეთრი და გასაგები ხდებოდა.

საუზმის დასასრულს დედა-შვილი სანოლ ოთახში ბრუნდებოდა, მაგრამ სამზარეულოსა და საძინებელს შორის არსებული კარი ღია რჩებოდა და მათი ხმის გაგონება ჩემთვის ისევ შესაძლებელი ხდებოდა. ისმოდა დედის დაბალი, ბოხი ხმა, აქოშინებული სუნთქვის რიტმით, ხან რომ იმატებდა და ხანაც იკლებდა. მას დროგამოშვებით შვილის ერთმარცვლიანი ღრუჭუნის ცვლიდა.

– შენი დედიკო ახლა საცვალს ჩაგაცვამს.

– მელიტინება.

– ლიტინი კი არა, კარგად მოიქეცი და ხელები ასწიე, შენი დედიკო მაისურს ჩაგაცვამს. ფეხებიც ასწიე აბა, შარვალი ჩაგაცვას დედიკომ. გასწორდი. ვერ ხედავ, ყველა მხრიდან რომ ქანაობ? სწორად დგომას თუ არ მიეჩვევი, ხერხემალი მოგელუნება და მერე რკინის კორსეგით სიარული მოგიწევს.

– რკინის კორსეგით?

– ჰო, რკინის კორსეგით. მერე დაჯდომასაც ვერ მოახერხებ, იმიტომ რომ ხერხემალი დუნდულებში მთავრდება და შენ მთლად რკინაში იქნები ჩასმული. პოპოს დროს ტაკოში პლასტმასის მილს შეგიკვეხებენ.

– რა?

– ჰო, ერთ მეტრიან პლასტმასის მილს. მერე, ფისის დროს, ველარ მოიხრები და მთლად მოგესხმება ფეხებზე.

– ვაი!..

– რა, ვაი?! როგორ გეტყობა, ომის დრო რომ არ იცი! ომში რომ წახვალ და დედა გვერდით არ გეყოლება, გაიგებ

ჩემს მნიშვნელობას.

– ბრ...

– ომში მარტო მოგიწევს ხის სა-
ნოლზე დაძინება. რწყილები და ტილე-
ბი რომ დაგესევა, მუნიც გაგიჩნდება.
ომში მუნი გარდაუვალია!

– რა?

– ტანი გაგინითლდება, გაგისივდე-
ბა, წყლულები გაგიჩნდება და, როცა
მოიფხან, ფრჩხილები ჩირქით აგვე-
სება. მერე სულ ბზიკებით იქნები გა-
დავსებულნი, დიზენტერია არ აგცდე-
ბა. ომში დიზენტერია გარდაუვალია!
საჯდომი ისე აგენვება, რომ სიკვდილს
ინატრებ. მერე სისხლიან პოპოს იზამ
და ნაწლავების გადახლართვასაც იგ-
რძნობ. მე კი შენ გვერდით არ ვიქნე-
ბი!..

ათს რომ ათი წუთი აკლდებოდა,
სამკერვალში მივდიოდი. ადოლოფოს
ზოგჯერ ლიფტში ვხდებოდი და მიკ-
ვირდა, ასე მაღალს, დიდსა და ლამაზს
რომ ვხედავდი. ყოველთვის მეშინოდა
მისი, როცა ღილაკის დასაჭერად სწევ-
და ხელს – გიგანტური ხელი ჰქონდა,
მსხვილი, ღია ფერის, ვენებითა და მყე-
სებით სავსე – მსუქანი, მოუქნელი თი-
თებით; თვითონ დიდებული სიმშვიდით
გამოირჩეოდა.

პირველი საათისთვის, სახლში რომ
ვბრუნდებოდი, ისინი უკვე სამზარე-
ულოში, მაგიდასთან ისხდნენ. კარის
სახელურს როგორც კი გადავატრია-
ლებდი, მაშინვე ადოლოფოს დედის კმა-
ყოფილი ხმა შემომესმებოდა. თეფშე-
ბა და ქვაბებზე კოვზების რაკარუკით
ვხდებოდი, როდის ჭამდნენ წვნიანს და
როდის მაკარონს, ხოლო მაგიდაზე ჭი-
ქის ხშირი და ყრუ დაშვებით, ვიცოდი,
ადლოფო ბევრს რომ სვამდა, რასაც
დედამისის საყვედურიც მოსდევდა ყო-
ველთვის.

– ბევრს სვამ, ძვირფასო! მასე იმ-
პოტენტი გახდები. ღვინო ხომ იცი, იმ-
პოტენციას რომ იწვევს?! ეპილეფსია

დაგემართება. ღვინოს ეპილეფსიის გა-
მოწვევაც შეუძლია!

– უჰჰჰჰ!..

– იცი თუ არა ეს? უკვე ასჯერ მა-
ინც მექნება შენთვის ნათქვამი. სუფთა
თეფშები აილე ახლა, შენ უკან დევს,
ნიჟარაში. ხორცის ქვაბიც აილე, ცეც-
ხლზე რომ დგას, მაგრამ მარილი სა-
დაა? სადაა მარილი? მეგონა, მაგიდაზე
იდო. გასწიე ხელი, ძვირფასო და გა-
მოილე, უჯრაში იქნება. აბა, მითხარი,
ამ დილით ბანკში რა ქენი? ახალი ხომ
არაფერია? ცოტა ნელა ჭამე, თუ არა
– დაიხრჩობი. ხორცი კარგად თუ არ
დალეჭე, კუჭზე დაგანვება. ყოველი
ლუკმა ოცდაათჯერ მაინც უნდა დალე-
ჭო. ასე თუ არ იზამ, კუჭის წყლული
დაგემართება და სისხლს აფურთხებ,
ბოლოს კი საშინელი ტკივილებით მოკ-
ვდები.

მე უკვე მათი ცხოვრებით ვცხოვ-
რობდი. სამსახურს როგორც კი და-
ვამთავრებდი, სახლში ვიკეტებოდი.
ლოგინზე წამოწოლილი და თვალებ-
დახუჭული მათ ამბებს ვუსმენდი. მუ-
დამ ყურადღებით ვიყავი და ამდენი
მიყურადების შემდეგ, უკვე იმასაც კი
ვხვდებოდი, თუ როგორ ჟესტიკული-
რებდნენ კედლის მეორე მხარეს; მეს-
მოდა დედის ჩქარი, მძიმე ნაბიჯებიცა
და შვილის ნელი, მორცხვი სიარულიც.
ვიცოდი, როდის და როგორ ხდიდა დე-
და შვილს ტანსაცმელს: ჯერ პიჯაკს
გახდიდა, მერე პერანგს, მერე მაისურს,
შარვალს, ნინდებს... ვიცოდი, ფეხსაც-
მელების თასმების შესასხნელად მუხ-
ლებზე რომ დგებოდა და წამოდგომი-
სას, ამოსუნთქვას ბუზლუნს რომ ამო-
აყოლებდა.


შაბათ საღამოს თვალებდახუჭული
და ყურებდაცქვეტილი დავესწარი ბა-
ნაობის პროცესს. ქალი ჩუსტებით და-
დიოდა მთელ სახლში და საპონს ეძებ-
და, რომელსაც ვერასდროს ვერ პო-
ულობს, რადგან ხან სამზარეულოში
იყენებს მას, ხან აბაზანაში და ხანაც

თეთრეულს რეცხავს. ამასობაში, აბაზანაში ცხელი წყალი ჩაასხა, მერე სამზარეულოში დაბრუნდა, ლიმონი ორად გაჭრა და წვენი წყალში ჩაანურა. ბოლოს აბაზანა საჭირო რაოდენობის წყლით რომ გაივსო, ონკანი დაკეტა და შვილს დაუძახა:

- დასაბანად, ძვირფასო!
- ძალიან ცხელი არ მინდა. ხომ იცი, რომ ვერ ვიტან?!
ხე, ერთი ფეხი ჩაყავი. თბილია... დაიხარე... ახლა წინ გადაიხარე, ზურგზე საპონს წაგისვამ. რა ლამაზი ზურგი გაქვს! გაჩერდი! რას აკეთებ? ნუ ინძრევი, თორემ საპონი პირში ჩაგივა.

- მტკივა.

- დანყნარდი, სიყვარულო. მაცალე, კარგად დაგბანო. ახლა მობრუნდი, საპონი მკერდსა და გვერდებზე უნდა წაგისვა.



- თბილია, მოდი დროზე. აი, დედიკო პერანგს გაგაძრობს ახლა! დედიკო წინდებს გაგხდის! დედიკო საცვალს ჩაგხდის! რა ლამაზი ხარ! რა კარგი აღნაგობა გაქვს! მამაშენივით კი არ ხარ, გამხდარი და გამჭკნარი რომ იყო! საესე ხარ, ჯანმრთელი და ფეხებს შორის ყვავილიც გაქვს!

- ძალიან ცხელია. არ შემიძლია ჩასვლა.

- სულ ჭირვეულობ. ოცდაათი წელია, ჭირვეულობის მეტი არაფერი გიკეთებია. აი, მოვუშვი ცივი წყალი. ნა-

- მილიტინებ, დედა!

- რა გაქვს აქ, ქვევით? ჩიტუნია? ჭიაყელა? პატარა გველუკა? დედიკომ შენ მართლა კარგი შეგქმნა! იესოსავით კარგი ხარ!

- მცივა...

- შეგცივდება, აბა რა. იმდენი ცივი წყალი ჩამასხმევიწინე! ახლა ქვევით ჩაინიე, წყალი კარგად გადაივლე. მე მალე მოვალ და გაგამშრალე.

- სანამ ადოლფო წყალს ივლებდა, დედა სამზარეულოში ვახშმის მოსამზადებლად შევიდა. იცოდა, ახლა შვილს დამოუკიდებლად რომ შეეძლო საქმის

გაგრძელება და, კმაყოფილი, მშვიდი ხმით ლილინებდა იავნანას.

რამდენიმე დღის წინ, იმის მაგივრად, რომ ჩვეულ ბოხ ხმასა და ჭურჭლის ხმაურს გამოველვიძებინე, სრულიად სიმშვიდეში გავახილე თვალები. მეზობლების ბინიდან არანაირი ხმა არ ისმოდა. ვიფიქრე, ალბათ, სადმე გამგზავრენენ-მეთქი, მაგრამ წინა საღამოს მოსმენილი საუბარი რომ გავიხსენე, ვერაფერი აღმოვაჩინე ისეთი, მათ გამგზავრებას რო შეეხებოდა; მაშინ ვიფიქრე, ან ადოლფო გახდა ცუდად, ან დედამისი-მეთქი, მაგრამ ამ შემთხვევაშიც შემძლო რომელიმე მათგანის ნაბიჯების ხმის გაგონება, თუდაც კენესა, ჩივილი, ძახილი... მაგრამ მსგავსი არაფერი – აბსოლუტური სიჩუმე.

მოსვენება დავკარგე და ნელა-ნელა წამოვდექი. კედელს ყური მივადე და მოვუსმინე, მაგრამ სიჩუმე გრძელდებოდა, მხოლოდ წყლის ხმა ისმოდა, ონკანიდან რომ წვეთავდა. სასწრაფოდ ჩავიცვი, პალტო მოვიხურე, ფეხსაცმელები ამოვიცვი და სახლიდან გასვლა დავაპირე, მაგრამ ვერ მოვახერხე, იქაურობის დატოვება ვერ გავბედე. მაშინ ლოგინზე ჩამოვჯექი და რამდენიმე წუთის განმავლობაში გაუნძრევლად ვიჯექი. მერე ისევ მოვუსმინე, ისევ დავძაბე ყურადღება. მეზობლების საიდუმლოს გაშიფრვის მიზნით, თვალებით ლამის კედლის იქით გავედი, მაგრამ ამაოდ, მაინც არაფერი იცვლებოდა.

ათი საათისთვის სამკერვალოში წავედი, მაგრამ ცუდად ვიმუშავე, მოუსვენრობა და ნერვიულობა მანუხებდა. პირველს რომ თხუთმეტი წუთი აკლდა, სახლში წამოვედი. როგორც კი ლიფტიდან გამოვედი, დავინახე, რომ ჩემი მეზობლის ბინის კარი ფართოდ იყო გაღებული და შიგნით შავად ჩაცმული ადამიანები იდგნენ. მივუახლოვდი... სანოლ ოთახში, იისფერ ქსოვილზე ადოლფოს დედის მსხვილი ცხედარი ესვენა, თითებში კრიალოსანი ჰქონდა

და მკერდზე გლადიუსების თაიგული ედო.

იმ დღიდან ცხოვრება ძალიან მოსაწყენი შეიქნა. სამსახურს რომ ვამთავრებდი, ალარ ვიცოდი, რა მექნა. ლოგინში ადრინდელივით ვწვებოდი, მაგრამ თავს არც მშვიდად ვგრძნობდი და არც კმაყოფილად. ერთადერთი რამ, რაც კამპანიას მიწევდა, ადოლფოს ხანგრძლივი და სუსტი ტირილის ხმა იყო, რომელიც მთელი ღამის მანძილზე შეუჩერებლად ისმოდა.

გუშინ ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მივიღე: ხელოსანს დავურეკე და ვუთხარი, ის კედელი ჩამოენგრია, ჩემი და ადოლფოს ბინას რომ ჰყოფდა. ხელოსანი იმ დროს ვამუშავე, როცა ადოლფო სამსახურში იმყოფებოდა. მის დაბრუნებამდის ყველაფერი დასრულებული უნდა ყოფილიყო. როცა მუშა კედელს ანგრევდა, მე ნატეხებს ვაგროვებდი და ოთახს ვწმენდდი, სამუშაოს ნარჩენები რომ არსად დარჩენილიყო.

ამ ყველაფრის ნახვა ადოლფოს ძალიან არ გაჰკვირვებია. შეიძლება ითქვას, გრძნობდა კიდეც ჩემს ამგვარ გადაწყვეტილებას. ერთ წუთით შემომხედა, უსიტყვოდ გაჩერდა, მერე კი მიბრუნდა და მაცივარი გამოალო. არც მე მითქვამს რამე. თაროებისკენ გავემართე, სადაც თეფშები ეწყო და მაგიდის გაშლას შევუდექი. სანთებელით გაზქურა ავანთე, ქვაბი წყლით ავაგსე და ცეცხლის ალი დავარეგულირე. სანამ წყალი ცხელდებოდა, ადოლფოს გახდაში მივეხმარე – პიჯაკი გავაძვრე, პერანგისა და შარვლის ლილები შევუხსენი, ფეხსაცმელების თასმების შესახსნელად დავიხარე და ბოლოს, წყლის დუღილის ხმა რომ გავიგონე, სამზარეულოში დავბრუნდი.

*იტალიურიდან თარგმნა
მაია ტურაბელიძე*



კაზუო იშიგურუ

ნოქტიურნები: სუთი მოთხრობა მუსიკასა და ლამის ბინდზე

(ედღვნება ესტრადის მომღერალ
დებორა როჯერსს)

კაზუო იშიგურუ (1954) – მწერალი, სცენარისტი, ნოველისტი დაიბადა იაპონიის ქალაქ ნაგასაკიში. 1960 წელს ოჯახთან ერთად საცხოვრებლად გადადის დიდ ბრიტანეთში. ლიტერატურულ კარიერას იწყებს 1981წელს, სამი მოთხრობის გამოქვეყნებით. 1983 წელს იღებს გრანტს – საუკეთესო ახალგაზრდა ბრიტანელი მწერალი – თავისი პირველი რომანისთვის – „იქ, საიდანაც გორაკები ჩანს“; 1993 წელს იღებს წამახალისებელ ჯილდოს შემოქმედებითი საქმიანობისთვის.

კაზუო იშიგურუს შემდეგი რომანებია: „წებოვანი სამყაროს მხატვარი“ და „დღის მინურულს“. ამ უკანასკნელისთვის იღებს ბუკერის პრემიას. კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ: „იაპონელმა მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ინგლისური რომანი“ დაწერა. მას ჯოზეფ კონრადსა და ვლადიმერ ნაბოკოვს ადარებდნენ.

2010 წელს უფრო დიდი წარმატება მოჰყვა მისი რომანის – „არასოდეს გამიშვას“ – ეკრანიზებას.

2017 წელს იაპონური წარმოშობის ბრიტანელ მწერალს, კაზუო იშიგურუს, ლიტერატურის დარგში ანიჭებენ ნობელის პრემიას. ქართულ ენაზე თარგმნილია მისი რომანები: „არასოდეს გამიშვას“, „დღის მინურულს“, „დაფლული გოლიათი“ და „როცა ობლები ვიყავით“. მწერლის ნაწარმოებები გამოირჩევა ადამიანის მიერ სამყაროსა და სოციალურ-ფსიქოლოგიური დამოკიდებულებით, რომელიც ხშირად ოსტატურადაა შეზავებული. ფანტასტიკის ელემენტებთან.

იმ დილით, როცა ტურისტებს შუა მოკალათებული ტონი გარდნერი შევნიშნე, ვენეციას ის-ის იყო გაზაფხული შემოჰპარვოდა. მოედანზე პირველ კვირაში ჩასატარებელი კონცერტები უკვე დამთავრებული გქონდა. თავს უფლებას ვაძლევ მოგახსენოთ, რომ იმ ხანგრძლივ

გამოსვლებთან შედარებით, რომლებიც მანამდე კაფეს სიღრმეში გვიწევდა და შიდა კიბეზე ასვლის მსურველთაც ფეხებში ვებლანდებოდით, ეს ნამდვილი შვება იყო. გვარიანად ქარიანი დილა იდგა და ჩვენი ანსამბლის ახალ, მოზრდილ კარავს აქეთ-იქით აქანავებდა, მაგრამ

თავს შედარებით მხნედ და ენერგიულად ვგრძნობდით, რაც, ვფიქრობ, ჩვენს შესრულებასაც ემჩნეოდა.

თუმცა ახლა ისე ვლაპარაკობ, თითქოს რომელიმე ჯგუფის მუდმივი წევრი ვიყო. სინამდვილეში მეც ერთ-ერთი იმ „ბოშათაგანი“ ვარ (როგორც სხვა მუსიკოსები გვინოდებენ), ერთ-ერთი ის ბიჭი გახლავართ, რომლებიც სამი ადგილობრივი კაფეს, რომელიმე ორკესტრისთვის დახმარების თხოვნის მოლოდინით, მოედანზე დაეხეტებიან. უმეტესად აქ, კაფე №232, „ლავენაში“ ვუკრავ, თუმცა ისეც ხდება, რომ დატვირთულ ნაშუადღევს, შესაძლოა, „კვადრის“ ბიჭებსაც მივეკედლო, „ფლორიანსაც“ დავეხმარო და, მოედნის გავლით, კვლავ „ლევანაში“ დავბრუნდე. ყველა მათგანს და მიმტანებსაც მშვენივრად ვენყოფი და ნებისმიერ სხვა ქალაქში, ალბათ, უკვე დამკვიდრებულიც ვიქნებოდი, მაგრამ ტრადიციებითა და დრომოჭმული წარსულით გაჯერებულ ამ ქალაქში ყველაფერი თავდაყირაა. გიტარისტები ყველგან სასურველი არიან. თუმცა აქ? რაა, გიტარა? მის დანახვაზე კაფეს მეპატრონეები მაშინვე იმრიზებიან. გიტარა არა! – ძალიან თანამედროვეა. შემოდგომაზე ჯაზის ერთი ძველმოდური, ოვალურ-სახმო ფოსოიანი გიტარა ვიშოვე, ალბათ ისეთი, როგორზეც ჯანგო რეინჰარდტი¹ უკრავდა ხოლმე და მისი წყალობით, ჩემს როკენ-როლის მუსიკოსობაშიც ეჭვსაც ველარავინ შეიტანდა. ამით საქმე ცოტა გავიიოლე, თუმცა კაფეს პატრონები მაინც ცხვირს მიბზუებდნენ. საქმე ისაა, რომ თუ გიტარისტი ხარ, მაინცდამაინც ჯო პასი² უნდა იყო, სხვანაირად ამ მოედანზე მუდმივად არავინ გამუშავებს.

რა თქმა უნდა, მე კიდევ ერთი უმნიშვნელო რამეც მიშლის ხელს – იტალიელი არა ვარ, მითუმეტეს, ვენეციელი. იმ ზორობა ჩეხ ბიჭსაც, ალტის საქსაფონზე რომ უკრავს, იგივე პრობლემა აქვს. ჩვენ ყველას ვესიმპათიურებით, სხვა მუსიკოსებსაც ვჭირდებით, მაგრამ ოფიციალურ საკონცერტო პროგრამებში ჩვენი ვინაობა მაინც არ შეაქვთ. მხოლოდ დაუკარით და ენას კბილი დააჭირეთო, – აი, ეს არის, რასაც კაფეს მეპატრონეები ყოველთვის შეგვახსენებენ ხოლმე. ასე ტურისტები ვერ მიხვდებიან, რომ იტალიელები არ ხართო. შესაფერისად უნდა გეცვათ, მზის სათვალე უნდა ატაროთ, თმა უკან გადავარცხნილი უნდა გქონდეთ და განსხვავებასაც ვერავინ იგრძნობს, მხოლოდ ხმა არ უნდა ამოილოთ, საუბარი არავის გაუბათო, მაგრამ პირადად მე სანუნუნო სულაც არაფერი მაქვს. სამივე კაფეს ორკესტრი, როცა მოედანზე დაკვრა ერთდროულად უნევთ და ერთმანეთის კონკურენტები არიან, გიტარის მელოდიური, მტკიცე, თუმცა ნაღდი, მჟღერი აკორდის ფონის გარეშე ვერაფერს გახდებიან. ალბათ, გაიფიქრებთ, რომ ერთსა და იმავე მოედანზე სამი სხვადასხვა ჯგუფის ერთდროული შესრულება ნამდვილ დომხალს ემსგავსება, მაგრამ წმიდა მარკოზის საკმაოდ დიდი მოედანი ამას თავს იოლად ართმევს. მოედანზე მოსეირნე ტურისტის ყურს ხან ნელი, მიმქრალი მელოდია მისწვდება და ხანაც ხმამაღალი, ისე, თითქოს რადიო არხების გადამრთველს ატრიალებდეს. ერთადერთი რამ, რაც აქ ტურისტებს არ ბეზრდებათ, კლასიკური მუსიკაა და ცნობილი არიების გადაკეთებულ ინსტრუმენტურ ვერსიებზეც უარს არ

1 ჯანგო რეინჰარდტი (1910-1953) – ფრანგული წარმოშობის ბელგიელი ჯაზ-გიტარისტი და ბოშური წარმოშობის კომპოზიტორი, რომელიც XX ს-ის ერთ-ერთ უდიდეს მუსიკოსად ითვლება

2 ჯო პასი (1929-1994) – სიცილიური წარმოშობის XX ს-ის ერთ-ერთი უდიდესი ჯაზ-გიტარისტი

ამბობენ. კი ბატონო! ეს ხომ წმიდა მარკოზია, აქ თანამედროვე პოპულარული სიმღერები არავის უნდა. ყოველ წუთს რაღაც ძველი და ნაცნობი სურთ: ან ჯული ენდრიუსის¹ ადამისდროინდელი შესრულება, ან სულაც რომელიმე ცნობილი ფილმის მელოდია. მახსოვს, ერთხელ, გასულ ზაფხულს, ერთი ორკესტრიდან მეორეში ხეტიალისას, მარტო ერთ დღეში „ნათლიას“ მუსიკა ცხრაჯერ მაინც დავუკარი.

ასეა თუ ისე, იმ გაზაფხულის დილას, როცა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ტურისტების წინაშე ვუკრავდით, ყავის ფინჯანთან ერთად, განმარტოებით მჯდარი ტონი გარდნერი დავინახე, ლამის ცხვირწინ გვეჯდა, ალბათ, ჩვენი კარვიდან სულ რაღაც ექვსიოდ მეტრის მოშორებით. მოედანზე ცნობილ ადამიანებთან შეხვედრა ჩვენთვის უცხო არ არის, მათი დანახვა სრულებითაც არ გვალეღვებს. სიმღერების დასრულების შემდეგ, ისეც ხდება, რომ, შესაძლოა, ანსამბლის წევრებმა ერთმანეთს ჩუმიად გადავულაპარაკოთ: შეხედე, ეს ხომ უორენ ბიტი², კისინჯერი³ თუ ამჩნევ? აი, იქით, ის ქალი, იმ ფილმში თამაშობს, ადამიანები ერთმანეთს სახეებს რომ უცვლიან. ჩვენ აქ მსოფლიოს ვარსკვლავებთან შეხვედრას მიჩვეული ვართ. ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ წმიდა მარკოზის მოედანია, თუმცა, როცა მივხვდი, რომ იქ ნამდვილად ტონი გარდნერი იჯდა, ეს სულ სხვა რამ იყო. ძალიანაც ავლელდი.

ტონი გარდნერი დედაჩემის საყვარელი მომღერალი გახლდათ. დიდი ხნის წინათ, ჩემს სამშობლოში, ჯერ კიდევ კომუნისტებამდე, მისი სიმღერების ჩანაწერების შოვნა იოლი საქმე სულაც არ

იყო, მაგრამ დედამ მოახერხა და საკმაოდ კარგი კოლექციაც გვექონდა. ერთხელ, ბავშვობაში, ერთი ასეთი ძვირფასი ფირფიტა დამეჩხაპნა. ჩვენს ბინაში სივინროვე იყო და ჩემი ასაკის ონავარი ბიჭი, რა თქმა უნდა, ერთ ადგილზე ვერ გაჩერდებოდა, განსაკუთრებით ზამთრის ცივ სეზონზე, როცა გარეთაც ვერ გახვალ. ასე რომ, ერთხელაც, პატარა დივნიდან სავარძელში გადახტომით თავს ვირთობდი, ფირ-საკრავს წამოვედე და დავაზიანე. ნემსი ფირფიტაზე აცაბაცა სრიალებდა. ეს დიდი ხნის წინათ მოხდა, კომპაქტ-დისკების მოდაში შემოსვლამდე. დედაჩემი სამზარეულოდან გამოვარდა და ჩხუბი დამიწყო. ძალიან ცუდად გავხდი. იმიტომ არა, დედა რომ მიყვიროდა. მივხვდი, ტონი გარდნერის ერთ-ერთი ძვირფასი ჩანაწერი გავაფუჭე და ისიც გავაცნობიერე, ეს მისთვის როგორი მნიშვნელოვანი იყო. ახლა უკვე ვიცოდი, რომ ტკბილად ნამღერ იმ ამერიკულ სერენადებს, იმავე ხმაზე ველარ მოვისმენდი. წლების შემდეგ, როცა უკვე ვარშავაში ვმუშაობდი და შავ ბაზარზე გასაყიდ მუსიკალურ ფირფიტებშიც გავერკვიე, დედაჩემს ტონი გარდნერის ალბომების ძველი კოლექცია სრულიად ახლით შევაცვლევი, სადაც ის ფირფიტაც იყო, ბავშვობაში რომ დავუზიანე. ამ საქმეს სამი წელი მოვანდომე. ასე, სათითაოდ ვიძენდი და, როცა შინ, დედის სანახავად ჩავდიოდი, ყოველთვის ახალ-ახალ ფირფიტებს ვჩუქნიდი ხოლმე.

ახლა, დარწმუნებული ვარ, ნამდვილად გამიგებთ, ასე ძალიან რატომაც ავლელდი, როცა სულ რაღაც ექვსიოდ მეტრის მოშორებით თავად ის, ტონი გარდნერი შევამჩნიე. თავდაპირველად

1 ჯული ენდრიუსი (1935) – ბრიტანელი მსახიობი, მოცეკვავე და მომღერალი

2 უორენ ბიტი (1937) – ცნობილი ამერიკელი მსახიობი, პროდიუსერი, სცენარისტი, რეჟისორი

3 ჰენრი კისინჯერი (1923) – ცნობილი ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი და საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტი

თვალეხ ვერ ვუჯერებდი და მომდევნო აკორდზე გადასვლა ლამის მთელი ტაქტით დავაგვიანე. ტონი გარდნერი! ნეტავ, რას მეტყოდა ჩემი ძვირფასი დედა, ამ ამბავს რომ ვუამბობდი! ზუსტადაც რომ მისი გულისთვის, მისი ხსოვნის პატივსაცემად, მასთან მისვლა და გამოლაპარაკება მმართვედა, სულაც არ მადარდებდა, დამცინებდნენ თუ არა სხვა მუსიკოსები და ჩემი საქციელის გამო სასტუმროს კარისკაცს შემადარებდნენ, მაგრამ, რასაკვირველია, მისკენ დაუყოვნებლივ, ასე თავქუდმოგლეჯით ვერ გავვარდებოდი, გზადაგაზა მაგიდებს და სკამებს მუჯღლუგუნის კვრით აქეთ-იქით ვერ მივყრიდი. ჯერ ჩვენი პროგრამა უნდა დაგვესრულებინა. უნდა გითხრა, რომ ეს ნამდვილი აგონია იყო, კიდევ სამი თუ ოთხი სიმღერა უნდა შეგვესრულებინა და ყოველ წამს ველოდი, რომ ნამოდგებოდა და წავიდოდა, თუმცა ისევ იქ იჯდა, წყნარად, თავისთვის, ფინჯანს მიშტერებული და ყავას ისეთი შეფიქრიანებული ურევდა, თითქოს ვერც ხვდებოდა, ოფიცინანტმა რა მიუტანა. ნებისმიერი სხვა ამერიკელი ტურისტისგან არაფრით განსხვავდებოდა – ღია ცისფერ, მოკლესახელოიან პერანგსა და განიერ ნაცრისფერ შარვალში გამოწყობილი. ის ძალიან მუქი, ძალიან მზინვარე თმა, როგორც ფირფიტების ჩასადები კონვერტებიდან მახსოვდა, თითქმის მთლად გაჭალარავებოდა, თუმცა არ გასცვენოდა და სათუთად მოვლილ-დავარცხნილს კვლავაც იმ ძველმოდურ სტილზე ატარებდა. პირველად რომ შევნიშნე, ხელში მუქ სათვალეს ატრიალებდა და ალბათ, ზედ რომ კეთებოდა, ვერც ვიცნობდი-მეთქი, ჩემთვის გავიფიქრე. მთელი ჩვენი კონცერტის განმავლობაში თვალს ვერ ვაშორებდი, სათვალეს დროდადრო იკეთებდა და იხსნიდა, მერე ისევ იკეთებდა. ფიქრებში გართული ჩანდა და იმედგაცრუება ვიგრძენი, როცა მივხვდი, რომ ჩვენი შესრულება სულაც

ფეზე ეკიდა.

კონცერტი დავამთავრეთ. კარვიდან ჩქარი ნაბიჯით ისე გამოვედი, არავისთვის არაფერი მითქვამს, პირდაპირ ტონი გარდნერის მაგიდისკენ გავეშურე, მერე ერთი წამით პანიკამ შემიპყრო, არ ვიცოდი, საუბარი რით დამენყო. მის უკან ავიტუზე, მაგრამ მეექვსე გრძნობამ უკარნახა, შემოტრიალდა და ამომხედა, ალბათ, თაყვანისმცემლებთან მრავალწლიანი ურთიერთობის ჩვევამ თავისი ქნა. მერე უკვე საკუთარი თავი წარვუდგინე, ავუხსენი, თუ როგორ ვიყავი მისით აღფრთოვანებული, ვუთხარი, რომ იმ ანსამბლში ვუკრავდი, რომლის შესრულებაც ის-ის იყო მოისმინა, რომ დედაჩემი მისი თაყვანისმცემელი იყო და მისთვის ჭკუას კარგავდა. ეს ყველაფერი ერთი ამოსუნთქვით ჩამოვურაკრაკე. სერიოზული სახით მისმენდა, ყოველი წამის შემდეგ თავს მკურნალი ექიმივით მიკრავდა. საუბარს დაუსრულებლად ვაგრძელებდი და დროდადრო მხოლოდ ამას მეკითხებოდა: „მართლა? ასეა?“ როგორც იქნა, მივხვდი, რომ უკვე თავის დანებების დრო იყო და ის-ის იყო, დამშვიდობებას ვაპირებდი, რომ მითხრა;

– მაშასადამე, თქვენ წარმოშობით ერთ-ერთი კომუნისტური ქვეყნიდან ხართ. ალბათ, თქვენთვის რთულია. – ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა, – მხრები უდარდელად ავიჩიჩე. – ახლა უკვე თავისუფალი ქვეყანა გვაქვს. დემოკრატია.

– მოხარული ვარ, თუ ასეა და ის ანსამბლიც თქვენია, სულ ცოტა ხნის წინ ჩვენთვის რომ უკრავდა? დაბრძანდით. ყავას ხომ არ მიირთმევთ?

ვუთხარი, რომ არ მსურდა მისთვის საკუთარი თავი მომეხვია, მაგრამ მისტერ გარდნერმა ოდნავ შეპარული სიჯიუტით მითხრა:

– არა, არა, იყავით. დედათქვენს ჩემი ფირფიტები მოსწონდა, ხომ ასე მითხარით?

ისევ დავჯექი და ცოტა რამ კიდევ

მოვუყევი: დედაზე, ჩვენს სახლზე, შავ ბაზარზე გასაყიდად გამოტანილ ფირფიტებზე. მისი ალბომების სახელწოდებები ვერ გავიხსენე და ფირფიტების კონვერტებზე დახატული სურათების აღწერა დავიწყე, ისე, როგორც მახსოვდა და ჩემი ყოველი მინიშნების შემდეგ, თითო ზემოთ იშვერდა და რაღაც ამდაგვარს ამბობდა:

– ოჰ, ეს „განუმეორებელი“ უნდა ყოფილიყო, „განუმეორებელი ტონი გარდნერი“.

ის-ის იყო, ამ თამაშის ემში შევედით, რომ უცბად მისტერ გარდნერმა გვერდით გაიხედა, მეც მაშინვე თვალი მის მზერას მივაღვევე და ჩვენკენ მომავალი ქალი დავინახე.

ის იმ ამერიკელ, საუკეთესო ქალბატონთაგანი გახლდათ, რომლებიც თმას ზედმინევენით უვლიან, ელეგანტურ სამოსს იცვამენ, დახვეწილი ფიგურა აქვთ და ვერანაირ ასაკს ვერ მისცემთ, ვიდრე ახლოდან არ ნახავთ. შორიდან ერთ-ერთი პრიალა მოდების ჟურნალის ფოტო-მოდელს მივამსგავსე, მაგრამ, როცა მისტერ გარდნერს გვერდით მიუჯდა და მზის მუქი სათვალე შუბლზე აიწია, მივხვდი, რომ მეტის თუ არა, სულ ცოტა ორმოცდაათის მაინც იქნებოდა. მისტერ გარდნერმა მითხრა:

– ეს ლინდია, ჩემი ცოლი.

მისის გარდნერმა ოდნავი ძალდატანებით გამიღიმა და ქმარს მიუბრუნდა:

– და ეს ვინ არის? მეგობარი გაიჩინე?

– ასეა, ძვირფასო. მასთან საუბარში დრო მშვენივრად მოვკალი... უკაცრავად, მეგობარო, არც კი ვიცი, რა გქვიათ.

– იანი, – სწრაფად გუპასუხე. – თუმცა მეგობრები იანიკს მეძახიან.

ლინდი გარდნერმა მკითხა:

– გინდა თქვათ, რომ თქვენი მეტსახელი ნამდვილზე გრძელია? ეს როგორ?

– ბიჭს უხეშად ნუ მიმართავ, ძვირფასო.

– არ ვუხეშობ.

– უცხო სახელებს მასხრად ნუ აიგდებ, ძვირფასო. ცოტა ჭკუას მოუხმე.

ლინდი გარდნერი უმწეო გამომეტყველებით მომიტრიალდა:

– ხედავთ, რას ამბობს? მე, რაა, მართლა შეურაცხყოფა ხომ არ მოგაყენეთ?

– არა, არა! – ვთქვი მე. – სრულებითაც არა, მისის გარდნერ.

– ყოველთვის ასე მსაყვედურობს. თითქოს ადამიანებს უხეშად ვეპურობოდე, თუმცა, უზრდელი სულაც არ ვარ. რა, ახლა თქვენც ხომ არ გეუზრდელეთ?

მერე მისტერ გარდნერს უთხრა:

– ადამიანებს თავისუფლად, ბუნებრივად ვესაუბრები, ჩემო საყვარელო. უკვე ჩვევა მაქვს. ცხოვრებაში უხეშად არასოდეს არავის მოვქცევია.

– კარგი, ასე იყოს, ძვირფასო. ასეთ უმნიშვნელო რამეს, საქმედ ნუ ვაქცევთ, თუმცა, რაც არ უნდა იყოს, ამ კაცს მასასთან მაინც ნუ გააიგივებ.

– ოჰ, მართლა? მაშ, ვინ არის? შემთხვევით, შენს დიდი ხნის უნახავ ძმისშვილს ხომ არ გადაეყარე?

– ცოტა უფრო ზრდილობიანად, ძვირფასო. ეს ადამიანი, ჩვენი კოლეგაა, მუსიკოსი. პროფესიონალი. მათ სულ ცოტა ხნის წინ შესანიშნავად გაგვართეს. მისტერ გარდნერმა ჩვენს კარავზე მიანიშნა.

– ძალიანაც კარგი! ლინდი გარდნერი ისევ მე მომიბრუნდა.

– ეს ნუთია, რაც იქ უკრავდით, არა? კარგია. შესანიშნავი იქნებოდა. ხომ აკორდეონზე უკრავთ? ნამდვილად გადასარევი იქნებოდა.

– დიდი მადლობა. საერთოდ, გიტარისტი ვარ.

– გიტარისტი? მეხუმრებით? სულ რაღაც ერთი ნუთის წინ თვალს გადავწვებდით. აი, იქ, მარჯვნივ, ორი კონტრაბასისტის გვერდით იჯექით და აკორდეონზე არაჩვეულებრივად

უკრავდით.

– მაპატიეთ, მაგრამ აკორდეონზე კარლო უკრავს. ჩასხმული, მელოტი ახალგაზრდა....

– დარწმუნებული ხართ? არ შეაყირობთ?

– ძვირფასო, ხომ გითხარი, ამ კაცს უხეშად ნუ ესაუბრები-მეთქი. – არ დაუყვირია, მაგრამ აშკარად მკაცრი, გაბრაზებული ხმა ჰქონდა და უხერხული სიჩუმეც ჩამოვარდა, რომელიც პირველმა ისევ თვითონ დაარღვია და წყნარად წარმოსთქვა:

– ვნუხვარ, ძვირფასო. შენი წყენინება არ მინდოდა, – მერე ხელი მისკენ გაიშვირა და ქალის ხელს ჩასჭიდა. მეგონა, ქალი არ მიიკარებდა, მაგრამ, პირიქით, უფრო ახლოს მიუჩოჩდა და მეორე ხელის გული ერთ მუჭად შეკრულ ორივე ხელს ზემოდან დაადო. მცირე ხანს ასე ისხდნენ – მისტერ გარდნერს თავი ჩაექინდრა, ცოლი კი, ქმრის მხარს მიყრდნობილი, მოედნის იქით მდებარე ბაზილიკას არაფრისმთქმელი თვალებით გაჰყურებდა. ამ ნუთებში არამც თუ ჩემი, არამედ მოედანზე ადამიანიშვილის არსებობაც აღარ ახსოვდათ. მერე ქალმა თითქმის დაიჩურჩულა:

– ყველაფერი კარგადაა, საყვარელო. ჩემი ბრალია. უმიზეზოდ განწყენინე.

ცოტა ხანს ისევ ასე ისხდნენ, ერთმანეთს ხელს არ უშვებდნენ. მერე ქალმა ამოიოხრა, ხელი გაითავისუფლა და შემომხედა. ჩემთვის მანამდეც შემოუხედავს, მაგრამ ეს რალაც სხვა იყო. მისი ხიბლი უცბად ვიგრძენი. ამ ქალში თითქოს რალაც შინაგანი, ციფერბლატიანი დისკო იდო, ზედ ნულიდან ათამდე ციფრები ეწერა და იმ მომენტში გადაწყვიტა, რომ ისარი ექვსზე ან შვიდზე დაეყენებინა და ჩემკენ მოემართა. ეს მწვავედ ვიგრძენი და, რაც არ უნდა ეთხოვა, თუნდაც მოედნის იქით წასვლა და მისთვის ყვავილების ყიდვა, სიხარულით დავთანხმდებოდი.

– იანეკ, – მითხრა მან. – ეს შენი

სახელია, ხო? მაპატიე, იანეკ. ტონი მართალია. ასეთი ტონით თქვენთან არ უნდა მესაუბრა.

– მისის გარდნერ, მართლაც სულ არაფერი, ნუ ინერვიულებთ, გეთაყვა.

– და თქვენ ორს, საუბარში ჩაგერიეთ. სანაძლეს ჩამოვალ, რომ მუსიკაზე საუბრობდით. იცით, რაა? მე ახლა დაგტოვებთ და შეგიძლიათ ისევ გააგრძელოთ.

– შენი წასვლის მიზეზს ვერ ვხედავ, ძვირფასო, – უთხრა მისტერ გარდნერმა.

– ოჰ, მიზეზი ნამდვილად მაქვს, საყვარელო. ერთი სული მაქვს, „პრადას“ იმ მაღაზიაში როდის შევივლი. აქ მხოლოდ იმის სათქმელად მოვედი, რომ უფრო დიდი ხანი დამჭირდება, ვიდრე ვაპირებდი.

– კარგი, ძვირფასო! – ტონი გარდნერი წელში პირველად გაიმართა და ღრმად ამოისუნთქა. – შეგიძლია იმდენ ხანს დარჩე, რამდენიც გინდა, ვიდრე არ მოგწყინდება.

– მაღაზიაში დროის ფანტასტიკურად გატარებას ვაპირებ. ასე რომ, მუსიკოსებო, დასხედით და გულიანად ისაუბრეთ! – ქალი წამოდგა და მხარზე შემეხო:

– ყველაფერს საუკეთესოს გისურვებთ, იანეკ.

თვალი ორივემ მიმავალს გავაყოლეთ, შემდეგ მისტერ გარდნერმა აქაურ მუსიკოსთა ვენეციურ ცხოვრებაზე რალაცები მკითხა და განსაკუთრებით კაფე „კვადრის“ ორკესტრით დაინტერესდა, რომელმაც იმ ნუთას დაკვრა დაიწყო. მივხვდი, რომ ჩემი პასუხები დიდადაც არ აინტერესებდა და ბოდიშის მოხდასა და დამშვიდობებას ვაპირებდი, რომ მოულოდნელად მითხრა:

– მეგობარო, რალაცის თქმა მინდა. ნება მომეცით, ჩემი გულისნადები გაგიმხილოთ და, თუ არ განწყობთ, შეგიძლიათ, უარი მითხრათ.

წინ გადმოიხარა და ჩუმად თქვა:

– იცით, რაა? პირველად, როცა მე და ლინდი ვენეციას ვესტუმრეთ,

თაფლობის თვე გვქონდა, ოცდახუთი წლის წინანდელი ამბავია, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქალაქი ჩვენს ბედნიერ მოგონებებს უკავშირდება, მას მერე აქ აღარასოდეს ჩამოვსულვართ, ყოველ შემთხვევაში, ერთად მაინც და, როდესაც ამ მოგზაურობას ვგეგმავდით, ამ განსაკუთრებულ მოგზაურობას, შევთანხმდით, რომ რამდენიმე დღით ვენეციაში გავჩერდებოდით.

– ქორწინების რომელიმე წლისთავი გაქვთ, მისტერ გარდნერ?

– წლისთავი? – კითხვა გაოცებულმა შემომიბრიალა.

– მაპატიეთ! – ვუთხარი მე. – თქვენი ნათქვამიდან გამომდინარე... – განსაკუთრებული მოგზაურობააო, რომ ამბობდით, ასე ამიტომაც ვიფიქრე.

ცოტა ხანს ასე იჯდა გაოცებული, მერე გაიცინა, ხმამაღლა ახარხარდა და უცბად, მისი ის სიმღერა გამახსენდა, დედაჩემი დაუსრულებლად რომ უსმენდა ხოლმე, რომელშიც ტონი გარდნერი სიმღერის შუაში რამდენიმე სიტყვას წარმოსთქვამს, რაღაც ისეთს, თითქოსდა ქალისგან მიტოვება სულაც არ ადარდებდეს და მერე სიმღერას ასეთივე დამცინავი ხარხარით ამთავრებს. ახლაც აქ, მოედანზე ზუსტად ისეთივე ხარხარი ისმოდა. მერე თქვა:

– რა წლისთავი? არა, არა, ჩვენი ქორწინების წლისთავი არა, თუმცა ჩემი წინადადება მაინც ამ საკითხს უკავშირდება, რადგან რაღაც ძალიან რომანტიკულის ჩადენა მსურს. მინდა, რომ ლინდის სერენადა ვუმღერო, ზედმიწევნით ვენეციურ სტილში. აი, ამაში მჭირდება თქვენი დახმარება. თქვენ გიტარაზე დაუკრავთ, მე ვიმღერებ. სიმღერას გონდოლიდან შევასრულებთ, რომელიც მისი ფანჯრის ქვეშ, წყალზე ნელ-ნელა იტივტივებს, იქიდან ვუმღერებ. არც თუ ისე შორს დიდი სახლი გვაქვს ნაქირავები. მისი საძინებლის ფანჯარა არხს გადმოჰყურებს. შებინდებისას ეს არაჩვეულებრივად გამოგვივა, კედლების

ლამპიონების სინათლე სრულებით საკმარისია. მე და თქვენ გონდოლაზე ვიქნებით, ის ფანჯარასთან მივა. მის ყველა საყვარელ სიმღერას შევასრულებთ. დიდხანს არ გავჩერდებით, ღამით აქ საკმაო სიგრილეა. მხოლოდ სამი ან ოთხი სიმღერა, ასე მაქვს ჩაფიქრებული. თანადგომისთვის კარგადაც გადაგიხდით. აბა, რას მეტყვი?

– მისტერ გარდნერ, ეს ჩემთვის ისეთი დიდი პატივია, რომ ვერც ვიოცნებებდი. უკვე გითხარით, თუ ჩემთვის როგორი მნიშვნელოვანი ადამიანი ბრძანდებით. ამას როდისთვის აპირებთ?

– ამაღამე, თუ არ განვიმდა. ასე, ცხრის ნახევრისთვის. ადრე ვისადილებთ და უკან დავბრუნდებით. მერე სახლიდან გამოსვლის მიზეზს მოვიფიქრებ, მოვალ და შეგხვდებით. გონდოლიორსაც შევუთანხმდები, არხით გამოვცურავთ და ჩვენი ფანჯრის ქვეშ გავჩერდებით. ყველაფერი იდეალურად გამოვა. რას იტყვი?

ალბათ, იოლი მისახვედრია, რომ ეს ყველაფერი ახდენილ სიზმარს ჰგავდა და ამასთანავე, თვითონ იდეაც ზღაპრული იყო. დიდი ხნის შეუღლებული წყვილი, სამოცს მიღწეული მამაკაცი, ქალი ასე, სადღაც ორმოცდაათამდე და შეყვარებული თინეიჯერებივით იქცეოდნენ. ამ აზრმა იმდენად აღმაფრთოვანა, რომ მანამდე ცოლ-ქმარს შორის რაც მოხდა, უშუალო თვითმხილველი რომ ვიყავი, სრულებით გადამავინწყდა. მინდა გითხრათ, მაშინ უკვე, რაღაცნაირად, გუმანით მივხვდი: ყველაფერი ასე იოლად ვერ იქნებოდა, როგორც მისტერ გარდნერმა დამიხატა.

ცოტა ხანს ისევ ასე ერთად ვისხედით და თითოეულ წვრილმანზე ვმსჯელობდით. საკუთარი რეპერტუარიდან კერძოდ რომელი სიმღერების შესრულება სურდა, როგორ ტონალობაში იმღერებდა და ა.შ. მერე ჩემი კარვში დაბრუნების და მომდევნო პროგრამის შესრულების დროც მოვიდა, ამიტომ წამოვდექი,

მისტერ გარდნერს ხელი ჩამოვართვი და დავპირდი, რომ იმ საღამოს არ ვუღალატებდი.

იმ ღამეს, მისტერ გარდნერთან შესახვედრად რომ მივეშურებოდი, ქუჩებში ბნელოდა და სიჩუმეს დაესადგურებინა. მაშინ წმინდა მარკოზის მოედანს ოდნავ შორს თუ გავცდებოდი, გზა ყოველთვის მებნეოდა. ამიტომაც, თადარიგი დავიჭირე და ადრე გამოვედი, რადგან ის ხიდი, მისტერ გარდნერმა რომ დამისახელა, კარგადაც არ ვიცოდი, სად იყო, თუმცა რამდენიმე წუთით მაინც შემავიანდა.

ზუსტად ლამპიონის ქვეშ იდგა, მუქი, დაღეჭილი პიჯაკი ეცვა, პერანგი მესამე-მეოთხე ღილამდე ჩაეხსნა და მკერდზე ბალანი მოუჩანდა. როცა დაგვიანებისთვის ბოდიში მოვუხადე, მითხრა:

– რამდენიმე წუთი რას ნიშნავს? მე და ლინდი ოცდაშვიდი წელია, რაც ერთად ვართ და ამასთან რამდენიმე წუთი რა მოსატანია?

გაბრაზებული არ ჩანდა, მაგრამ აშკარად ხასიათზე ვერ იყო. რალაცნაირად მოღუშული გახლდათ, თითქმის დამწუხრებულიც, რომანტიკის ნიშან-წყალიც არ ეტყობოდა. მის უკან, წყალზე, გონდოლა ნელა ირწეოდა. გონდოლიორი ვიტორიო აღმოჩნდა, ის ბიჭი, გულზე დიდად რომ არ მეხატებოდა, თუმცა, ჩემ მიმართ თვითონ ყოველთვის მეგობრულად იყო განწყობილი, მაგრამ ვიცი და მაშინაც ვიცოდი, რომ აქეთ-იქით დაეთრეოდა და ბილნსიტყვაობდა, ყველანაირ სისაზიზღრეს ავრცელებდა, ჩემისთანებს „ახლადგამომცხვარი ქვეყნებიდან ჩამოხეტებულ გადამთიელებს“ უწოდებდა. ამიტომაც იმ ღამით, როცა ძმური საღამო მომცა, თავი სულ ოდნავ, მსუბუქად დავუქნიე და ჩუმად ველოდი, ვიდრე მისტერ გარდნერს გონდოლაში ჩაჯდომასი ეხმარებოდა. მერე ჩემი საკუთარი ესპანური გიტარა გავუნოდე, ის არა, ოვალურ-სახმო

ფოსოიანი და მე თვითონაც გონდოლაში ჩავხტი.

მისტერ გარდნერი ნავის კიჩოზე მოკალათებას ცდილობდა და რალაც მომენტში ისე დაეზღართა, კინალამ ამოვტრიალდით, თუმცა თვითონ ვერც შეამჩნია და, როცა დავიძარით, წყალს ისევ ისე მიაშტერდა.

მცირე ხანს ასე უსიტყვოდ მივცურავდით. პირქუშ შენობებს ჩავუარეთ და ვინრო ხიდებქვეშ გავძვერით, მერე ღრმა ფიქრებიდან გამოერკვა და მითხრა:

– მისმინე, მეგობარო. რაც უნდა დავუკრათ, ამაზე უკვე შევთანხმდით, მაგრამ მაინც მეფიქრება. ლინდის ის სიმღერა უყვარს, – „როცა ფინიქსს ვენვევი“. დიდი ხნის წინათ ის მეც ჩავნერე.

– დიახ, მისტერ გარდნერ. დედა ყოველთვის ამბობდა, რომ თქვენი ვერსია სინატრასას ჯობდა და გლენ კემპელის¹ იმ ცნობილ ჩანანერზე უკეთესიც იყო.

მისტერ გარდნერმა თავი დახარა და ცოტა ხანს ასე იჯდა, ამიტომაც სახეზე აღბეჭდილი ემოცია ვერ შევნიშნე. ვიდრე არხის კუთხემდე მივალწვედით, ვიტორიომ გონდოლიერების ჩვეული შეძახილით შეჰყვირა და კედლებმაც ექოთი უპასუხეს.

– ლინდის ამ სიმღერას ხშირად ვუმღეროდი, – თქვა მისტერ გარდნერმა. – იცი, მგონია, რომ მისი მოსმენა ამაღამაც გაუხარდება. მელოდიას თუ იცნობთ?

გიტარა ბუდიდან უკვე ამოღებული მქონდა და რამდენიმე აკორდს ჩამოვკარი.

– ცოტა ზემოთ აიღეთ! – მითხრა მან. – მი-ბემოლამდე. ალბომში ზუსტად ასე მაქვს.

აკორდები ამ ტონალობაში დავუკარი და მისტერ გარდნერმა, ლამის მთელი სტრიქონის გამოტოვების შემდეგ, ხმადაბლა, მთელი ხმით წამოიწყა სიმღერა. აშკარა იყო, რომ სიმღერის ტექსტი კარგად აღარ ახსოვდა, თუმცა,

სიჩუმით სავსე არხში მისი ხმა ჩინებულად გაისმა. სიმართლე გითხრათ, ალბათ, უკეთესადაც, ვიდრე სხვა ნებისმიერ ადგილას და სულ ერთი წამით ჩემი თავი ისევ ის ბიჭუნა მეგონა, ჩვენს ვინრო ბინაში, დივანზე ჩამომჯდარი, გადაქანცული და იქნებ გულგატეხილი დედის წინ, ხალიჩაზე რომ განოლილიყო და სადღაც, ოთახის კუთხეში, ტონი გარდნერის ფირფიტა უკრავდა.

მოულოდნელად მისტერ გარდნერმა სიმღერა შეწყვიტა და მითხრა:

– შევთანხმდით, „ფინიქს“ მიბემოლში შევასრულებთ, შემდეგ, ალბათ, „მე ძალიან ადვილად მიყვარდებასაც“² ვიმღერებთ, როგორც დავგეგმეთ და „ჩემს პანანინასაც“³. ამით დავასრულებთ. საკმარისი იქნება. მეტს ველარც მოისმენს.

მერე ისევ ფიქრმა წაიღო და სიბნელეში ვიტორიოს გონდოლის სუსტი ჩქაფუნით მივცურავდით.

– მისტერ გარდნერ, – ვერ მოვითმინე. – შეიძლება, გკითხოთ? მისის გარდნერმა ამის შესახებ უკვე იცის, თუ საოცარ სიურპრიზს ვუმზადებთ?

მძიმედ ამოიოხრა, შემდეგ მითხრა:

– ვფიქრობ, წინ უცნაური სიურპრიზების მთელი გროვა ელის. მერე დაუმატა: – ღმერთმა იცის, როგორ მიიღებს. გამორიცხული არაა, ბოლო სიმღერის შესრულებამ აღარც მოგვიწიოს.

ვიტორიომ კიდევ ერთი კუთხე მოგვატარა და უცბად ერთდროულად მოგვესმა სიცილისა და მუსიკის ხმა. დიდი, სინათლით გაკაშკაშებული რესტორნის შორიანხლოს მივცურავდით. ყველა მაგიდა დაკავებული ჩანდა, მიმტანები საქმიანად დაქროდნენ, სტუმრები ძალიან

მხიარული ჩანდნენ, მიუხედავად იმისა, რომ წელიწადის ამ დროს არხიდან უსიამოვნო ცივი ქარი უბერავდა.

იმ სიჩუმისა და სიბნელის შემდეგ, რომელიც უკან მოვიტოვეთ, რესტორანმა ჩვენში ერთგვარი დაბნეულობა გამოიწვია. ისეთი გრძნობა დაგვეუფლა, თითქოს ნავსადგურთან უძრავად ვიდექით და თვალს არ ვაშორებდით იმ მოზეიმე სტუმრებით სავსე ნავს, რომელმაც ჩვენს სიახლოვეს გაცურა. შევამჩნიე, იქიდან რამდენიმემ გადმოგვხედა კიდეც, თუმცა რაიმე განსაკუთრებული ყურადღება არავის გამოუჩენია. როცა რესტორანს გავცდით, ვთქვი:

– რა სასაცილოა! ხომ წარმოგიდგენიათ, რას იზამდნენ ეს ტურისტები, ის რომ სცოდნოდათ, ნავში, რომელმაც სულ ახლახან მათ ცხვირწინ ჩაიარა, ლეგენდარული ტონი გარდნერი იჯდა?

ვიტორიომ ინგლისური ცუდად იცოდა, თუმცა ჩემს ნათქვამს მიხვდა და ჩაიციხა, მაგრამ მისტერ გარდნერმა ამჯერად არ მიპასუხა. ისევ სიბნელეში მივცურავდით და, როცა ვინრო არხის სუსტად განათებულ გასასვლელებს ჩავუარეთ, მაშინ მითხრა:

– ჩემო მეგობარო, თქვენ კომუნისტური ქვეყნიდან ხართ. ამიტომაც, აქაურ სიტუაციებში კარგად გარკვევა გიჭირთ.

– მისტერ გარდნერ, – ვუთხარი მე. – ჩემი სამშობლო კომუნისტების აღარ არის. ახლა უკვე თავისუფლები ვართ.

– უკაცრავად. თქვენს ეროვნებასთან მე სანინალმდეგო არაფერი მაქვს. მამაცი ერი ხართ. ვიმედოვნებ, რომ მშვიდობასაც მოიპოვებთ და კეთილდღეობასაც მიაღწევთ. რის თქმასაც ვაპირებდი, ანუ, რაც ვიგულისხმე, მხოლოდ ისაა,

1 გლენ კემპბელი (1936-2017) – ამერიკელი მომღერალი, გიტარისტი, კომპოზიტორი, ტელენამყვანი და მსახიობი

2 „ძალიან იოლად მიყვარდება“ – სიმღერა, რომელსაც ფრენკ სინატრა ასრულებს 1945 წელს გადაღებულ ფილმში „ლუზები ჩამკვებულია“

3 „ჩემი პანანინასთვის“ – ცნობილი სიმღერა, რომელსაც ფრენკ სინატრა ასრულებდა ფილმში „ცა შეზღუდულია“

რომ უცხოელისთვის, ეს ძალიანაც ბუნებრივია, ბევრ რამეში გარკვევა რთულია. ზუსტად ისე, როგორც შენს სამშობლოში ჩემთვისაც უამრავი რამ გაუგებარი აღმოჩნდებოდა.

– ვხვდები, რომ მართალი ხარ, მისტერ გარდნერ.

– აი, ახლაც, რესტორანს ჩაუფარეთ. იმ ადამიანებთან რომ მისულიყავით და გეკითხათ: „მომისმინეთ, რომელიმეს ტონი გარდნერი თუ გახსოვთ?“, ალბათ, რამდენიმეს ან სულც უმრავლესობას, შესაძლოა, დადებითადაც ეპასუხა. ვინ იცის? თუმცა, რომც ვეცნე, ასეთნაირად, გონდოლაში მჯდარი, როგორ ფიქრობთ, ძალიანაც ალფრთოვანდებოდნენ? ჩანგალს გვერდით მაინც არავინ გადადებდა, სანთლების შუქზე გულიან საუბარს არავინ შეწყვეტდა ან სულაც რისთვის? ვილაც პრეისტორიული ხანის ესტრადის მომღერალი, მერე რა?

– ვერ დაგეთანხმებით, მისტერ გარდნერ. თქვენ ისეთივე კლასიკოსი ბრძანდებით, როგორც სინატრა და დინ მარტინი¹. კლასიკა მუდამ კლასიკად რჩება, მოდიდან არასდროს გადადის, ამ თანამედროვე პოპვარსკვლავებისგან განსხვავებით.

– ჩემ მიმართ ძალიან კეთილი ხარ, მეგობარო. ვგრძნობ თქვენს სიმპათიას, მაგრამ ამაღამ, ამ განსაკუთრებულ ღამეს მაინც, ჩემს გაშაყირებას ნუ შეეცდებით.

შეპასუხებას ვაპირებდი, თუმცა მის ნათქვამში რაღაც ისეთი ვიგრძენი, რომ უმალ გადავიფიქრე. კვლავ ხმაამოუღებლად მივცუწავდი. გულწრფელად გითხრათ, ახლა უკვე ტვინს ვიჭყლეტდი იმაზე ფიქრით, თუ პირადად მე რა მრჯიდა, რატომ გავერიე ან ამ სერენადების შესრულებასაც საბოლოოდ რა შეიძლება მოჰყოლოდა. ბოლოს და ბოლოს, საქმე ამერიკელებთან

მქონდა. ვინ იცის, როცა მისტერ გარდნერი სიმღერას დაიწყებს, იქნებ მისის გარდნერი ფანჯარას იარაღთან ერთადაც მოადგეს და ორივე ადგილზე მიგვაცხრილოს?

ალბათ, ვიტორიოსაც იგივე ფიქრები ანუხებდა, რადგან, როცა კედლის ლამპიონის ქვეშ გავცურეთ, ისე შემომხედა, თითქოს ამის თქმა სურდა: „აქ რა უცნაური ვინმე გვყავს. ხომ ასეა, ამიცო“?¹

არაფერი შევიმჩნიე. მის აზრს მისტერ გარდნერის წინააღმდეგ ვერაფრით გავიზიარებდი. ვიტორიოსთვის რომ გეკითხათ, ჩემნაირი გადამთიელები აქ მხოლოდ ტურისტებისთვის რაიმეს დასაცინცლად, არხების დასაბინძურებლად და საერთოდაც ამ წყეული ქალაქის დასანგრევად მოეხეტებოდნენ. ერთ დღესაც, თუ ცუდ ხასიათზე დადგებოდა, შესაძლოა, ჩვენთვის დაყაჩაღება-გაუპატიურებაც დაებრალებინა. ერთხელაც პირდაპირ ვკითხე – ჩვენზე ასეთ საზიზღრობებს მართლა ამბობ-მეთქი? მაგრამ დაიფიცა, არაო, ყველაფერი სიცრუეაო. რასისტი რანაირად იქნებოდა, როცა ებრაელი ბიცოლა ჰყავდა, რომელსაც დედაზე მეტად თუ არა, ნაკლებად არ აღმერთებდა? მაგრამ ერთ ნაშუადღევს, როცა კონცერტიდან კონცერტამდე, დორსოდუროს ხიდის მოაჯირს გადაყუდებული, თავისუფალი დროის მოკვლას ვცდილობდი, მისი გონდოლა შევნიშნე. იქ სამი ტურისტი იჯდა. ვიტორიო ნიჩბით თავს დასდგომოდა და მთელი ქვეყნის გასაგონად, ზუსტად ამისთანა უნმანურ რამეებს ამბობდა. მას შემდეგ შეიძლება ერთმანეთს პირისპირაც შევხვდეთ, მაგრამ ჩემგან მეგობრულ მოპყრობას ვერასოდეს ელირსება.

– ერთი პატარა საიდუმლოს გამხელა მსურს, – თქვა უცბად მისტერ გარდნერმა. – ჩვენი ამდამინდელი შესრულების შესახებ. როგორც პროფესიონალი

¹ დინ მარტინი (1917-1995) – ამერიკელი მომღერალი, მსახიობი, კომიკოსი, პროდიუსერი

პროფესიონალს, ამას ისე გეუბნებით. ძალიან უბრალო რამაა. აუცილებლად წინასწარ რალაცის ცოდნა გმართებთ, სავალდებულო არაა, ეს რა იქნება, მაგრამ თქვენი მსმენელის შესახებ რაიმეს გაგება მეტად საჭიროა. რალაც უმნიშვნელო დეტალი მაინც, რაც თქვენს თვალში მას გუშინდელი მაცურებლისგან განასხვავებს. ვთქვათ, მილოუკელი აუდიტორიის წინაშე უნდა წარდგეთ, აუცილებელია, საკუთარ თავს ჰკითხოთ: კერძოდ, რით განსხვავდება ეს აუდიტორია სხვებისგან? რა არის მილოუკელებისთვის ნიშანდობლივი? რა არის ის რალაც, რაც მათ მედისონელებისგან გამოარჩევს. თუ ვერაფერს მოიფიქრებთ, მაშინ ტვინს ძალა დაატანეთ და მიხვდებით. მილოუკი, მილოუკი. აქ ღორის დაბეგვილი ხორცის გემრიელ კატლეტებს ამზადებენ და ეს სრულიად საკმარისია. როცა სცენაზე გამოხვალთ, შეგიძლიათ, ამით ისარგებლოთ, თუმცა, მათთან ამის შესახებ სიტყვაც არ უნდა დაგცდეთ. სიმღერის დროს მუდამ გონებაში უნდა გქონდეთ, რომ თქვენ წინაშე ის ადამიანები სხედან, ვინც ღორის ხორცის კარგ კატლეტს მიირთმევს. როცა საქმე ღორის კატლეტს ეხება, მათ შეფასების მაღალი სტანდარტის პრეტენზია უჩნდებათ. ხომ მიმიხვდით, რასაც ვგულისხმობ? ასეთი მეთოდით ის აუდიტორია, ვისთვისაც მღერით, თქვენთვის უკვე ნაცნობი და ახლობელი ხდება. ჩემი საიდუმლო სულ ეს არის. როგორც პროფესიონალი პროფესიონალს, ამას ისე გეუბნებით.

– უღრმესი მადლობა, მისტერ გარდნერ. ასეთი რამ თავში აზრადაც არასოდეს მომსვლია. თქვენნაირი ადამიანის რჩევა სამუდამოდ მემახსოვრება.

– მაშ, ამაღამ... – განაგრძო მან. – ლინდისთვის ვმღერით. ჩვენი მსმენელი ლინდია. ამიტომაც მსურს, რომ მის შესახებ ცოტა რამ ვიამბოთ. გაინტერესებთ?

– რა თქმა უნდა, მისტერ გარდნერ. ძალიან, ძალიანაც მინდა.

მომდევნო ოცი წუთი, შეიძლება ცოტა მეტიც, ისევ იმ გონდოლაში ვისხედით და არხს გარშემო ვუვლიდით. მისტერ გარდნერი ამბავს მიყვებოდა. ზოგჯერ ჩურჩულით ლაპარაკობდა, თითქოს მხოლოდ საკუთარ თავს ესაუბრებოდა. შემდეგ, როცა ლამპიონის შუქი ან ფანჯრიდან სინათლე ჩვენს ნავს მოადგებოდა, გავახსენდებოდი, ხმასაც აუნევედა და რალაც ამდაგვარს მეტყოდა ხოლმე: „ხომ ხვდებით, რასაც ვამბობ, მეგობარო?“

როგორც მითხრა, მისი ცოლი ამერიკის შუა დასავლეთით მდებარე, მინესოტას შტატის პატარა ქალაქიდან იყო. სკოლაში მასწავლებლებთან ყოველთვის პრობლემები ჰქონდა, რადგან გაკვეთილებზე კინოვარსკვლავთა ჟურნალებს ხელიდან არ უშვებდა და მათ ჩასცქეროდა.

– ეს ქალბატონები ვერაფრით ხვდებოდნენ, რომ ლინდის სამომავლოდ დიდი გეგმები ჰქონდა და აბა, შეხედეთ, მდიდარიცაა, ლამაზიც, მთელი მსოფლიოც მოვლილი აქვს. სკოლის ის პედაგოგები კი ნეტა დღეს სადღა არიან? რა ცხოვრებით ცხოვრობენ? მათაც რომ რამდენიმე პრიალა კინოჟურნალი გადაეფურცლათ, ცოტა მეტად რომ ეოცნებათ, შესაძლოა, მცირე რამ ისეთი მაინც ჰქონოდათ, რაც დღეს ლინდის გააჩნია.

– ცხრამეტი წლის იყო, როცა შემხვედრ მანქანებს გამოჰყვა, უფასოდ იმგზავრა და კალიფორნიაში ასე ჩავიდა. ჰოლივუდში მოხვედრა სურდა, მაგრამ ლოს-ანჯელესის გარეუბანში აღმოჩნდა და ერთ გზისპირა სასაუზმეში მიმტანად მოენყო.

– გასაოცარი ის არის, რომ... – თქვა მისტერ გარდნერმა. – სწორედ ამ პატარა კაფეზე უკეთეს ადგილს, ერთ ჩვეულებრივ გზისპირა სასაუზმეზე მეტს, თურმე ვერც ინატრებდა, რადგან მუდმივად, დილიდან დაღამებამდე, ამბიციებით შეპყრობილი

1 ამიციო (იტალ. მეგობარო)

ყველა გოგონა იქ დაიარებოდა. ისინი შეხვედრებს აწყობდნენ, შვიდი, რვა, ხან თორმეტნიც გროვდებოდნენ, ყავას, ჰოთ დოგებს უკვეთავდნენ და საათობით ასე ისხდნენ და ყბედობდნენ.

– ეს გოგონები – ლინდიზე ცოტა უფროსები – ამერიკის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოდოდნენ და ლოს-ანჯელესში ასე, სულ მცირე, ორი-სამი წლით მაინც რჩებოდნენ. კაფეში საჭორაოდ, უილბლო ისტორიების მოსაყოლ-მოსასმენად დაიარებოდნენ, მოქმედების ტაქტიკაზე მსჯელობდნენ და ერთმანეთის წარმატებებზე თვალის ეჭირათ, თუმცა ამ კაფეს მთავარი სატყუარა მაინც მეგი გახლდათ – ასე, ორმოცს მიტანებული ქალი, ლინდის შემცვლელი.

– ამ გოგონებისთვის მეგი ნამდვილი უფროსი და სიბრძნის წყარო გახლდათ, რადგან ერთ დროს მათგან არაფრით განსხვავდებოდა. მინდა აგიხსნათ, რომ ეს გოგონები სულელები სულაც არ იყვნენ, პირიქით, ამბიციები ნამდვილად აწუხებდათ და მიზანდასახულობაც არ აკლდათ. როგორ ფიქრობთ, სხვების მსგავსად, ისინიც მოდურ ტანისამოსზე, ფეხსაცმელსა და კოსმეტიკურ საშუალებებზე საუბრობდნენ? რა თქმა უნდა, მაგრამ მათ მხოლოდ ისეთი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და მაკიაჟი აინტერესებდათ, რომელიმე ვარსკვლავთან ქორწინებაში რომ დაენმარებოდათ. ფილმებზე ან მუსიკაზე თუ მსჯელობდნენ? რატომაც არა. მათი საუბრის თემას დასაქორწინებელი მომღერლები და მსახიობები წარმოადგენდნენ ან ისინი, ვინც სულ მალე განქორწინებას აპირებდნენ და იცით? მეგი აღმოჩნდა ის ადამიანი, ვისაც მათთვის ამ ამბების და კიდევ უფრო მეტი და მეტი ჭორების მიწოდება შეეძლო. მეგი სასაუბრეში მათზე გაცილებით ადრე მოხვდა. ის ყველა წესი და ხრიკი კარგად იცოდა, რაც მათ ვარსკვლავებთან საქმის დაჭერასა და გათხოვებაში ნაეშველებოდა და ლინდიც ასე იჯდა მათთან ერთად და ყველაფერს ღრუბელივით ისრუტავდა. მისთვის ის

მომცრო სასაუბრე ჰარვარდიც იყო და იელიც. ცხრამეტი წლის მინესოტელი გოგონა? ახლა შიშისგან ეკალიც კი მაყრის იმაზე ფიქრით, თუ რას შეიძლება გადაჰყოფდა, თუმცა გაუმართლა.

– მისტერ გარდნერ, – ვუთხარი მე. – უკაცრავად, რომ საუბარს განწყვეტინებთ, მაგრამ თუ ეს მეგი ასეთი ჭკვიანი იყო, ყველაზე ყველაფერი ზუსტად იცოდა, თვითონ ვინმე ვარსკვლავზე გათხოვება რატომ ვერ მოახერხა? მაშ იმ სასაუბრეში ჰოთ დოგებს რაღას დაატარებდა?

– კარგი შეკითხვაა, თუმცა ყველაფერს მაინც ვერ ხვდებით, რაც იქ ხდებოდა. შესაძლებელია, ამ ქალბატონ მეგის ბედმაც უმტყუნა, მაგრამ საქმე ისაა, რომ მის თვალწინ ვიღაცებს გაუმართლათ. ახლა ხომ მიმიხვდით, მეგობარო? ოდესღაც თვითონაც ისეთივე გოგო იყო და კარგად ხედავდა, რომ ბედი ზოგს უღიმოდა, ზოგს არა. მას უკვე ყველაფერი გამოცდილი ჰქონდა, წარმატებაც და წარუმატებლობაც. თითოეულ ასეთ ამბავსა თუ ისტორიას გოგონებს უამბობდა, ისინიც უსმენდნენ და რამდენიმე მათგანი დასკვნებსაც აკეთებდა, მაგალითად, ლინდი. როგორც უკვე გითხარით, მისთვის ჰარვარდი ეს იყო. ზუსტადაც იქ ჩამოყალიბდა ისეთი, როგორიც დღეს არის. იქ საკუთარ თავში ის ძალა იგრძნო, რაზეც მანამდე ოცნებობდა და ძალიანაც სჭირდებოდა. პირველი წარმატების მისაღწევად ექვსი წელი დასჭირდა. წარმოგიდგენიათ? მანევრირებას, გეგმების შემუშავებას, საბრძოლო პოზიციის შესწავლას ექვსი წელი მოანდომა. რამდენჯერმე არ გაუმართლა, მაგრამ მაინც არ დანებდა. ზუსტად ისე, როგორც ჩვენს პროფესიაშია – პირველი ორი-სამი წარუმატებლობის შემთხვევაში მიტოვება და უარის თქმა რომ არ შეიძლება. ის გოგონები, რომელთაც ბრძოლის უნარი არ აღმოაჩნდათ, ახლა ვიღაც რიგითი კაცების ცოლები არიან და სადღაც მიყრუებულ ქალაქებში ცხოვრობენ, თუმცა არც თუ ისე ბევრისთვის, ლინდის მსგავსად, ყოველი წარუმატებლობა კარგი გაკვეთილი აღმოჩნდება ხოლმე,

რაც მათ ძალას მატებს, ამტანობას აჩვენებს და მიზნის მისაღწევად გაცილებით მეტი შემართებით და სიჯიუტით იბრძვიან. როგორ ფიქრობთ, წარუმატებლობა ლინდისაც არ სტანჯავდა? ასეთი სილამაზისა და ხიბლის მიუხედავად? ადამიანები ვერ ხვდებიან, რომ სილამაზე ყველაფერს სულაც არ ნიშნავს. თუ მას არასწორად გამოიყენებ, უკვე ბოზად გთვლიან. ასე იყო თუ ისე, საბოლოოდ, ექვსი წლის შემდეგ, თავისას მაინც მიაღწია.

– ეს უკვე მაშინ, როცა თქვენ გაგიცნოთ, მისტერ გარდნერ?

– მე? არა, არა. მე სცენაზე მაშინვე არ გამოვჩენილვარ. ცოლად დინო ჰარტმანს გაჰყვა. დინოზე არასოდეს გსმენიათ? მისტერ გარდნერმა აქ ცოტა არ იყოს და ცალკებად ჩაილიმა.

– სანყალი დინო. ვფიქრობ, მის სიმღერებს კომუნისტურ ქვეყნებში დიდად არც იცნობდნენ, თუმცა იმ პერიოდში მისი სახელი ქუხდა. ლას-ვეგასში კონცერტებს ხშირად მართავდა, ოქროს რამდენიმე ფირფიტაც გამოუშვა. როგორც გითხარით, ლინდის პირველი წარმატება სწორედაც ის იყო. როცა პირველად შეეხვდი, უკვე დინოს ცოლი გახლდათ. ამისთანა საქმეებში კარგად გამობრძმედილ მეგის შეეძლო აეხსნა, ძირითადად ასე რატომაც ხდება. რა თქმა უნდა, შესაძლოა, გოგოს პირველივე მცდელობაზე გაუმართლდეს და მაშინვე წარმატების მწვერვალზეც მოექცეს, სინატრას ან ბრანდოს ცოლი გახდეს, თუმცა ყოველთვის ასე არ ხდება. გოგონა თავიდანვე შეგუებული უნდა იყოს იმ აზრს, რომ დასაწყისისთვის ლიფტიდან მეორე სართულზე უნდა გადმოვიდეს და ცოტა ხანს იქ ყალიც მოუწევს. იმ სართულის ჰაერს უნდა შეეჩვიოს. მერე გამორიცხული არაა, რომ ერთ მშვენიერ დღესაც, შემთხვევით, მანსარდიდან ქვემოთ, სულ რამდენიმე წუთით, რაიმე უმნიშვნელო საქმისთვის ჩამოსულ ახალგაზრდა კაცსაც გადაეყაროს და ამ ყმანვილმა, შესაძლოა, შესთავაზოს კიდევ: ეი, შენ, არ გინდა ჩემთან ერთად ზემოთ ამოხვიდე? ლინდიმ

იცოდა, ასეთ შემთხვევაში რაც უნდა ექნა. როცა დინოს ცოლად გაჰყვა, საკუთარ ამბიციებზე უარი არც მაშინ უთქვამს, სისუსტეებს არ დანებებულა. დინო კი წესიერი ახალგაზრდა იყო. მე ის ყოველთვის მომწონდა. ამიტომაც დავიბენი ასე ძალიან, როცა პირველად ლინდი დავინახე, ერთ ადგილას გავშეშდი, თუმცა თავი ნამდვილი ჯენტლმენივით მეჭირა. მოგვიანებით გაირკვა, რომ სწორედაც ეს იყო ლინდის საშინელი სიჯიუტის მიზეზი. ღმერთო ჩემო, როგორ შეიძლება ასეთი გოგოთი არ აღფრთოვანებულიყავი! უნდა გითხრათ, მეგობარო, რომ ზუსტად იმ პერიოდში უკვე წარმატების ზენიტში მყოფი ვარსკვლავი გახლდით. ალბათ, ეს ის დრო იყო, როცა დედათქვენი ჩემს სიმღერებს უსმენდა, თუმცა დინო პოპულარობას უკვე სწრაფად კარგავდა. მაშინ ასე ბევრ იმდროინდელ ესტრადის მომღერალს დაემართა. გარშემო ყველაფერი იცვლებოდა. მოზარდები „ბითლზებს“, „როლინგ სტოუნზს“ უსმენდნენ. სანყალი დინო! მისი შესრულების მანერა ბინგ ქროსბის სტილს ძალიან ემსგავსებოდა. ბოსანოვას ალბომის გამოშვება მოსინჯა, მაგრამ მსმენელებმა მასხრად აიგდეს. ზუსტადაც ის დრო იყო, ლინდის საკუთარი თავისთვის ეშველა. ასეთ სიტუაციაში ვერავინ გაგვამტყუნებდა. ვფიქრობ, თვითონ დინოც არ გაგვკიცხავდა და მაშინ იყო, რომ გავაქტიურდი. აი, ასე აღმოჩნდა ლინდი ჩემთან, ზემოთ, სარდაფში.

ლას-ვეგასში ვიქორწინეთ. სასტუმროს აბაზანა შამპანურით ავავსეთ. დღეს ჩვენ „ძალიან იოლად მიყვარდება“ უნდა შევასრულოთ. იცით, მაინცდამაინც ეს რატომ შევარჩიე? გსურთ, რომ იცოდეთ? ჩვენი შეუღლებიდან მალევე ლონდონში წავედით. საუზმის შემდეგ ნომერში დავბრუნდით, რომელსაც სასტუმროს დამლაგებელი გვილაგებდა. მაშინ მე და ლინდის კურდღლებივით სულ სექსი გვინდოდა. შევდივართ ნომერში და დასასვენებელი ოთახიდან მტვერსასრუტის ხმა გვესმის, მაგრამ დამლაგებელს ვერ ვხედავთ, ტიხარს

უკანაა. ასე, პატარა ბავშვებით ფეხაკრეფით დავიპარებით. მიმიხვდით? საძინებელში ჩუმად შევდივართ. კარს ვხურავთ. ვხვდებით, რომ ოთახის დალაგება უკვე მოუსწრია, ამიტომაც, შესაძლოა, აქ აღარც შემოვიდეს, მაგრამ მთლად დარწმუნებული მაინც არ ვართ, თუმცა, სულ ერთია, არ გვადარდებს. ტანსაცმელს სწრაფად ვიძრობთ, ლოგინზე ვწვებით და სიყვარულს ვეძლევი, ხოლო დამლაგებელი მთელი ამ დროის განმავლობაში ჩვენი ოთახის სიახლოვეს ტრიალებს, აზრადაც არ მოსდის, რომ უკვე შინ ვართ. ხომ გეუბნებით, სექსის მეტი არაფერი გვინდოდა-მეთქი, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ყველაფერი ისე სასაცილოდ გამოვიდა, რომ ხარხარს ძლივს ვიკავებდით. როცა სიყვარულობანას მოვრჩით, ისევ ერთად ვინექით და ერთმანეთს მსუბუქად ვვალერსებოდით, დამლაგებელი კვლავ თავის საქმეს აგრძელებდა და იცით, რა მოხდა? უცბად სიმღერა დაიწყო! მტვერსასრუტი გამორთო და მთელი ხმით ამღერდა და მერედა რა საზიზღარი ხმით მღეროდა! სიცილისგან ჩაბჭირებული ვეყარეთ, მაგრამ ვცდილობდით, მას არ გაეგონა. მერე სიმღერა შეწყვიტა და რადიო ჩართო. უცბად ჩეტ ბეიკერის ხმა მოგვესმა. „ძალიან იოლად მიყვარდება“ ჩვეული, საუცხოო, დაბალი, ტკბილი ხმით მღეროდა. ვწევართ ასე, ერთად და ჩეტს ვუსმენთ და ცოტა ხნის შემდეგ მეც ავყევი, ისეთივე დაბალი ხმით: რადიოში – ჩეტ ბეიკერი, ლინდი – ჩემს მკლავებში. აი, ყველაფერი ზუსტადაც ასე იყო. ამიტომაც გადავწყვიტე ამაღამ ეს სიმღერა ვუმღერო. თვითონ ახსოვს თუ არა, ისიც არ ვიცი ან ვინ იცის?

მისტერ გარდნერმა საუბარი დაამთავრა და დავინახე, ცრემლები როგორ მოიწმინდა. ვიტორიომ კიდევ ერთ კუთხესთან მიგვიყვანა და მიხვდით, რომ რესტორნის წინ უკვე მეორედ უნდა ჩაგვევლო. ადრინდელთან შედარებით, იქ კიდევ უფრო მეტი მხიარულება იყო, ახლა უკვე კუთხეში ჩემი ნაცნობი, პიანისტი ანდრეა უკრავდა.

როცა ისევ სიბნელეში გავცურეთ, მე

დავინყე:

– მისტერ, გარდნერ, ვიცი, ჩემი საქმე სულაც არაა, მაგრამ, ვგრძნობ, რომ თქვენსა და მისის გარდნერს შორის ყველაფერი მაინცდამაინც კარგად ვერ უნდა იყოს. მინდა გითხრათ, რომ ეს ჩემთვის უცხო სულაც არ არის. დედაჩემიც ხშირად იყო ხოლმე ასეთ სევდიან განწყობაზე, როგორც ახლა თქვენ ბრძანდებით. ეგონა, რომ ვილაც იპოვა, ისეთი ბედნიერი იყო და მითხრა, რომ ის ახალგაზრდა კაცი ჩემს ახალ მამობას აპირებდა. ერთ ხანს მჯეროდა, მერე მივხვდი, რომ მსგავსიც არაფერი იყო, თუმცა დედას ამის იმედი მთელი ცხოვრება ჰქონდა და რამდენჯერაც სევდა შეეპარებოდა – შეიძლება ისე, როგორც ახლა საკუთარ თავს გრძნობთ – იცით, რას აკეთებდა? ფირსაკრავს ჩართავდა და თქვენს სიმღერებს ხმას ააყოლებდა ხოლმე. ზამთრის გრძელ საღამოებში ჩვენს ვინრო ბინაში, დივანზე ასე, ფეხიფეხგადადებული, ჭიქით ხელში იჯდა და თქვენს სიმღერებს ღიღინებდა და ზოგჯერ, მისტერ გარდნერ, კარგად მახსოვს, რომ მეზობლები ასეთ დროს ზემოდან გვიბრაზუნებდნენ, განსაკუთრებით მაშინ, როცა სწრაფ ტონალობაში ისეთ სიმღერებს ასრულებდით, როგორებიცაა: „დიდი იმედები“ ან „ყველამ გაიცინა“. დედას თვალს ვერ ვაცილებდი, თუმცა თვითონ ვერაფერს ამჩნევდა, მხოლოდ თქვენი მოსმენით იყო გართული. ყოველ ტაქტზე თავს დაბლა ხრიდა და ტურებით სიმღერის სიტყვებს ჩურჩულებდა. მისტერ გარდნერ, აი, რისი თქმა მსურდა. თქვენი მუსიკა დედაჩემს რთული პერიოდების დაძლევაში ეხმარებოდა და, ალბათ, მილიონობით სხვებსაც და მას თქვენი შველაც ზუსტად ასევე შეუძლია.

მის გასამხნეველად ოდნავ გავიღიმე, თუმცა იმაზე ხმამაღლა გამომივიდა, ვიდრე ვაპირებდი.

– შეგიძლიათ ამაღამ მენდოთ, მისტერ გარდნერ. მთელი გულით და სულით დავუკრავ, ისე კარგად, როგორც ნებისმიერი ორკესტრი, აგერ ნახავთ. მისის გარდნერი გაიგონებს და ვინ

უნყის? იქნებ თქვენ შორის ყველაფერი ისევ ისე მშვენივრად აენყოს. ყველა ცოლ-ქმარს უნევს თანაცხოვრების მანძილზე სირთულეების გადატანა.

მისტერ გარდნერმა გამიღიმა.

– რა კარგი ახალგაზრდა ხართ. ძალიან მაღლიერი ვარ, რომ ამაღამ უნდა დამეხმაროთ, მაგრამ სასაუბროდ დრო აღარ გვრჩება. ლინდი ახლა უკვე თავის ოთახშია. სინათლე აანთო.

დიდ სახლს მივუახლოვდით, რომელსაც მანამდე უკვე ორჯერ ჩავუარეთ და მაშინ მივხვდი, ვიტორიო წრეზე ამდენს რატომაც დაგვატარებდა. მისტერ გარდნერი ერთ კონკრეტულ ფანჯარაში სინათლის გამოჩენას ყურადღებით უთვალთვალებდა და, თუ იქ ისევ ბნელოდა, ახალ წრეზე მივცურავდით. ახლა მესამე სართულის ფანჯრიდან სინათლე მოჩანდა, დარაბები გაეღოთ და ჩვენი მანძილიდან მუქი ხის კოჭებიანი ქერის პატარა ნაწილს ვხედავდით. მისტერ გარდნერმა ვიტორიოს ანიშნა, მაგრამ ის ნიჩბებს აღარ უსვამდა და ასე, გონდოლის წყალზე ნელი ტივტივით, პირდაპირ ფანჯრის ძირამდე მივცურდით.

მისტერ გარდნერი ფეხზე წამოდგა, რის გამოც ნავი ისევ სახიფათოდ შეტორტმანდა და ვიტორიოსაც სწრაფი რეაგირება მოუხდა, რათა წონასწორობა დაეცვა. შემდეგ მისტერ გარდნერმა დაიძახა, თუმცა ძალიან გაუბედავად: „ლინდი! ლინდი!“, ბოლოს კი შედარებით ხმამაღლა: „ლინდი!“

ვილაცის ხელმა დარაბები უფრო ფართოდ გამოალო, შემდეგ ვინრო აივანზე ბუნდოვანი ფიგურა გამოჩნდა. ლამპიონი სახლის კედელზე, ჩვენ შორის-ახლოს იყო მიმაგრებული, მაგრამ ბუუტავდა და მხოლოდ მისის გარდნერის სილუეტი ჩანდა, თუმცა მაინც შევნიშნე, რომ მას მერე, რაც მოედანზე შევხვდი, ალბათ, სადილამდე, თმის მონესრიგება მოესწრო.

– საყვარელო, შენ ხარ? – ქალი აივნის მოაჯირზე დაეყრდნო. – უკვე ვფიქრობდი, რომ გაგიტაცეს ან რაღაც ამგვარი დაგემართა. როგორ მანერვიულე.

– ნუ სულელობ, ძვირფასო. ასეთ ქალაქში რა შეიძლება დამემართოს? ისე, სხვათაშორის, წერილი დაგიტოვე.

– არაფერი მინახავს, საყვარელო.

– წერილი დაგიტოვე, რომ არ გენერვიულა.

– და აბა, სად არის ის წერილი? შიგ რა ეწერა?

– არც მახსოვს, ძვირფასო. მისტერ გარდნერს ხმაში უკვე გაღიზიანება შეეპარა. – ჩვეულებრივი წერილი იყო. სიგარეტის საყიდლად წავედი ან რაღაც ასეთი.

– და ახლა მანდაც იმავეს აკეთებ? სიგარეტს ყიდულობ?

– არა, ძვირფასო. სულ სხვა რამაა. უნდა გიმღერო.

– რაა?.. მეხუმრები?

– არა, ძვირფასო. არ გეხუმრები. ვენეციაში ვართ. აქ ასე იქცევიან.

მისტერ გარდნერმა ჩემზე და ვიტორიოზე ხელით მიანიშნა, თითქოს ჩვენი იქ ყოფნით ნათქვამის დამტკიცება სურდა.

– საყვარელო, აივანზე ჩემთვის ცოტა გრილა.

მისტერ გარდნერმა ღრმად ამოიოხრა.

– მაშინ, შეგიძლია, ოთახში შეხვიდე და იქიდან მოგვისმინო. ოთახში შებრუნდი, ძვირფასო, კომფორტულად მოენყე. მხოლოდ ფანჯარა დატოვე ღია და ჩვენს ხმას მშვენივრად გაიგონებ.

ვიდრე ქალი ოთახში შევიდოდა, ქმარს ცოტა ხანს აივანიდან უყურებდა, მისტერ გარდნერსაც თავი აენია და ლინდის ქვემოდან შესცქეროდა. ორივე ღუმდა. მერე ცოლი ისევ ოთახში შეტრიალდა და მისტერ გარდნერი იმედგაცრუებისგან მოლუშული ჩანდა, თუმცა ცოლი ზუსტად ისე მოიქცა, როგორც ქმარმა შესთავაზა. თავი დახარა, ისევ ამოიოხრა და, მინდა გითხრათ, რომ საქმის დაწყებას აყოვნებდა. ამიტომაც ვუთხარი:

– დავინყოთ, მისტერ გარდნერ, დავინყოთ, „როცა ფინიქსს ვენვევი“ დავინყოთ. – და მოკლე შესავალი დაბალი ტონალობით, რიტმული აკომპანიმენტის გარეშე დავუკარი. მერე სიმღერაც შემოგვეშველებოდა და ეს აკორდებიც

მის ხმაში ჩაიკარგებოდა. დაკვრისას ამერიკული სურათების გაცოცხლებას შევეცადე. მონყენილი გზისპირა ბარები, ფართო, დაუსრულებელი ავტომაგისტრალები და ვიგრძენი, რომ დედაზე ფიქრი ისევ არ მასვენებდა: ოთახში შევდივარ და ვხედავ, დივანზე წამომჯდარი, ფირფიტების ჩასადებ კონვერტებს მიშტერებია, რომლებზეც ამერიკის ავტობანები ან სულაც ამერიკულ მანქანაში მჯდომი მომღერალია დახატული. ერთი სიტყვით, ამ მოკლე შესავლის დაკვრას ისე შევეცადე, თითქოს დედაჩემიც ზუსტად იმ სამყაროს ეკუთვნოდა, სამყაროს, რომელიც ფირფიტების ჩასადებ კონვერტებზე იყო აღბეჭდილი.

მერე, ვიდრე ამის გაცნობიერება მოვახერხე, ვიდრე მელოდიას წყნარად ვუკრავდი, მისტერ გარდნერმა სიმღერა დაიწყო. გონდოლაში ძალიან არასაიმედოდ იდგა და მეშინოდა, რომ ნებისმიერ მომენტში შესაძლოა წონასწორობა დაეკარგა, თუმცა ისევ ისე მღეროდა, როგორც მახსოვდა – დაბალი, თითქმის ჩახლეჩილი, მაგრამ იმდენად სავსე, ძლიერი ხმით, რომ იფიქრებდით, ხელში უხილავი მიკროფონი უჭირავსო და ყველა, ყველა ცნობილი ამერიკელი მომღერლის მსგავსად, მის ხმაშიც დალდა, ოდნავი გაუბედაობა იგრძნობოდა. თითქოს ის ადამიანი მღეროდა, რომლისთვისაც ასეთი გზებით საკუთარი გულის მხილება უცხოა. ეს ესტრადის ყველა ცნობილი ვარსკვლავის ჩვეული მანერაა.

სიმღერა მოგზაურობასა და განშორებას ეძღვნებოდა. ამერიკელი კაცი შეყვარებულს სცილდება. სხვადასხვა ქალაქებში სტუმრობისას, საყვარელ ქალზე ფიქრი არ შორდება. ტექსტის ყველა სტროფში ქალაქების სახელწოდებები ისმის: ფინიქსი, ელბაკერკი, ოკლაჰომა... მანქანა წინ-წინ მიქრის, დაუსრულებელ გზებზე. დედაჩემს ასეთი მგზავრობა ვერ ეღირსა. განშორება რომ ასეთი იოლი იყოს... ვხვდები, ეს, ალბათ, ის იყო, რაზეც დედა ფიქრობდა. მწუხარების გადატანა ასე

მარტივად რომ შეძლებოდა....

სიმღერა დამთავრდა და მისტერ გარდნერმა მითხრა:

– კარგი. მოდი, პირდაპირ მომდევნო სიმღერაზე გადავიდეთ – „ძალიან იოლად მიყვარდება“.

ეს მისტერ გარდნერთან ჩემი აკომპანიორობის პირველი შემთხვევა იყო, ამიტომაც ყველაფერზე ფხიზლად უნდა ვყოფილიყავი, თუმცა კარგად გამოგვივიდა. მას შემდეგ, რაც ამ სიმღერის შესახებ მიაბო, ფანჯრისთვის თვალი არ მომიშორებია, მაგრამ მისის გარდნერისგან ჩამიჩუმიც არ ისმოდა. ვერც მისი მოძრაობა შევნიშნე და ხმაც არ მესმოდა. მერე სიმღერაც დავასრულეთ და ჩვენ გარშემო კვლავ სიჩუმემ და სიბნელემ დაისადგურა. სადღაც, შორიახლოს, მუსიკის ხმაზე, ვიღაც მეზობელმა დარაბა ხმაურით გამოალო, ალბათ, უკეთესად რომ მოესმინა, მაგრამ მისის გარდნერის ფანჯრიდან ისევ არაფერი ისმოდა.

სიმღერა „ჩემი პანანინასთვის“ ძალიან ნელ ტონალობაში, ფაქტობრივად, ყოველგვარი რიტმის გარეშე შევასრულეთ, თუმცა მაინც სიჩუმე იყო. ფანჯარას ისევ ისე მივშტერებოდით, მერე საბოლოოდ, შესაძლოა, სულ რაღაც წუთის შემდეგაც, იქიდან რაღაც მოგვესმა. მალევე უშეცდომოდ მივხვდით – აშკარა იყო, რომ მისის გარდნერი ოთახის სიღრმეში ქვითინებდა.

– ჩვენ ეს შევძელით, მისტერ გარდნერ! – დავიჩურჩულე. – გამოგვივიდა. გული ავუჩუყეთ.

მაგრამ მისტერ გარდნერს სიხარული არ ემჩნეოდა. თავი დაღლილმა დახარა, ჩამოჯდა და ვიტორიოს ანიშნა:

– მეორე მხარეზე გადაგიყვანე. ჩემი შინ წასვლის დროა.

როცა გონდოლა ისევ დაიძრა, მომეჩვენა, რომ მისტერ გარდნერი თვალს მარიდებდა, თითქოს რცხვენოდა, რაც ჩავიდინეთ და ჩემთვის გავიფიქრე, ეს ყველაფერი მხოლოდ ბოროტული ხუმრობა ხომ არ იყო და, შესაძლოა, ყველა სიმღერა მისის გარდნერისთვის რაღაც საშინელსაც ნიშნავდეს-მეთქი.

ამიტომაც გიტარა გვერდით გადავდე, ცოტა მოვიწყინე და გზა ასეთი განწყობით გავაგრძელეთ.

როგორც იქნა, შედარებით ფართო არხში გავედით, მაშინვე წყლის ტაქსიმაც გვერდით ჩაგვიშხულია და ტალღები წამოვიდა. მისტერ გარდნერის სახლთან უკვე ორ ნაბიჯზე ვიყავით მიახლოებული და ვიდრე ვიტორიო გონდოლას ნავსადგურში მიაყენებდა, ვუთხარი:

– მისტერ გარდნერ, თქვენ ჩემი ბავშვობის მნიშვნელოვანი ნაწილი ხართ და ეს დამეც ჩემთვის განსაკუთრებულია. თუ ახლა ერთმანეთს უბრალოდ დავემშვიდობებით და ველარასოდეს შევხვდებით, ვიცი, რომ მთელი სიცოცხლე ამაზე ფიქრი დამტანჯავს. ამიტომაც, გეხვეწებით, ამიხსენით. აი, სულ ახლახან, მისის გარდნერი ბედნიერებისგან ტიროდა თუ მწუხარებისგან?

ვფიქრობდი, არ მიპასუხებდა. მბჟუტავი სინათლის შუქზე ნავის კიჩოსთან მისტერ გარდნერის ფიგურა წელში მოხრილი ჩანდა. ვიდრე ვიტორიო თოკს მიაბამდა, წყნარად მითხრა:

– ვხვდები, რომ კონცერტმა სიამოვნება მიანიჭა, თუმცა, მაინც გულნატკენი დარჩა. ჩვენც გვანყენინა. ოცდაშვიდი წელი არც თუ ისე ცოტა დროა, თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, ამ მოგზაურობის შემდეგ მაინც ერთმანეთს ვშორდებით. ეს ჩვენი უკანასკნელი ერთობლივი მოგზაურობაა.

– ძალიან ვწუხვარ, მისტერ გარდნერ, – ფრთხილად ვუთხარი. – ვიცი, რომ უამრავი ოჯახი ინგრევა, თუნდაც ოცდაშვიდი წლის, მაგრამ მხოლოდ ძალიან ცოტას თუ შეუძლია ასე არაორდინალურად დაშორება. შვებულების ვენეციაში გატარება. გონდოლაზე მდგარს სიმღერა. ასე ცივილურად არც თუ ისე ბევრი ცოლქმარი შორდება ერთმანეთს.

– და რატომაც არ უნდა დავშორდეტ სკანდალების გარეშე? ჩვენ ერთმანეთი ისევ გვიყვარს. ამიტომაც იტირა, რომ მასაც ზუსტად ისე ძალიან ვუყვარვარ, როგორც მე.

ვიტორიო სანაპიროზე დააბიჯებდა,

მე და მისტერ გარდნერი კი ისევ სიბნელეში დავრჩით. ველოდი, რომ კიდევ რალაცას მეტყოდა და არც შევმცდარვარ. ხანმოკლე დუმილის შემდეგ, მითხრა:

– როგორც გითხარი, ლინდი პირველივე ნახვით შემიყვარდა, მაგრამ მაშინვე მასაც იგივე გრძნობა დაეუფლა? ეჭვი მეპარება, რომ ასეთი შეკითხვა თავში აზრადაც არ მოსვლია. მე ვარსკვლავი ვიყავი და მეტი არაფერი აინტერესებდა. მე ვიყავი ის, ვისზეც დიდი ხნის წინათ იმ პატარა სასაუზმეში ოცნებობდა და ბედნიერებისთვის სამომავლო გეგმებს აწყობდა. ვუყვარდი თუ არა, ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ ოცდაშვიდწლიან ქორწინებას ბევრი რამის შეცვლა შეუძლია. უამრავ წყვილს ერთმანეთი, შესაძლოა, სწორედაც რომ დიდი ხნის თანაცხოვრების შემდეგ შეუყვარდეთ, მერე ერთმანეთი მოსწყინდეთ და ბოლოს ქორწინება სიძულვილითაც დაასრულონ. ზოგჯერ პირიქითაც ხდება. რამდენიმე წლის შემდეგ ლინდიმ, ასე თუ ისე, მაინც შემიყვარა. თავიდან ვერ ვიჯერებდი, მაგრამ საბოლოოდ მივხვდი, რომ ნამდვილად ასე იყო. მხარზე ხელს ნაზად შემახებდა ხოლმე, როცა მაგიდიდან წამოვდებოდი. ოთახის ბოლოდან პირზე ღიმილმომდგარი გამომხედავდა, როცა სასაცილო სრულებითაც არაფერი იყო. უბრალოდ თავს ისულელებდა. სანაძლეოს ჩამოვალ, ეს თვითონაც უკვირდა, მაგრამ ეს ყველაფერი უკვე მოხდა, წარსულში დარჩა. ასე, სადღაც ხუთი-ექვსი წლის შემდეგ აღმოვაჩინეთ, რომ ერთად თავს კარგად ვგრძნობდით. ერთმანეთზე ვდარდობდით, ვზრუნავდით. ისევ გაგიმეორებთ, რომ ერთმანეთი გვიყვარდა და ახლაც ისევ გვიყვარს.

– არ მესმის, მისტერ გარდნერ, მაშ, რატომღა შორდებით?


ისევ ამოიოხრა:

– როგორ აგისხნათ, მეგობარო. როცა ვიცი, რომელი ქვეყნიდანაც ხართ? თუმცა დღეს ისეთი გულითადი დახმარება გამინიეთ, რომ, ვეცდები, გაგარკვიოთ. საქმე ისაა, რომ მე უკვე ისეთი პოპულარული აღარ ვარ, როგორც

ერთ დროს ვიყავი. მეთანხმებით თუ არა, ჩვენნაირ ქვეყნებში ამას ვერ გაექცევი. ჩემი სახელი უკვე აღარაფერს ნიშნავს. ბედს უნდა შევეგუო და ჩრდილში დავდგე, დიადი წარსულით უნდა ვიცხოვრო, მაგრამ, მინდა გითხრა, რომ ყველაფერი ჯერ არ დამიმთავრებია, სხვა სიტყვებით რომ გითხრა, მეგობარო, წარსულის დაბრუნება უნდა შევძლო. ბევრი რომლებსაც ჩემნაირი პატივი არც ჰქონია, ასე იქცევა, თუმცა ასეთი გართობა იოლი სულაც არ არის. უამრავ ცვლილებას

მესამედაც. ყველას ახალგაზრდა ცოლები ჰყავს. მე და ლინდი თანდათან სასაცილო ვხდებით. გარდა ამისა, ჩემს ცხოვრებაში უკვე არსებობს ერთი ახალგაზრდა ქალი, რომელსაც თვალი დავადგი, მასაც მოვწონვარ. ლინდი ყველაფერს ხვდება. ადრეც ხვდებოდა, შესაძლოა, მაშინაც კი, როცა იმ სასაუზმეში მეგის უსმენდა ხოლმე. ამაზე უკვე ვიმსჯელებ. ხვდება, რომ უკვე განშორების დროც დადგა.

– მაინც ვერ ვხვდები, მისტერ გარდნერ. ის ქვეყანა, რომელიც თქვენთვის და



მომზადებული უნდა შეხვდე, რაც არ უნდა გიჭირდეს. უნდა გამოიცვალო, ისიც უნდა დათმო, რაც გიყვარს.

– მისტერ გარდნერ, მაშ, მისის გარდნერს იმიტომ ეყრებით, რომ სცენას დაუბრუნდეთ?

– აბა, იმათ შეხედეთ, ვინც დაბრუნდა და წარმატებულიცაა. ჩემი თაობის იმ ადამიანებს შეხედეთ, რომლებიც ისევ ფორმაში არიან. თითოეულმა მათგანმა ისევ იქორწინა, ზოგმა უკვე მეორედ,

ლინდისთვის მშობლიურია, არ შეიძლება სხვა დანარჩენებისგან ასე ძალიან განსხვავდებოდეს. ზუსტადაც ამიტომ, სწორედ ამიტომაც, მისტერ გარდნერ, ის სიმღერები, რომლებსაც წლებია მღეროდით, ყველა ადამიანისთვის ასეთი ახლობელი და ძვირფასია. იქაც კი, სადაც ადრე ვცხოვრობდი და ყველა სიმღერა რას გვეუბნება? იმას, რომ, როცა ორ ადამიანს ერთმანეთი შეუყვარდება და უნდა დასცილდნენ, სამწუხაროა, მაგრამ,

თუ ერთმანეთი ისევ უყვართ, მაშინ სამუდამოდ ერთადაც უნდა იყვნენ. აი, რა არის იმ სიმღერებში.

– ვიცი, თქვენ რასაც ამბობთ, მეგობარო და, ალბათ, გულიც გწყდებათ, ვიცი, მაგრამ საქმე ზუსტად ამას ითხოვს და მომისმინეთ, ლინდისთვისაც ეს სიტუაცია სულერთი არაა. მისთვის ყველაზე უპრიანია, თუ სწორედ ახლა გავქორწინდებით. სიბერემდე ჯერ კიდევ ბევრი დრო დარჩა. ხომ ნახეთ, ისევ ისეთი ლამაზი ქალია. ახლა უნდა მოასწროს, ეს მას სჭირდება, ვიდრე უკვე ძალიან გვიან არ არის.

არ ვიცოდი, რა მეპასუხა, მაგრამ მისმა ნათქვამმა გამაოცა:

– დედათქვენი... ვხვდები, რომ მან ეს ვერ მოასწრო.

ცოტა ხანს დავფიქრდი, შემდეგ წყნარად დავეთანხმე:

– დიახ, მისტერ გარდნერ. ვერ მოასწრო. ვერასოდეს მოახერხა. იქამდე ვერ იცოცხლა, რომ ჩვენს ქვეყანაში ცვლილებები ენახა.

– ძალიან სანყენია. დარწმუნებული ვარ, არაჩვეულებრივი ქალი იყო. რასაც შენ ამბობ, თუ ეს სიმართლეა, რომ ჩემი მუსიკა დაეხმარა, რათა ბედნიერი ყოფილიყო, ჩემთვის ეს ძალიან ბევრს ნიშნავს. სამწუხაროა, რომ ვერ მოესწრო. არ მინდა, ჩემს ლინდისაც იგივე დაემართოს, არაფრად არ მინდა, სერ. ოლონდაც ჩემს ლინდის ეს ნუ დაემართება. მინდა, რომ ლინდი მოასწროს.

წყალზე მოქანავე გონდოლა ნავსადგურის ნაპირს მსუბუქად მიეხალა. ვიტყვი რომ მისტერ გარდნერს წყნარად დაუძახა, ხელი გაუწოდა და ისიც ზანტად წამოდგა და ნაპირზე გადავიდა. ვიდრე ჩემი გიტარით ნაპირზე გადმოსვლას ვცდილობდი (არ ვაპირებდი ვიტყვი რომისთვის უფასოდ მეთხოვა დახმარება), მისტერ გარდნერს საფულე უკვე ამოეღო.

ჩანდა, რომ ვიტყვი ანაზღაურებით კმაყოფილი დარჩა. ჩვეული ტკბილი ფრაზებითა და ყესტებით ისევ გონდოლაში ჩახტა და სიბნელეში გაცურა.

თვალი გავაყოლეთ და მისტერ გარდნერმა ხელში ქალაღის ფულის მთელი დასტა სწრაფად ჩამიდო. ვიუარე და ვუთხარი, რომ ძალიან ბევრი იყო და, პირიქით, მასთან ერთად ყოფნა უდიდეს პატივად მიმაჩნდა, მაგრამ არაფრის გაგონება არ ისურვა.

– არა, არა! – დაჟინებით იმეორებდა და ხელებს წინ ისე აქნევდა, თითქოს უნდოდა, რომ არა მარტო ფულს ან მე, არამედ ამ ღამეს, ან სულაც თავისი ცხოვრების მთელ ამ პერიოდს, რაც შეიძლება, სწრაფად გასცლოდა.

დიდი სახლისკენ გაემართა, შემდეგ, რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ, შეჩერდა და ჩემკენ მოიხედა. იმ პატარა ქუჩაზე, სადაც ვიდექით და არხშიც სიჩუმე სუფევდა, სადღაც შორიდან მხოლოდ ტელევიზორის ხმა მოისმოდა.

– დღეს არაჩვეულებრივად დაუკარით, მეგობარო, – გამომძახა მან. – შესანიშნავი ტუში გაქვთ.

– გმადლობთ, მისტერ გარდნერ. თქვენ კი ჩინებულად იმღერეთ. ჩინებულად, როგორც ყოველთვის.

– შეიძლება, გამგზავრებამდე მოედანზე შემოგიაროთ. მოგისმენთ, თქვენს ანსამბლთან ერთად როგორ უკრავთ.

– იმედა, მისტერ გარდნერ.

მაგრამ მე ის აღარასდროს მინახავს. რამდენიმე თვის შემდეგ, შემოდგომაზე, შევიტყვე, რომ მისტერ და მისის გარდნერები ერთმანეთს დაშორდნენ. კაფე „ფლორიანის“ ერთ მიმტანს ამის შესახებ რომელიღაც გაზეთში წაეკითხა და მიამბო. ახალმა ამბავმა ის ღამე გამახსენა და, ცოტა არ იყოს, ისევ დავნალვლიანდი, რადგან მისტერ გარდნერი ნამდვილად ღირსეული ადამიანი ჩანდა. სცენას დაუბრუნდა თუ არა, როგორც არ უნდა იყოს, ის მაინც ერთ-ერთი დიდი მომღერალია და სამუდამოდაც ასეთად დარჩება.

*ინგლისურიდან თარგმნა
მაია ბოლამვილმა*

ლელა ანჯაფარიძე


როგორ არ იღარღო?!

ერთხელ გიორგი დანელიას ჰკითხეს: „შესაძლებელი რომ იყოს, სად ისურვებდით თავიდან დაბადებას და როდის?“

პასუხი: „მინდა, დავიბადო იქ, სადაც დავიბადე და როდესაც დავიბადე, ანუ თბილისში, 1930 წელს. სადმე ჰოლანდიაში ან საფრანგეთში რომ გავჩენილიყავი, ვერასოდეს შევხვდებოდი ჩემს მეგობრებსა და ახლობლებს. შევხვდებოდი სხვებს, შესაძლოა, ძალიან კარგ ჰოლანდიელებს ან შესანიშნავ ფრანგებს, მაგრამ მე ჩემი ანები მჭირდებიან, ისეთები, როგორებიც

არიან – ის, ვინც ცოცხალია და ისიც, ვინც მეხსიერებას შემორჩა“.

ეს ინტერვიუ იმიტომ გავიხსენე, რომ გია დანელიას ხშირად რუს რეჟისორად იხსენიებენ, ხანდახან საბჭოთა-საც ამატებენ, თუმც არანაირი საბჭოთა ფილმები არ გადაუღია. პირიქით, არავის გაუმათრახებია საბჭოთა წყობა ჯერ კიდევ სამოციან წლებში ისე, როგორც გია დანელიას თავისი „ოცდაცამეტი“, მერე რამდენიმე წლით რომ აკრძალეს. „შემოდგომის მართონიც“



არანაკლებ კრიტიკული ფილმია – ანტისაბჭოთა ფილმი.

ჩვენ განსაკუთრებით ხშირად „მიმინოს“ და „არ იდარდოს“ ვახსენებთ, როგორც ჭეშმარიტად ქართულ ფილმებს. „არ იდარდო“ ქართული ბუნება-ხასიათის წარმოჩენაა – საოცრად ნაღვლიანი და, ამავდროულად, სიცოცხლის ხალისით აღსავსე ფილმი.

გოგი გვახარია გია დანელიას საიუბილეო საღამოზე ელდარ რიაზანოვის ნათქვამი გაიხსენა: „გია ისეთივე რუსი რეჟისორია, როგორც ქართველი და, საერთოდ, გია დანელია მსოფლიოს ეკუთვნის!“

ძალიან ძნელია იმის გაცნობიერება, გია დანელიაზე წარსულ დროში უნდა ვილაპარაკოთ. ის ამბობდა, რომ მისი ცხოვრება მისი შემოქმედებაა, ანუ მისი ლამაზი, თბილი, კეთილშობილური და ამავდროულად ღრმააზროვანი ფილმები.

გია დანელია თვლიდა, რომ მას მხოლოდ ერთი კომედია ჰქონდა გადაღებული – „33“ და კიდევ ერთი კომედიის – „ილბლიანი ჯენტლმენების“ – სცენარის თანაავტორი იყო. დანარჩენი ფილმების საავტორო განაცხადში, გრაფაში – „ჟანრი“ – კომედიას მხოლოდ იმიტომ უთითებდა, რომ კომედიაზე მეტი ფირის დახარჯვა იყო ნებადართული.

მართლაც, რატომღაც კომედია „არ იდარდო“ ან „შემოდგომის მართონი“? ისინი ხომ ძალიან სერიოზული ფილმებია, რომლებსაც სევდანარევი იუმორი თუ იუმორდართული სევდა ახლავს, ისევე როგორც ადამიანის მთელ ცხოვრებას.

გია პატარა იყო, როდესაც მისი ოჯახი საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა. მამა საინჟინრო საქმიანობით იყო დაკავებული, დედა „მოსფილმში“ მუშაობდა. მათ ბინაში ხშირად იკრებოდნენ საბჭოთა კინოს კლასიკოსები – ეიზენშტეინი, პუდოვკინი, დოვჟენკო, კალატოზოვი... სტუმრად ჩამოდიოდა

დეიდა – ვერიკო ანჯაფარიძე, სოფიკო ჭიაურელთან ერთად. ალბათ, ამიტომ ყველა დარწმუნებული იყო, რომ გია მათ კვალს გაჰყვებოდა, ის კი ახალი ქალაქების მშენებლობაზე ოცნებობდა და მოსკოვის არქიტექტურის ინსტიტუტში ჩააბარა.

შემდგომში გია დანელია ყვებოდა, რომ არქიტექტურამ დიდი როლი ითამაშა მის შემოქმედებაში. მისთვის ფილმის ჩანაფიქრი იწყებოდა ვიზუალური ხედვით, სურათებით, პროპორციების შექმნით, რიტმული თანაფარდობებით...

საოცრად უცნაურია, თუ როგორ გადაწყვიტა მან პროფესიის შეცვლა. ერთხელ ის, დამწყები არქიტექტორი, მეგობართან ერთად, მოსანევად გავიდა ეზოში. მათ კარგად ჩაცმული, მთვრალი მამაკაცი შეამჩნიეს, რომელიც ქუჩაში იწვა. შეეცოდათ და მის წამოყენებას შეეცადნენ, მაგრამ მან გაუღიმა და სთხოვა – „ვიწვები, რა!“ მაშინ გიამ გაზეთი გადააფარა და სწორედ ამ გაზეთის ბოლო გვერდზე შეამჩნია განცხადება, რომ „მოსფილმში“ უმაღლეს სარეჟისორო კურსებზე მიღება ცხადდებოდა. ამ გაზეთმა გადაწყვიტა რეჟისორის ბედი.

დამავიწყდა მეთქვა, როდესაც გია ათი წლის იყო, პირველად აღმოჩნდა გადასაღებ მოედანზე, ოღონდ მსახიობის ამპლუაში, თანაც რამდენიმე სიტყვასაც ამბობდა. ეს მეგობრებს უამბო და ამყად წაიყვანა ფილმის პრემიერაზე, მაგრამ ეკრანზე გია არავის დაუნახავს. თურმე დამონტაჟებისას მისი კადრები ამოჭრეს.

ძალიან მიყვარს გიას დანელიას პირველი, საოცრად კეთილი ფილმი პატარა ბიჭზე – „სერიოჟა“, რომელიც მან იგორ ტალანკინთან ერთად გადაიღო. კოლმეურნეობის თავმჯდომარის როლზე მაშინ უკვე ცნობილი მსახიობი, სერგეი ბონდარჩუკი დაამტკიცეს, რომელიც, დანელიას აზრით, როლს არ უხდებოდა, ამიტომ გამუდმებით მოსდიოდათ კონფლიქტი. ბონდარჩუკმა რამდენჯერმე გადასაღები მოედანიც

კი მიატოვა. მაშინ „ზემოდან“ გასცეს განკარგულება – ბონდარჩუკს მიხედოს ტალანკინმა, დანელიამ კი – ბავშვებსო.

რა კარგია დანელიას „დავდივარ მოსკოვის ქუჩებში“, რომელიც ნიკიტა მიხალკოვისთვის სადებიუტო ფილმი აღმოჩნდა. სწორედ ამ ფილმის გადაღებისას თვრამეტი წლის ნიკიტა მისულა გა დანელიასთან და ხელფასის გაზრდა მოუთხოვია. თურმე მაშინ დამწყებ მსახიობს გადაღებაში დღიურად უხდიდნენ რვა მანეთს, ცნობილს კი – ოცდახუთს.. ნიკიტასაც ოცდახუთი მოუთხოვია, თანაც დაუმატებია, თუ არ გადამიხდით, არ გავაგრძელებ გადაღებასო. ამ დროს ნახევარი ფილმი უკვე გადაღებული იყო და ნიკიტა მიხალკოვი თავს დაცულად გრძნობდა.

დანელიამ წყნარად მოუსმინა და თანამემწეს სთხოვა: „დარეკე და სხვა მსახიობი იპოვე“. ნიკიტა გაშეშებული... მერე ცრემლები წამოსვლია და ბოდიში მოუხდია – ძმამ, ანდრონმა დამარიგაო. გადაღებები გაგრძელდა, მიხალკოვს კი ძველებურად რვა მანეთი დაუტოვეს.

„არ იდარდოს“ შემძლია დაუსრულებლად ვუყურო. სწორედ აქ დაარღვია დანელიამ პრინციპი – ფილმში ახლობლები, ოჯახის წევრები არ გადაელო... და სოფიკო ჭიაურელი მიიწვია. შემდგომში გაიხსენებდა, რომ სოფიკო საშინლად უშლიდა ნერვებს იმით – შესვენებების დროს მზესუმზირას რომ მიირთმევდა. გაიუბრაზდებოდა, ეჩხუბებოდა, მაგრამ ამაოდ.

ერთხელაც მიუჯდა სოფიკოს და მზესუმზირა გამოართვა. მას მერე ერთად აკნატუნებდნენ.

ავტობიოგრაფიულ ნიგნში „უბილეთო მგზავრი“ გაიხსენებდა, რომ 1991 წელს ქალაქ რიმინიში, სადაც ფედერიკო ფელინი დაიბადა, კონკურს-გარეშე ჩვენებისათვის ფილმი „ნასტია“ ჩაიტანა და ბუნებრივია, არც არავითარ პრიზს არ ელოდა.

დაჯილდოების ცერემონიალზე

სცენაზე ავიდა მისი მეგობარი, ცნობილი სცენარისტი ტონინო გუერა, რომელსაც ასეთი რამ აქვს ნათქვამი: „დანელია გვასწავლის ყვავილებით მიმოფანტულ ქუჩებში სიარულს“. გუერამ იტალიურ ენაზე დაიწყო საუბარი. გიამ სულ რამდენიმე სიტყვა გააჩნია – „ფელინი“, „ფარაჯანოვი“ და „დანელია გრანდა რეჯისტა“. დარბაზში ტაშმა იქუხა. ტონინომ სცენაზე დანელია მიიწვია, პატარა კოლოფი მიანოდა და სთხოვა, გაეხსნა. დანელიამ გახსნა კოლოფი და დარბაზს ღვთისშობლის პატარა ვერცხლის მედალიონი აჩვენა. შემდეგ მადლობის ნიშნად თავი დახარა და დარბაზში დაბრუნდა. გუერასთან დანელიას ოცდაათწლიანი მეგობრობის მანძილზე, მათ გვერდით პირველად არ იმყოფებოდა შეუცვლელი თარჯიმანი – ტონინოს მეუღლე ლორა და შესაბამისად გიამ ვერაფერი გაიგო.

მოგვიანებით ლორამ გიას აუხსნა, რომ სერგო ფარაჯანოვი ციხეში რძის ბოთლის ფოლგის თავსაცობებს აგროვებდა, პრესავდა და ზედ ლურსმნით გადაჰქონდა გამოსახულება. ერთი ასეთი მედალიონი უჩუქებია ტონინო გუერასათვის. მან ის ვერცხლში ამოავლო და საავადმყოფოში მწოლიარე ფედერიკო ფელინისთვის მიუტანია საჩუქრად.

ფელინის უთქვამს – „მოდით ამ მედალიონისგან გავაკეთოთ პრიზი, დავარქვათ „ამარკორდი“ და გადავცეთ რიმინის ფესტივალის გამარჯვებულს. როდესაც ფელინიმ ტონინოსაგან გაიგო, რომ ფესტივალზე კონკურსგარეშე აჩვენეს გიორგი დანელიას ფილმი, უთქვამს: პრიზი დანელიას გადაეცითო.

ტონინოს უკითხავს – „რანაირად, შენ ხომ მისი ჩამოტანილი ფილმი არ გინახავს?“

ფელინის უპასუხია – „არც მჭირდება. მე ნანახი მაქვს „არ იდარდო“ და ეს საკმარისია“.

შესანიშნავია გაიხსენა დანელიას „აფონია“. თავიდან სანტეჟნიკოსის როლზე სამი

მსახიობი მოიაზრებოდა: დანიილ ოლბრისსკი, ვლადიმერ ვისოცკი და ლეონიდ კურავლიოვი, მაგრამ დანელიამ ჩახედა თუ არა კურავლიოვს კეთილ თვალებში, ვერდიქტიც მაშინვე გამოიტანა: „ასეთ სევდიანთვალებიან სანტექნიკოსს მაცურებელი ყველაფერს აპატიებს“.

კურავლიოვს იმდენად მომხიბვლელი გმირი გამოუვიდა, რომ საბჭოთა ქალები „მოსფილში“ გაბრაზებულ და აღშფოთებულ წერილებს აგზავნიდნენ.

ერთ-ერთმა პირადად დანელიას მისწერა – „თქვენ ოდესმე დაგიძინიათ მთვრალ სანტექნიკოსთან?“, რაზედაც რეჟისორმა უპასუხა: „არა, არც მთვრალთან და წარმოიდგინეთ, არც ფხიზელთან.“

„მიმინო“ ხომ საერთოდ უბერებელი ფილმია.

ფილმის ქუჩის სცენებს 30 გრადუსიანი ცინვაში იღებდნენ. რეჟისორის ჩანაფიქრით ბუბა კიკაბიძეს და ფრუნზიკ მერტიანს უნდა სცმოდათ თხელი ტყავის ქურთუკი და ლაბადა... ამიტომ, გადაღებების შემდეგ, „პროფილაქტიკისთვის“, ცხელი ჩაისა და კონიაკის დასალევად, ყველანი დანელიას სახლში მიდიოდნენ.

უამრავი რამ მინდა მოგყვე, უსასრულოდ ბევრი, თანაც აუცილებლად იუმორით. როდესაც ასეთი გულლია და გულწრფელი ადამიანები მიდიან, თითქოს საგანგებოდ გიტოვებენ მხიარულ მოგონებებს, რათა ნაკლებად გეტკინოს გული.

არ შემიძლია არ გავიხსენო კიდევ ერთი მოგონება, გია დანელიას საოცარი წიგნიდან „კატა წავიდა... ღიმილი დარჩა“.

დანელია და ევგენი პრიმაკოვი დიდი ხნის მეგობრები იყვნენ. როდესაც პრიმაკოვი საგარეო დაზვერვის უფროსად დანიშნეს, ამ დროს დანელია კანის ფესტივალზე წასვლას აპირებდა. გამგზავრე-

ბამდე პრიმაკოვს ესტუმრა და უთხრა:

– შენია, მივდივარ კანში და რამე დავალება მომეცი.

– რა დავალება?

– აი, მაგალითად, სასტუმროში ფანჯრის რაფაზე, კონსპირაციისთვის, ყვავილების ქოთანს დავდგა ან სანაპიროზე სკამს „ჟუჟაჩკით“ ქვევიდან საიდუმლო წერილი მივაკრა, მაშინ ხომ დამიმატებთ თანხას ტაქსიზე, პრესაზე, წარმომადგენლობით ხარჯებზეც, თორემ დღეში სულ სამ დოლარს მაძლევენ.

პრიმაკოვმა ჩაიცინა და უპასუხა:

„გიორგი ნიკოლაევჩი, გაირდები, თუ დაგვჭირდა ქოთნების დადგმა და „ჟუჟაჩკით“ წერილების მიწებება, შენ გარდა, არავის მივმართავთ. მანამდე კი, გაივარჯიშე!“ გამოალო უჯრა და საღეჭი რეზინი მიაწოდა.

გია დანელიას მოგონებების კითხვისას მისი იუმორით, სიყვარულითა და კეთილმოსურნეობით ვიხიბლებით. ერთხელ ჟურნალისტმა ჰკითხა: „მოგონებებში სულ კარგ ხალხზე წერთ. ნუთუ ცხოვრებაში ნაძირლები არ შეგხვედრიათ?“

დანელიამ უპასუხა:

„ნაძირალებიც შემხვედრია, მოლატეებიც, მაგრამ მე ისინი გულის ნაგვის ყუთში ჩავყარე, რომ ჩემს მეხსიერებამდე ვერ მოაღწიონ“.

ვის შეეძლო კიდევ ასე ლამაზად თქმა...

ამ წერილს ერთვის ფოტო, სადაც გია დანელია სევდიანია, თუმც მის ჩაფიქრებულ გამოხედვაში საკუთარი ძალის რწმენაც გამოსჭვავის... მაგიდაზე დადგმულ ბოთლს კი ორენოვანი წარწერა აქვს: „**He горю!**“, „არ იდარდო!“

როგორ არ ვიდარდოთ, ასეთი კაცი დავკარგეთ, მაგრამ, ბედნიერებაა, რომ ასეთი კაცი გვყავდა.